

178  
1990/2

ISSN 0888 - 4527  
საქართველოს იურიდიული  
აქტივისტთა კავშირი

საქართველოს იურიდიული კავშირი

# სახელმწიფო და სამართალი

690

ნომერი 2:

გამოქვეყნდა საქართველოს იურიდიული კავშირის მიერ



ქვეყნის აკადემიის სახელმწიფო იურიდიული კავშირის მიერ



გამოქვეყნდა თბილისში

CIVITAS AC IUS

# სახელმწიფო და სამართალი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

# 6

ივნისი

1990

## საძიებელი

### სამართლის კვალიცისტიკა

ოთარ გამყრელიძე — ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის . . . . . 3

### სუვერენიტეტისათვის

ვალერიან ფარქოხაძე — ეროვნული საკითხი და თანამედროვე სტრატეგია . . . . . 15

### DE LEGE FERENDA

ვარლენ სიმონიშვილი — ჩვენების ადგილზე შემოწმება და შემთხვევის ვითარების  
აღდგენა . . . . . 21

### არბიტრაჟის პრაქტიკა

დიმიტრი გიორგაძე — საარბიტრაჟო პრაქტიკის ზოგიერთი მოუწესრიგებელი საკითხი . . . . . 25

### პირველი ნაბიჯები მენეჯერებაში

ზურაბ გოთუა — პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი გაუპატიურების კვალიფიკაცია . . . . . 32

### ქართული იურიდიული ავროპეანის ისტორიიდან

ვახტანგ აბაშმაძე — კოლხეთის აკადემიის სწავლული იურისტების სამართალგაგება . . . . . 38

### ოფიციალური მასალა

კონვენცია წამებისა და მოპყრობისა და დასჯის სხვა სასტიკ არაადამიანურ ან ღირსების  
შემლახველ სახეობათა წინააღმდეგ . . . . . 52

### ინტერვიუ

ბერია განსასჯელის სკამზე . . . . . 67

### წერილები რედაქციას

ლია ბარათი ჟურნალ „სახელმწიფო და სამართალი“ მთავარ რედაქტორს . . . . . 76

### რეპლიკა

ლევან კობერიძე — ერთი არასწორი თარგმანის გამო . . . . . 79

УКАЗАТЕЛЬ

**Юридическая публицистика**

**Отар Гамкрелидзе** — Борьба за правовое государство . . . . . 3

**К суверенитету**

**Валериян Паркосадзе** — Национальный вопрос и современная стратегия . . . 15

**De lege ferenda**

**Варлен Симошвили** — Проверка показаний на месте и восстановление обстановки происшествия . . . . . 21

**Арбитражная практика**

**Димитрий Гноргадзе** — Некоторые неурегулированные вопросы арбитражной практики . . . . . 25

**Первые шаги в науке**

**Зураб Готуа** — Квалификация изнасилования, совершенного группой лиц . . 32

**Из истории грузинской юридической мысли**

**Вахтанг Абашмадзе** — Правопонимание ученых юристов колхетской академии 38

**Официальный материал**

Конвенция против пытки и иных нечеловеческих либо попирающих честь видов обращения и наказания . . . . . 52

**Интервью**

Берия на скамье подсудимых . . . . . 67

**Письма редакции**

Открытое письмо главному редактору журнала «Государство и право» 76

**Реплика**

**Леван Коберидзе** — Об одном неправильном переводе . . . . . 79



© „სახელმწიფო და სამართალი“, 1990 წ.

გადაცემა წარმოებას 18.05.90 წ. ხელმოწერილია დასაბუქდად 21.06.90 წ.  
ფორმატი 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.

შეკვ. № 1165.

ტირაჟი 27000.

უე 04061

ოთარ გამარალიძე

# ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსთვის

## წერილი პირველი

585561

„ბრძოლით მოიპოვებ უფლებას შენსასო“ ნათქვამია. ეს ძველისძველი სიბრძნე ზუსტად პასუხობს და მიესადაგება თანამედროვე ვითარებას, იმ ხანას, როცა ჩვენში სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა ჩაისახა, როცა სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა-ჩამოყალიბება დაიწყო. დიდი მიხვედრა არ უნდა იმას, რომ სამართლებრივი სახელმწიფო თავისით, უბრძოლველად ვერ შეიქმნება, ვინაიდან ჯერ ისევ საკმაოდ ძლიერია ჩვენში წარსულის ინერცია, ბიუროკრატია ჯერ კიდევ მხნედ გამოიყურება და ყოველნაირად ცდილობს შეინარჩუნოს მოპოვებული პოზიცია, არ დათმოს ის. რანაირი ზრიკებით არ ცდილობენ ძველი რეჟიმის მომხრეები, ხელი შეუშალონ ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესს, რა ხერხებს არ მიმართავენ ისინი, რომ სახელი გაუტეხონ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას! ბიუროკრატიულ აპარატს ამ საქმეში განსაკუთრებით ხელს აძლევს და ძალას მატებს ფართო საზოგადოების, ხალხის სამართლებრივი გაუნათლებლობაც, რომლის დაბალი იურიდიული განათლება აფერხებს საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას.

ხალხს, რომელიც მოწადინებულია, რომ ნამდვილი თანამედროვე კულტურული ცხოვრება შექმნას და ამით ცივილიზებულ, მაღალგანვითარებულ ერთა შორის ჩადგეს, კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული სამართლის მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატებისათვის და ნიადაგ უნდა ზრუნავდეს, გამუდმებით უნდა ესწრაფვოდეს თავისი ცხოვრების დემოკრატიზაციას.

ქვეყნის დემოკრატიზაცია არის ის ნოყიერი ნიადაგი, სადაც ყოველგვარი კულტურული თესლი ადვილად გაღვივდება, აღმოცენდება და მოგვცემს სასურველ ნაყოფს. მაგრამ, ვფიქრობ, არ შეეცდები. თუ ვიტყვი, რომ ჩვენში ძალზე ცოტას თუ ესმის სამართლის როლი და მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის საქმეში. ეს მდგომარეობა არც უნდა გაგვიკვირდეს. იმის გამო, რომ ათეული წლების განმავლობაში ქართველ ხალხს არ უცხოვრია ნამდვილი სამართლებრივი ცხოვრებით და სამართლებრივ მექანიზმს ადმინისტრირების მეთოდი ცვლიდა, ჩვენი იურიდიული კულტურა საგრძნობლად დაეცა და ჩამორჩა. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ სამართლის მნიშვნელობა ხალხის ცხოვრების წარმატებისათვის თავის დროზე შესანიშნავად განსაზღვრა ი. ჯავახიშვილმა, „...რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა. ძნელად გასარჩევია

საქართველოს  
პარლამენტი  
ბიბლიოთეკა

და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ. — წერდა ამ ასი წლის წინ ი. ჭავჭავაძე — იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს. შეფერხებული ხომ არის და არის. ამის მაგალითი თვით ჩვენი ქვეყანაა, ერთი მითხარით, რა არ მოუცია ღმერთს ჩვენი ბედნიერებისათვის? ყოველისფერი უხვადა გვაქვს, მხოლოდ არა გვაქვს ურთიერთშორისი განწყობილება“ („ცხოვრება და კანონი“).

ამ სიტყვებით ი. ჭავჭავაძე სამართლებრივ ურთიერთობებს, ესე იგი, ნისი აზრით, სამართალს გულისხმობს. ერთი სიტყვით, ქვეყნის წინსვლა და წარმატება დიდად ყოფილა დამოკიდებული განვითარებულ სამართალზე, ეს იდეა კარგად ჰქონდა შეგნებული ჩვენს დიდ წინაპარს და ყოველნაირად ცდილობდა არა მარტო პრაქტიკულად განეხორციელებინა ის ცხოვრებაში, არამედ ხალხიც გაეთვითცნობიერებინა ამ საკითხში. მაგრამ ი. ჭავჭავაძის შეხედულება სამართლის მნიშვნელობაზე ქვეყნის ცხოვრების წარმატებისათვის, ცარიელ ნიადაგზე არ წარმოშობილა. ეს შეხედულება ქართული იურიდიული აზროვნების მაგისტრალური ხაზის გაგრძელება იყო.

თითქმის ანალოგიურად განსაზღვრავდა სამართლის მნიშვნელობას უფრო ადრე ჩვენი დიდი მეფე-განმანათლებელი ვახტანგ მეექვსე, რომლის მიერ შედგენილ სამართლის წიგნში ვკითხულობთ: „უსამართლობა ამა სოფელს კაცსა უძეოდ აღმოფხვრის და გარდაავლინებს, დღეთსიგრძეობასა მოუკლებს, ქვეყანას აუოხრებს, ცანი ცვარს დააკლებენ და ქვეყანა — ნაყოფს, ამ სოფელს შეარცხვენს და იმ სოფელს წასწყემდს და საუკუნო სატანჯველს დაუმკვიდრებს. ესენი ყველაყა უსამართლობისაგან გამოვლენ, და სამართლის ქნა მეფესა და მსაჯულსა ამა ყოვლის ბოროტისაგან შორედ ჰყოფს და განდევნის“.

როგორც ვხედავთ, ვახტანგ მეექვსე ამ სიტყვებით მოკლედ, ლაკონურად გადმოსცემს უსამართლობის მთელ საშინელებას და ამით მიგვანიშნებს სამართლის მნიშვნელობაზე საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატებისათვის. უსამართლობა თურმე ადამიანს „ქვეყანას აუოხრებს“ და გაუპარტახებს. მაშასადამე, სამართლის გარეშე ქვეყანა წინ ვერ წავა, ჩამორჩება. ეს კარგად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა.

ვახტანგ მეექვსის ზემოთ მოტანილ სიტყვებში გამოხატულია ის აზრიც, რომ მეფესა და მსაჯულს ევალებათ „სამართლის ქნა“, რათა თავიდან აიცილონ უსამართლობისაგან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგი. მაშასადამე, „სამართლის ქნა“ ქვეყნის წინსვლის, საზოგადოებრივი ცხოვრების შეუფერხებელი განვითარების აუცილებელი საშუალებაა. უნდა ითქვას, რომ არც ეს შეხედულება აღმოცენებულა ცარიელ ნიადაგზე, მას კიდევ უფრო ღრმა ფესვები აქვს გადგმული ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

მე აქ კონკრეტულად მხედველობაში მაქვს გენიალური რუსთაველის საყოველთაოდ ცნობილი აფორიზმი „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელლად“. ამ აფორიზმში არსებითად გამოხატულია ის აზრი, რომელიც ჩვენ უკვე ვნახეთ ი. ჭავჭავაძის და ვახტანგ მეექვსის ზემოთ მოტანილ ციტატებში. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ რუსთაველი ამ აზრს გამოხატავს უბრწყინვალესი პოეტური ფორმით. მაგრამ ეს პოეტური ფორმა აქ თვითმიზანი როდია, არამედ პირიქით, იგი საგნის მნიშვნელობის უფრო ნათლად დანახვის საშუალებად არის გამოყენებული. ეს საგანია სამართალი.

თუმცა აქ ლაპარაკია „მართალ სამართალზე“, რომლის შინაარსი მეცნიერთა შორის დიდ დავას იწვევს. მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში მთავარია ის, რომ რუსთაველი ლაპარაკობს სამართლის მნიშვნელობაზე საზოგადოდ. არსებითი, ჩემი აზრით, აქ ის არის, თუ როგორ მაგიურ ძალას ანიჭებს რუსთაველი სამართალს, რომელსაც თურმე ხმელი ხეც კი შეუძლია გაანედლოს. ამრიგად, თუ კი სამართალს ასეთი მაგიური ძალა აქვს, აშკარაა მისი მნიშვნელობაც ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ერთი სიტყვით, რუსთაველის აზრითაც სამართალს გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონია ხალხის ცხოვრების წინსვლის, მისი განვითარებისათვის.

ასეთი იყო ქართული იურიდიული აზროვნების მაგისტრალური ხაზი. ასე ვითარდებოდა ეს აზრი მე-19 საუკუნის ბოლომდე. თუმცა ეს იდეა იმ დროისათვის ჭერ კიდევ მხოლოდ იდეად რჩებოდა და ცხოვრებაში დამკვიდრებული არ იყო, რასაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, გულისტკივილით აღნიშნავდა კიდევ ი. ჭავჭავაძე, მაგრამ თვითონ ამ იდეის წინ წამოწევას და ხალხში მის გავრცელებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალში ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, თუკი, რასაკვირველია. ჩვენი ხალხი ამ იდეას სათანადოდ აითვისებდა და შემდეგ ცხოვრებაში დაამკვიდრებდა.

მაგრამ მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის მდგომარეობა ამ მხრივ ჩვენში სრულიად შეიცვალა. ევროპის ქვეყნებსა და რუსეთის იმპერიაში სოციალისტური მოძრაობის გაძლიერების კვალობაზე საქართველოში თანდათანობით იწყო გავრცელება ანარქისტულმა იდეებმა. ანარქიზმის ძირითადი თეზისი კი, როგორც ცნობილია, „სამართლებრივი ნიპილიზმი“, ესე იგი სამართლის არარად ჩაგდება, მისი უგულვებელყოფა გახლავთ. აქ, რასაკვირველია, იგულისხმება პოზიტიური, ესე იგი სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალი. ვინაიდან ანარქიზმი, როგორც პოლიტიკური მოძღვრება, უარყოფს და ებრძვის სახელმწიფოს, ლოგიკურად იგი სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართალსაც, ესე იგი კანონსაც უგულვებელყოფს.

თუ როგორ უყურებდნენ კანონს და როგორ აფასებდნენ მის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმდროინდელი მოაზროვნეები, ეს კარგად არის გამოხატული ქართული ანარქიზმის მაშინდელი ლიდერის მიხაკო წერეთლის შემდეგი სიტყვებით: „რა არის კანონი? — ძალმომრეობის, ძარცვა-გლეჯის, დამონების, კაცის კვლისა და ავაზაკობის ორგანიზაციის დადგენილება“. ან კიდევ: „სანამ არ მოისპობა იმისთანა ანტისოციალური მოვლენა, როგორიცაა კანონმდებლობა და მმართველობა, მანამ დანაშაული და მონობა კაცობრიობის მარადიული ხვედრი იქნება“.

რასაკვირველია, მე ამით არ მინდა ვთქვა, თითქოს ხსენებული პერიოდისათვის მხოლოდ წმინდა, ორთოდოქსალური ანარქიზმი იყო გავრცელებული და სხვა არაფერი. მაგრამ მთლიანობაში ის სხვადასხვა პოლიტიკური მოძღვრებები, რომლებიც შემოდიოდა ჩვენში ევროპიდან იმ დროს, ასე თუ ისე მაინც უარყოფითად აფასებდნენ სახელმწიფოსა და სამართალს. თვითონ მარქსისტული მოძღვრებაც კი, რომელიც ძლიერ მალე გავრცელდა საქართველოში, საბოლოო ანგარიშით მაინც, როგორც ვიცით, სახელმწიფოსა და სამართლის კვდომის აუცილებლობას ქადაგებდა. მართალია, ორთოდოქსალური ანარქიზმისაგან განსხვავებით, მარქსიზმის თანახმად სახელმწიფოსა და

სამართლის სრული კვლევა უნდა მოხდეს მომავალში, მაშინ, როცა სრული კომუნისტური საზოგადოება აშენდება, მაგრამ მანამდე ეს კვლევა თანდათანობით, ნელ-ნელა უნდა დაიწყოს და განხორციელდეს.

მარქსისტების მიხედვით, კაპიტალიზმიდან სრული კომუნისტური საზოგადოების დამყარებამდე საზოგადოებას უნდა გაეწოდებინათ პერიოდი, რომელსაც სოციალიზმი ეწოდებოდა. სოციალიზმი იყო კომუნიზმის პირველი ფაზა ანუ კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალი ეპოქა. სწორედ ამ გარდამავალ პერიოდში უნდა დარჩენილიყო კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი მოვლენა, როგორცაა, მაგალითად, სახელმწიფო და სამართალი. მაგრამ კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, სოციალიზმის დროს ამ მოვლენებს გარკვეული თავისებურებანი უნდა ახასიათებდეს. ეს თავისებურება იმით გამოიხატება, რომ ამ გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო და სამართალი კი არ მტკიცდება, სრულყოფისაკენ კი არ მიდის, არამედ, როგორც უკვე ვთქვით, „კვდომას“ იწყებს, თანდათანობით ტოვებს საზოგადოებრივ სარბიელს. ლენინი თავის ნაშრომში „სახელმწიფო და რევოლუცია“, რომელიც 1917 წელს დაწერა, სახელმწიფოს სოციალიზმის დროს „ნახევრად სახელმწიფოს“ უწოდებდა. „ნამდვილად აქ ენგელსი ლაპარაკობს პროლეტარული რევოლუციის მიერ ბურჟუაზიის სახელმწიფოს „მოსპობაზე — წერდა იგი — მაშინ, როდესაც სიტყვები კვდომის შესახებ ეხება პროლეტარული სახელმწიფოებრიობის ნაშთებს სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. ბურჟუაზიული სახელმწიფო კი არ „კვდება“, ენგელსის მიხედვით, არამედ „ისპობა“ პროლეტარიატის მიერ რევოლუციაში. ამ რევოლუციის შემდეგ კვდება პროლეტარული სახელმწიფო ან ნახევარსახელმწიფო“ („სახელმწიფო და რევოლუცია“, გვ. 21). მაშასადამე, სოციალიზმის დროს სახელმწიფო არის „ნახევარსახელმწიფო“. ამის შესაბამისად სამართალიც „ნახევარსამართალი“ უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ სამართალი სოციალიზმის დროს თანდათან სუსტდება და შემდეგ სრულ კვდომას აღწევს.

ახლა ძნელია იმის თქმა, რა იქნება მომავალში და როგორ სახეს მიიღებს სამართალი. მაგრამ ის კი შეიძლება დანამდვილებით ითქვას, როგორი ზეგავლენა მოახდინა ამ თეზისმა ოციანი და ოცდაათიანი წლების ჩვენს პრაქტიკულ ცხოვრებაზე, როგორ გამოიყენეს ეს დებულება მაშინდელმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა. საქმე ის არის, რომ ოცი-ოცდაათიანი წლებისათვის სამართლის კვდომის აუცილებლობის მარქსისტული თეზისი ისე პრიმიტიულად იყო გაგებული, თითქოს სულ რაღაც ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ სრული კომუნისტური საზოგადოება ჩამოყალიბდება და სამართალი, ესე იგი სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონმდებლობა საჭირო აღარ იქნება. ადვილი წარმოსადგენია, რა უარყოფითი შედეგები შეიძლებოდა მოყოლოდა ხსენებული თეზისის ამგვარ გაგებას ჩვენს პრაქტიკულ ცხოვრებაში, უფროსი თაობის იურისტებისაგან გამიგია, რომ იყო შემთხვევები, როცა თურმე იურიდიულ ფაკულტეტს ტოვებდა სტუდენტობა და სხვა ფაკულტეტზე გადადიოდა იმის შიშით, რომ მალე კომუნიზმში გადავალთ და სამართალი მოკვდება, უპროფესიოდ დავრჩებითო. სამართლებრივად ისედაც ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც კანონიერების დაცვისა და განმტკიცების არავითარ ტრადიციები არ არსებობდა, სამართლის კვდომის აუცილებლობის ასეთი პრიმიტიული გაგება

ოფიციალური იდეოლოგიის მიერ, ცხადია, კარგს არას უქადდა პიროვნების თავისუფლებას.

სამართლის კვდომის მარქსისტულმა თეზისმა ოცი-ოცდაათიან წლებში ანარქისტული მოძღვრებისათვის დამახასიათებელი „სამართლებრივი ნიჰილიზმი“ გამოიწვია. სამართალმა იურიდიული დაწესებულებიდან პარტიულ ორგანოში გადაინაცვლა, რასაც მოჰყვა პოლიტიკის პრიმატი სამართლის მიმართ. ოციანი წლების ერთ-ერთი ავტორი პირდაპირ განსაზღვრავდა იმდროინდელი სამართლებრივი აზროვნებისათვის დამახასიათებელ ასეთ ნიშანს: „პოლიტიკური თვალსაზრისის პირველობის დადგენა სამართლებრივზე მალლა“ (იხ. А. М. Попов, «Основные течения марксистской юридической мысли», 1925, стр. 91).

რასაკვირველია, „სამართლებრივ ნიჰილიზმს“ არ გამოუწვევია პოზიტიური სამართლის სავსებით გაუქმება, მაგრამ მის სრულ დეფორმაციას რომ შეუწყო ზელი, ეს კი აშკარაა. როგორც ვიცით, სამართალს საზოგადოდ, კერძოდ კი პოზიტიურ სამართალს ის თვისება აქვს, რომ მან ერთგვარი წონასწორობა უნდა დაამყაროს კერძო ანუ პირად და საზოგადო სიკეთეთა შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ როცა სამართალი საზოგადო სიკეთეს იცავს და ამისათვის პირად სიკეთეს ზღუდავს, ესე იგი მოქალაქის, ამ შემთხვევაში დამნაშავეის უფლებებში იჭრება. ეს პირადი სიკეთე სულ კი არ უნდა გაანადგუროს საზოგადო სიკეთის დაცვის ხარჯზე, არამედ მასზეც უნდა იზრუნოს. მასაც ანგარიში უნდა გაუწიოს. სამწუხაროდ, ოციან წლებში დამკვიდრებულმა „სამართლებრივმა ნიჰილიზმმა“, სამართლის უგულვებელყოფამ უხეშად დაარღვია ზემოთ აღნიშნული წონასწორობა კერძო და საზოგადო სიკეთეთა შორის. მარქსისტულ იდეოლოგიაზე დაყრდნობით, რადგან კაპიტალისტური ეპოქისაგან განსხვავებით, სოციალიზმისათვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი მომენტის წინა პლანზე წამოწევა, ეგრეთ წოდებულ სოციალისტურ სამართალშიც წინ წამოიწია სამართლის საზოგადოებრივმა ფუნქციამ. სამართლის ძირითად ამოცანად იქცა საზოგადოებრივი სიკეთის უპირატესი დაცვა. პირადმა სიკეთემ, როგორც წარსულის, კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელმა მოვლენამ, მეორე პლანზე გადაინაცვლა. საკითხისადმი ასეთმა მიდგომამ დამლუბველად იმოქმედა პიროვნების საზოგადოებრივ მდგომარეობაზე. სისხლის სამართალში ამას მოჰყვა ბარბაროსულად მკაცრი სასჯელების დაწესება. მოვიტან რამდენიმე მაგალითს.

საბჭოთა კავშირის ცაკის 1929 წ. 21 ნოემბრის დადგენილების თანახმად „ის პირი, რომელიც უარს იტყვის სსრ კავშირში დაბრუნებაზე, გამოცხადდება კანონს გარეშე (პ. 2). კანონს გარეშე გამოცხადება გამოიწვევს: ა) მსჯავრდადებულის მთელი ქონების კონფისკაციას; ბ) მსჯავრდადებულის დახვრეტას 24 საათის შემდეგ მისი პირადობის გამორკვევიდან“.

ასეთივე არაადამიანურად მკაცრი და ბარბაროსული იყო 1932 წ. 7 აგვისტოს კანონი, რომლის თანახმად „ვინც ცდილობს ზელი ახლოს საზოგადოებრივ საყუთრებას. უნდა ჩაითვალოს **ხალხის მტრად**“ (ო. გ.). ამ კანონით დამნაშავეს „...რკინის გზის და წყლის ტრანსპორტზე ტვირთის მტაცებლობისათვის (უნდა) შეეფარდოს სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მთელი ქონების კონფისკაციით“, ხოლო შემამსუბუქებელ გარემოებებში ეს ღონისძიება შეიძლება შეიცვალოს თავისუფლების აღკვეთით „არანაკლებ 10 წლისა ქონების კონფისკაციით“. ანალოგიური ღონისძიება იქნა დაწესებული

ამ კანონით „საკოლმეურნეო და კოოპერატიული ქონების მტაცებლობისაშ-  
ვის“.

არსებითად ასეთივე მდგომარეობაა ამჟამად მოქმედ საბჭოურ სისხლის სამართალშიც. მაგალითად, საქართველოს სსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მეორე თავში აღწერილია სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ხოლო პირადი ქონების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები მხოლოდ მეხუთე თავშია გათვალისწინებული. მართო ეს ფაქტიც კი მოწმობს იმას, რომ სოციალისტური საკუთრების დაცვას უპირატესობა ეძლევა პირადთან შედარებით. სწორედ ამის გამო სოციალისტური ქონების ხელყოფა პრინციპულად უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე პირადი ქონების ხელყოფა. თითქმის სამი ათეული წელია, რაც მოქმედებს ჩვენი კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლი (სხვა კოდექსების შესაბამისი მუხლების ანალოგიურად), რომელიც სახელმწიფო და საზოგადო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებისათვის სიკვდილით დასჯასაც ითვალისწინებს. წლების განმავლობაში ამ მუხლმა უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

მკითხველის ყურადღება მიინდა მივაქციო კიდევ ერთ საკანონმდებლო აქტზე, რომელიც ოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში გამოიცა. კიროვის მკვლელობის შემდეგ (1.12.34 წ.) სასწრაფოდ შევიდა ცვლილება მოქმედ საბჭოურ საპროცესო კანონმდებლობაში, რომლის მიხედვით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი ტერორისტული აქტების საქმეები უნდა განხილულიყო შემდეგნაირად: 1) ასეთი საქმის გამოძიება უნდა დასრულებულიყო ათი დღის განმავლობაში; 2) ბრალდებულს საბრალდებო დასკვნა უნდა ჩაბარებოდა ერთი დღით ადრე საქმის განხილვამდე; 3) საქმის მოსმენა უნდა მომხდარიყო მხარეთა მონაწილეობის გარეშე; 4) არ დაიშვებოდა არც განაჩენის საკასაციო გასაჩივრება და არც შუამდგომლობა შეწყალებისათვის; 5) სიკვდილის განაჩენი უნდა აღსრულებულიყო დაუყოვნებლივ ამ განაჩენის გამოტანისთანავე. ანალოგიური საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ყოველნაირად ზღუდავდა ადამიანის უფლებებს, ბევრი გამოიცემოდა მომდევნო წლებშიც.

დღესაც მოქმედებს ზოგიერთი ისეთი აქტი, რომლებიც ადამიანის უფლებებს ეწინააღმდეგება, რადგან ოციანი წლებიდან ჩვენში ოფიციალურად დამკვიდრებული სამართლებრივი ნიპილიზმი ჯერ კიდევ არ არის დაძლეული მთლიანად.

სამართლებრივი ნიპილიზმი და მისგან გამოწვეული სამართლის გამრუდება, ადამიანის უფლებების არნახული შეზღუდვა, აი, რამ შეუწყო ხელი ოციანი წლების მეორე ნახევრიდან დაწყებულ დიქტატურისათვის ბრძოლას, რაც საბოლოოდ სტალინის სისხლიანი დიქტატურის დამყარებით დაგვირგვინდა. ეს დებულება რომ განვაზოგადოთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ბოლშევიზმის მთელი სამოცდაათწლიანი ისტორიისათვის დამახასიათებელია სამართლის სრული უგულვებელყოფა. მაგრამ იქ, სადაც არ არის სამართალი, არ არის არც პიროვნება, ინდივიდი. ამიტომ იყო, რომ ბოლშევიზმი ყოველგვარი პიროვნულის, ყოველგვარი ინდივიდუალურის წინააღმდეგ იბრძოდა. ჩვენში მხოლოდ ერთი პიროვნება არსებობდა: ეს იყო პარტიული ლიდერი. სულ ერთია, იქნებოდა რაიონული, რესპუბლიკური თუ საკავშირო მასშტაბის ხელმძღვანელი. კლასიკური სახით ეს ვითარება, რასაკვირველია, სტალინის დიქტატურის წლებში გამოვლინდა. ჩემი თაობის ადამიანებს უთუოდ ეხსომებათ, რომ, თუკი რაიმე საკითხზე სტალინი თავის მოსაზრებას გამოთქვამდა, ეს მოსაზრება

ისევე სავალდებულოდ ითვლებოდა ყველასათვის, როგორც სახარება ღვთისმცოდნეობის მსახურისათვის. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა, მაგალითად, მაშინ, როცა გამოქვეყნდა სტალინის ნაშრომები ენათმეცნიერების, ეკონომიკისა და სხვა საკითხებზე, ყოველივე ამან მეცნიერებისა და კულტურის არნახული ჩამორჩენა გამოიწვია. თუმცა, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების არც სხვა სფეროებს დადგომია კარგი დღე.

თანამედროვე რუსული საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა სახელმწიფოს სამოცდაათწლიან ისტორიას სამ მთავარ პერიოდად ყოფს: რეპრესიების წლები (სტალინი), ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის პერიოდი (ხრუშჩოვი) და უძრაობის პერიოდი (ბრეჟნევი, ანდროპოვი). ეს დაყოფა აშკარად ხელოვნური და მიუღებელია. განა ოცდაათიან-ორმოციანი წლების რეპრესიები შეიძლებოდა სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის გარეშე? განა ბრეჟნევის დროს არ ყოფილა რეპრესიები? ეს ხომ არსებითად ნეოსტალინიზმის ბატონობის ეპოქაა! მართალია, სტალინის ეპოქისაგან განსხვავებით შენეულა დახვრეტები, ციმბირში გადასახლება, სამაგიეროდ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ შემოიღეს ახალი მეთოდები (ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება, საზღვარგარეთ გაძევება და სხვა).

როგორ და როდის მოხდა სტალინიზმიდან ნეოსტალინიზმზე გადასვლა? ამ კითხვას რომ პასუხი გავცეთ. აუცილებელია საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის ახლებური პერიოდიზაცია. პირველ პერიოდად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის ის ხანა, როცა ჩვენში სრული სამართლებრივი ნიპილიზმი ბატონობდა, როცა ოფიციალური იდეოლოგია სამართლის კვდომის მარქსისტულ თეზისს იცავდა და სრული კომუნისტური საზოგადოების აშენებას გვპირდებოდა, სადაც აღარ იქნებოდა საჭირო აღარც სახელმწიფოს და აღარც სამართლის არსებობა. ამ გზით მიდიოდა საბჭოთა სახელმწიფო 1917 წლიდან 1956 წლამდე. ამიტომ იყო, რომ ყველაზე დიდი რეპრესიები საბჭოთა კავშირში სწორედ დროის ამ მონაკვეთში მოხდა.

1956 წლიდან, როცა პარტიის მე-20 ყრილობაზე ხრუშჩოვმა გააკრიტიკა „სტალინის პიროვნების კულტი“ და არსებითად დაგმო ოცდაათიანი წლების კანონიერების დარღვევები, საბჭოთა სახელმწიფოს განვითარებაში ახალი ხანა დაიწყო. თუ მანამდე საბჭოთა სახელმწიფო მიდიოდა სამართლებრივი ნიპილიზმისა და ამის საფუძველზე კანონიერების შესუსტების გზით, 1956 წლიდან, როცა გაიკიცხა წარსულში მომხდარი კანონიერების დარღვევები, დაისახა ახალი გზა, რაც კანონიერების განმტკიცებას მოითხოვდა. ამით არსებითად მოხდა სამართლის კვდომის მარქსისტული თეზისის დასამარება<sup>1</sup>. ამიტომ იყო, რომ სწორედ 1956 წ. მომდევნო პერიოდთან დაიწყო ჩვენში ფართო საკანონმდებლო რეფორმის გატარება. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პიროვნების თავისუფლების გარანტიას, რასაც დასაბამი მიეცა 1958 წ. დაწყებული სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმით. მაგრამ ეს ახალი პერიოდი, რასაც საბოლოოდ ლოგიკურად უნდა მივეყვანეთ სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებამდე, სათანადო სისრულით მაინც ვერ განვითარდა. კონსერვატორულად განწყობილმა ძალებმა იმდენი ქნეს, რომ

<sup>1</sup> ნ. ხრუშჩოვის მიერ იმის განცხადება, თითქოს ოთხმოციანი წლებში ჩვენი თაობა კომუნისმში იცხოვრებდა, უფრო ხარკის მოხდას ჰგავდა კონსერვატორული ძალების წინაშე და ამ დებულებას ადრინდელი პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

ნეოსტალინიზმის სახით მაინც მოახერხეს ბოლშევიკური რეჟიმის შენარჩუნება და მისი არსებობის გახანგრძლივება.

ბოლშევიზმის ნამდვილი კრიზისი, ამ კაცთმოძულე რეჟიმის არსებითი შერყევა მხოლოდ ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო. 1988 წელს საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის ისტორიაში ოფიციალურად პირველად ითქვა, რომ ჩვენში უნდა აშენდეს სამართლებრივი სახელმწიფო. თუკი უკანასკნელი ოთხი-ხუთი წლის ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს ასაშენებლად უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები. განსაკუთრებით უნდა მივესალმოთ იმ ფაქტს, რომ სულ ახლახან გაუქმდა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მე-6 მუხლი და დაიწყო მრავალპარტიულ სისტემაზე გადასვლა. თუ ეს პროცესი წარმატებით დაგვირგვინდება, ამით არსებითად დამთავრდება საბჭოთა კავშირში ანარქიზმის ბატონობის პერიოდი. ბევრს შეიძლება გაუკვირდეს კიდევ ჩვენი წარსული პოლიტიკური ცხოვრების ამგვარი კვალიფიკაცია. მაგრამ, ჩვენი ღრმა რწმენით, ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური რეჟიმი, ანარქიზმის ნაირსახეობაა. ანარქიზმის არსი ის გახლავთ, რომ უქმდება სახელმწიფო (მასთან ერთად კანონმდებლობაც) და ძალაუფლება გადადის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელში, ესე იგი არასახელმწიფოებრივი ორგანო იკავებს სახელმწიფო ორგანოს ადგილს. თუ დავაკვირდებით, არსებითად ასეთი მდგომარეობა იყო შექმნილი ისტორიულად საბჭოთა კავშირში. პარტია, ესე იგი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, არასახელმწიფოებრივი ორგანო, იდგა სახელმწიფო ხელისუფლებაზე მაღლა. რეალური ხელისუფლება იყო არა სახალხო დემუტატთა საბჭოში ან უმაღლეს საბჭოში, არამედ შესაბამის პარტიულ ორგანიზაციაში. მაშასადამე, სახელმწიფო სუვერენიტეტი შეზღუდული იყო გარეშე ძალით. ეს გარეშე ძალა კი, ცხადია, არ იყო სახელმწიფო ხელისუფლება.

დღეს, როცა ქვეყანა გადადის მრავალპარტიულ სისტემაზე, არსებითად ხდება ანარქიზმის პრაქტიკული დაძლევა პოლიტიკურ სფეროში, რადგანაც არცერთ პარტიას არ ექნება იმის უფლება, რომ უკარნახოს სახელმწიფო ხელისუფლებას თავისი ნება. ყოველ პარტიას უფლება ექნება მხოლოდ ამტკიცოს თავისი პოზიცია პარლამენტში. პარლამენტი, როგორც მთელი ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო, თვითონ გადაწყვეტს, როდის რომელი კანონი უნდა მიიღოს და რომელი გააუქმოს. მხოლოდ ასეთი პარლამენტი გამოხატავს მთელი ხალხის ნებას და არა რომელიმე პარტიული ჯგუფის კერძო ინტერესს, როგორც ეს აქამდე იყო, მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება აღდგეს კანონის ავტორიტეტი და დამკვიდრდეს კანონის უზენაესობა ქვეყანაში, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს აუცილებელი კომპონენტია.

კანონის უზენაესობა იმას გულისხმობს, რომ კანონი, როგორც საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოცემული აქტი, ყველა ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტზე უფრო მაღლა უნდა იდგეს, მაგალითად, მინისტრთა საბჭო არ არის საკანონმდებლო ორგანო. ამიტომ მას არ შეუძლია გამოსცეს კანონი. მინისტრთა საბჭოს დადგენილება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია. ასევე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არიან სხვა არასაკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოცემული აქტებიც. ამ დებულებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კანონს. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მათ შორის წინააღმდეგობაა, უნდა იმოქმედოს კანონმა და არა კანონქვემდებარე აქტმა.

სამწუხაროდ, კანონსა და კანონქვემდებარე აქტს შორის ზემოთ აღნიშნული ურთიერთობა ჩვენს ქვეყანაში ყოველ ნაბიჯზე ირღვევა. შეიმჩნევა ერთგვარი მოზღვავება კანონქვემდებარე აქტებისა, რომლებიც კანონებს ეწინააღმდეგებიან. რომელ დაწესებულებაშიც არ უნდა შეხვიდე და მოითხოვო შენი კანონიერი უფლების განხორციელება, შესაბამისი დარგის მოხელე ამ უფლების განხორციელებაზე უარს გეტყვის და საბუთად მოიშველიებს ამა თუ იმ დებულებას ან ინსტრუქციას, სადაც პირდაპირაა აკრძალული ის მოქმედება, რომლის შესრულების უფლებასაც კანონი გაძლევს. ასე, რომ სახელმწიფო ერთი ხელით რომ გაძლევს უფლებას, მეორე ხელით გართმევს მას. ამიტომ დღემდე კანონს ჩვენში უფრო პრობაგანდისტული ფუნქცია აქვს, ვიდრე ნამდვილი სამართლებრივი აქტის მნიშვნელობა. ამიტომ არის, რომ ჩვენში კანონის ტექსტი უმოქმედოა და არ იძლევა მოქალაქის უფლების დაცვის გარანტიას. სამართლებრივ სახელმწიფოში უნდა შეიქმნას სპეციალური მექანიზმი, რომელიც ადამიანის უფლების დაცვის გარანტიას უზრუნველყოფს. ბევრ ქვეყანაში ასეთი მექანიზმი არსებობს. საბჭოთა კავშირში უკვე შეიქმნა კონსტიტუციური კონტროლის კომიტეტი, რომელმაც ზემოთ დასახელებული მექანიზმის როლი უნდა შეასრულოს. საქართველოში ასეთი ორგანო ჯერ კიდევ არ შექმნილა. ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი ორგანო, რომელიც შესაბამისი დაწესებულების წინაშე დააყენებს კანონსაწინააღმდეგო ნორმატიული აქტის, კონსტიტუციის საწინააღმდეგო კანონის გაუქმების საკითხს, ხოლო, ვიდრე ეს კანონქვემდებარე აქტი ან კანონი არ გაუქმებულია, უზრუნველყოფს მოქალაქის კანონიერი (კონსტიტუციური) უფლების დაცვას.

მაგრამ კანონის უზენაესობის პრინციპის განხორციელების დროს არ უნდა გადავვარდეთ მეორე უკიდურესობაში და ამ პრინციპმა არ უნდა მიგვიყვანოს კანონის ფეტიშიზმამდე, კანონი ფეტიშად არ უნდა ვაქციოთ. ასეთი საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ, თუ ჩვენ კანონის უზენაესობას გამოვიყენებთ ბოროტად, თუ კი კანონმდებელი გამოსცემს დანაშაულებრივ კანონებს. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა, მაგალითად, გერმანიაში ფაშისტების ბატონობის დროს. როგორც ცნობილია, ნიურნბერგის პროცესზე, სადაც გერმანიის მთავარ სამხედრო დამნაშავეებს ასამართლებდნენ, განსასჯელები თავს იმით იმართლებდნენ, რომ ისინი იცავდნენ კანონიერების პრინციპს, ესე იგი მოქმედებდნენ კანონის საფუძველზე. მაგრამ ბრალმდებლებმა მათ უპასუხეს, რომ კანონები, რომლებსაც ისინი ასრულებდნენ, დანაშაულებრივი იყო და მათ არ ჰქონდათ უფლება ემოქმედათ დანაშაულებრივი კანონების საფუძველზე. საგულისხმოა, რომ იმ ოთხ სახელმწიფო ბრალმდებელთა შორის, რომლებიც ნიურნბერგის პროცესზე გამოდიოდნენ, საბჭოთა ბრალმდებლებიც იყვნენ. მაშასადამე, საბჭოთა მხარემ გაიზიარა ის შეხედულება, რომ სახელმწიფომ შეიძლება გამოსცეს ზნეობრივიც და უზნეო, ესე იგი დანაშაულებრივი კანონებიც.

უსამართლო და უზნეო კანონები ბოლშევიკური რეჟიმის სამოცდაათწლიანი ისტორიის მანძილზე მრავლად გამოიციემოდა საბჭოთა კავშირშიც. დანაშაულებრივი იყო, მაგალითად, საბჭოთა კავშირის ცაკ-ის 1929 წ. 21 ნომბრის დადგენილება და სხვა ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული კანონებიც. ასევე დანაშაულებრივი იყო საბჭოთა კავშირის 1927 წ. სახელმწიფო დანაშაულთა კანონის ბევრი მუხლი, მათ შორის ისიც, რომელიც აწესებდა

პასუხისმგებლობას აგიტაციისა და პროპაგანდისათვის საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად და სხვ. (იხ. საქართველოს სსრ 1928 წ. სსკ-ის 58<sup>10</sup> მ. და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ-ის შესაბამისი მუხლები). ასევე უნდა შეფასდეს საბჭოთა კავშირის 1958 წ. 25 დეკემბერს მიღებული სახელმწიფო დანაშაულთა კანონის მე-7 მუხლიც, რომელიც აწესებდა პასუხისმგებლობას „ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისათვის“ (იხ. საქართველოს სსრ სსკ-ის 71-ე მ. და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სსკ-ის შესაბამისი მუხლები, იგულისხმება 1989 წ. 8 აპრილამდე მოქმედი რედაქცია). ამ მუხლით, რომელიც სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოქმედებდა, ისჯებოდა „აგიტაცია ან პროპაგანდა საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების...“ და ა. შ. მიზნით. რას ნიშნავდა და როგორ ჰქონდათ გაგებულნი ჩვენს მართლმსაჯულების ორგანოებს სიტყვები „ძირის გამოთხრა ან შესუსტება?“ ყოველგვარი იმ უკანონობის კრიტიკა, რასაც ჩვენი მმართველი წრეები სჩადიოდნენ, განიხილებოდა აგიტაციად ან პროპაგანდად, რომელიც ძირს უთხრიდა ან ასუსტებდა საბჭოთა სახელმწიფოს. სხვა რა უნდა ვუწოდოთ, თუ არა დანაშაულებრივი, იმ კანონს, რომელიც მძიმე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებდა ბოლშევიკური რეჟიმის ყოველგვარი სამართლიანი კრიტიკისათვის? რომ ეს ლიტონ სიტყვებად არავის მოეჩვენოს, დავიმოწმებ პრესის და საზოგადოდ მასობრივი ინფორმაციის ყოველგვარი საშუალების მეტად უჩვეულო გააქტიურების ამბავს საბჭოთა კავშირში ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრიდან. ის, რაც დღეს ჩვენი პრესის ფურცლებზე იწერება, წარსულში, კერძოდ, სამოციან, სამოცდაათიან და ოთხმოციანი წლების პირველი ნახევრისათვისაც კი თავისუფლად დაკვალიფიცირდებოდა „აგიტაციად და პროპაგანდად“ საბჭოთა სახელმწიფოს ძირის გამოთხრისათვის, მაშასადამე, ჩვეულებრივი კრიტიკული გამოსვლა დანაშაულად განიხილებოდა. ამიტომ არის, რომ კანონი, რომელიც ადამიანის ჩვეულებრივ, ყოველდღიურ, ნორმალურ საქმიანობას დანაშაულად აცხადებს, თვითონ ხდება დანაშაულებრივი აქტი. განსაკუთრებით ხშირად გამოიყენებოდა „აგიტაციისა და პროპაგანდის“ მუხლი ორთოდოქსალური ბოლშევიზმის ბატონობის დროს, ესე იგი 1956 წლამდე, როცა ყოველგვარი ჩვეულებრივი უკმაყოფილო (ზოგჯერ ესეც არ იყო საჭირო) გადალაპარაკება „აგიტაციად და პროპაგანდად“ კვალიფიცირდებოდა. თუმცა 1989 წ. 8 აპრილს „აგიტაციისა და პროპაგანდის“ მუხლი უკვე გაუქმდა (იხ. 1958 წ. 25 დეკემბრის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დანაშაულთა კანონის მე-7 მუხლის 1989 წ. 8 აპრილის რედაქცია), სამწუხაროდ, მისი კვალი დღემდეა შემორჩენილი მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსებში. მხედველობაში მაქვს საქართველოს სსრ სსკ-ის 206<sup>1</sup> მუხლი (აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სსკ-ის შესაბამისი მუხლები), რომლითაც ისჯება „სიტყვიერი ფორმით სისტემატური გავრცელება შეგნებულად ცრუ მონაპორისა, რომელიც სახელს უტეხს საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესწყობილებას, აგრეთვე ამავე შინაარსის ნაწარმოებების წერილობით, ბეჭდვით ან სხვა ფორმით დამზადება თუ გავრცელება“. ეს მუხლი ტექსტობრივად ემთხვევა ზემოთ ხსენებულ სახელმწიფო დანაშაულთა კანონის მე-7 მუხლის ადრინდელ ტექსტს (საქართველოს სსრ სსკ-ის 71-ე მ.). ამიტომ დასახელებული კანონის მე-7 მუხლის ძველი რედაქციის შეცვლამ საქართველოს სსრ სსკ-ის 206<sup>1</sup> მუხლს უკვე თავისთავად დაუქარგა ძალა, თუმცა ეს უკანასკნელი მუხლი ფორმალურად ისევ დარჩა კოდექსში. აქედან ის

უნდა დავასკვნათ, რომ 206<sup>1</sup> მუხლი, რომელიც თავის დროზეც დანაშაულებრივი კანონი იყო, მით უმეტეს აღარ შეიძლება გამოყენებული იქნეს დღეს, როცა სახელმწიფო დანაშაულთა კანონის მე-7 მუხლის ამჟამინდელი რედაქცია 206<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ ქმედობას დანაშაულად აღარ მიიჩნევს.

უზნეოდ და უსამართლოდ უნდა ჩაითვალოს, მაგალითად, 1990 წ. 10 აპრილის კანონი, რომელიც სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის წესს ადგენს. ეს კანონი, რომელიც ლიტვის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ არის მიღებული, არსებითად ართმევს მოკავშირე რესპუბლიკას სსრ კავშირიდან გასვლის უფლებას, რაც ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აშკარად ეწინააღმდეგება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. 1922 წ. 22 დეკემბრის ხელშეკრულება (თუ მას ხელშეკრულება დაერქმევა), რომლითაც საბჭოთა კავშირი შეიქმნა, საერთაშორისო სამართლებრივი აქტია. ამიტომ თვითეულ რესპუბლიკას, რომელიც ხელშეკრულების სუბიექტია, სრული უფლება აქვს ცალმხრივად თქვას უარი ამ ხელშეკრულებაზე ყოველგვარი პირობისა და დათქმის გარეშე. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ 1921 წ. 25 თებერვალს რუსეთმა დაიპყრო საქართველო და კოლონიად აქცია.

წარსულში უზნეოდ და დანაშაულებრივი კანონების საფუძველზე საბჭოთა კავშირში ასი ათასობით უდანაშაულო ადამიანი დაისაჯა. ამიტომ შემდეგში საჭირო გახდა ამ ხალხის რეაბილიტაცია. პირველად უსამართლოდ მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია, როგორც ცნობილია, ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ შეწყდა კონსერვატორული ძალების ზემოქმედების შედეგად. შემდეგ ეს პროცესი განახლდა ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრიდან და რამდენადაც ვიცი, დღემდე გრძელდება. შეიქმნა საკავშირო და რესპუბლიკური კომისიებიც, რომლებიც ამ საქმეს ხელმძღვანელობენ. კონსერვატორული ძალები, ეტყობა ახლაც დიდად აფერხებენ ამ საკითხის სწორად და სამართლიანად მოგვარებას. ეს იქიდანაც ჩანს, რომ საზოგადოებას არა აქვს სრული და ობიექტური ინფორმაცია იმისა, თუ რა გაკეთდა ამ მხრივ და რა კეთდება დღეს... დახურული კარის მიღმა კი საკითხები ალბათ ისე წყდება, როგორც ეს ძველი რეჟიმის მომხრეებს აძლევთ ხელს...

მაგრამ მართო უსამართლოდ მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია როდი კმარა. აუცილებელია, რომ პასუხი ავონ იმ ადამიანებმა, ვინც ბოლშევიზმის რეჟიმის ბატონობის დროს პიროვნების უფლებებს ფეხქვეშ თელავდა და უდანაშაულო ადამიანებს აწამებდა. ორმოცდაათიანი წლების შუახანებში თბილისსა და ზოგიერთ სხვა ქალაქში რამდენიმე სასამართლო პროცესი გაიმართა. მაშინ გაასამართლეს მაღალი თანამდებობის პირები, რომლებმაც ოცდაათიანი-ორმოციანი წლებში თანამდებობის ბოროტად გამოყენებით მრავალი ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეიწირეს, ბევრ უდანაშაულოს ციხეში უკრეს თავი... მაგრამ არც მაშინ დასჯილა ყველა, ვინც მართლა დასჯის ღირსი იყო და არც დღეს ისჯება. დღესაც ბევრია ჩვენში ისეთი ადამიანი, ვისაც მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი. მაგრამ ისინი ძალიან მშვიდად გრძნობენ თავს, რადგან მათი ხელშეუხებლობა საიმედოდ არის უზრუნველყოფილი... ბევრი მათგანი, რომ იტყვიან, დამსახურებულ პენსიაშია და ჩინ-მედლებით მკერდდამშვენებული კმაყოფილებით იგონებს თავის წარსულს. საკმარისია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აღმოჩნდეს ვინმე, ვისაც ომის დროს ფაშისტებთან უთანამშრომლია, რომ ის მაშინვე ყველა

წესის დაცვით გაასამართლონ და სასტიკად დასაჯონ, მაშინ, როცა კაცს, მელიც ბოლშევიკური რეჟიმის სამსახურში იდგა და ადამიანობის საწინააღმდეგო დანაშაულს სჩადიოდა, არათუ სჯიან, პირიქით, ზოგჯერ დიდ პატივშიც ჰყავთ.

შარშან „ლიტერატურნაია გაზეტამ“ (1989, № 11) ქვეყანას მოჰფინა პ. გრიშაევის დანაშაულებრივი საქმიანობის ამბავი. ოთხი ენის მცოდნე პ. გრიშაევი ჯერ ნიურნბერგის პროცესზეა. მან იქ დაკითხა გროს-ადმირალი რედერი და ნაცისტთა იდეოლოგი ფრიჩე. ორმოციანი წლების ბოლოს და ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში კი, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს უდიდეს საქმეთა გამომძიებლის პოსტზე ყოფნისას, იგი თვითონ ახდენს სისხლის სამართლის საქმეთა ფალსიფიკაციას და სჩადის ადამიანობის საწინააღმდეგო დანაშაულებს, მიუხედავად ამისა, პ. გრიშაევი ამჟამად პროფესორია, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. მისი ფოტოსურათი მოსკოვის ერთ-ერთი კვლევითი ინსტიტუტის საპატიო დაფაზეცაა გამოკრული. კორესპონდენტს იგი სიამაყით აცნობს თავის ბიოგრაფიულ მონაცემებს. მაგრამ, როცა საქმე მიდგება დანაშაულებრივ ფაქტებზე, იგი მაშინვე დადუმდება და მხოლოდ იმას ამბობს, რომ ასეთი ფაქტები არ ახსოვს. თუმცა კორესპონდენტს საქმარისი მასალა შეუფეროვებია მისი დანაშაულების მხილებისათვის. (А. Ваксберг, «Заслуженный деятель»)

ახლახან ქურნალმა „იუნოსტმა“ (1990, № 2) გამოაქვეყნა თავის დროზე მთელს საქართველოში ფრიად გახმაურებული ტრაგიკულად დაღუპული ნ. შამანაურის დღიურები. ამ საკითხს გაზეთი „საქართველოც“ გამოეხმაურა. როცა ამ მასალებს ეცნობი, გრძნობ, რომ აქ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის აშკარა საბაბი არსებობს. მოქმედი კანონმდებლობით პრესაში გამოქვეყნებული ცნობა საქმის აღძვრის საბაბს წარმოადგენს. მაგრამ, რამდენადაც ვიცით, ამ საქმეზე დღემდე არაფერი გაკეთებულა. ოფიციალური აზრი მეტად საეჭვოდ დუმს.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დანაშაულთა კანონის ზემოთ ხსენებული მე-7 მუხლის ძველი რედაქცია, რომელიც აწესებდა პასუხისმგებლობას აგიტაციისა და პროპაგანდისათვის, 1989 წ. 8 აპრილს მეტად უხმაუროდ შეიცვალა. სინამდვილეში ეს მუხლი და ანალოგიური მუხლები უნდა გამოცხადებულიყო დანაშაულებრივ კანონებად. დანაშაულებრივ ორგანიზაციებად უნდა გამოცხადებულიყო აგრეთვე ზოგიერთი წარსულში არსებული დამსჯელი ორგანოები, როგორც იყო, მაგალითად «Тройка» („სამეული“), «Особое совещание» და სხვ. მთელი თავისი იურიდიული შედეგებით. ეს ორგანოები დღეს, მართალია, აღარ არსებობენ, მაგრამ მათ დაგმობას აქვს უდიდესი ისტორიული და ზნეობრივი მნიშვნელობა.

ვალერიან ფაროსაძე

## ეროვნული საკითხი და თანამედროვე სპრავაზია

ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის გარდაქმნამ იმის რეალური პირობები შექმნა, რომ გულახდილი დიალოგის საფუძველზე გარკვეული პროგნოზები ჩამოყალიბებულიყო იმ გამწვავებული ეროვნული ურთიერთობების რეგულირებისათვის, რამაც უკანასკნელ ხანებში ბევრგან იჩინა თავი. სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა გასული წლის სექტემბერში ჩატარებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმიც, რომელმაც უარყო აქამდე გაბატონებული აზრი იმის შესახებ, თითქოს სსრ კავშირში ეროვნული საკითხი საბოლოოდ ყოფილიყო გადაწყვეტილი და მოგვარებული. პლენუმმა უპირველესი ყურადღება დაუთმო სსრ კავშირის, როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა ძლიერების უზრუნველყოფის, მისი შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების ამოცანებს. სკკპ პლატფორმა აქნათელია: „ჩვენი პარტია იღწვის დიდი და ძლიერი ფედერაციული სახელმწიფოსათვის, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ ეს შეესაბამება საბჭოთა კავშირში გაერთიანებული ყველა ხალხის ინტერესებს... აბა ვინ იკისრებს საერთოდ დაყოს, დაანაწევროს ჩვენი ახლანდელი გადაჭდობილი მთელი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, სულიერი, ადამიანური, ოჯახური კავშირით შეკრული საზოგადოება? მხოლოდ ავანტიურისტს შეუძლია ამის მოწოდება“ (მ. ს. გორბაჩოვი).

გენერალური მდივნის ეს სიტყვები კომენტარს არ საჭიროებს, მაგრამ გონივრულად თუ გადავხედავთ ჩვენი ქვეყნის ფაქტიურ მდგომარეობას, თუ დაუფარავად ვიტყვით ყველაფერს და გავერკვევით რა წარმატებებს მივაღწიეთ ფედერაციის საშუალებით, მაშინ ლაპარაკი ასეთი ფედერაციის დანერგვაზე ფუჭი იქნება. თუმცა, არსებული ფედერაციის შემდგომი სრულყოფა და მის სტატუსში კორექტივების შეტანა, კომუნისტური პარტიის პლატფორმითაა გათვალისწინებული. ასეთ ვითარებაში ერთადერთი ოპტიმალური გზა ისაა, რომ საბჭოთა ხალხი, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა, თითოეული საბჭოთა მოქალაქე გაყვეს პრინციპს: ძლიერი კავშირის გარეშე არ არის ძლიერი რესპუბლიკები, ძლიერი რესპუბლიკების გარეშე არ არის ძლიერი კავშირი. სხვა არჩევანი თანამედროვე პერიოდში არ არსებობს.

პლენუმმა პრინციპულად განიხილა მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა ყოველმხრივი გაზრდა და გაფართოება. გადაწყდა, რომ მათ აუცილებელი საკანონმდებლო წესით განმტკიცება ჰპოვონ როგორც სსრ კავშირის, ისე მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებში.

განისაზღვრა ისიც, რომ დაიგმოს და უკუგდებული იქნეს მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრიდან ხელმძღვანელობის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდები, რითაც უპრეცედენტოდ იზღუდებოდა მათი სუვერენული უფლებები, შეზოქილ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ხოლმე ავტონომიური წარმონაქმნების უფლებრივი მდგომარეობა. ასეთი მეთოდებით მართვა, ცხადია, სახელს უტეხდა ფედერაციის შინაარსს და გამოუსწორებელ ზიანს აყენებდა მას.

კატეგორიულად დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ რეალურად განხორციელდეს თითოეული ერისა და ეროვნების უფლება, ისარგებლოს სუვერენიტეტის ყველა სიკეთით, დამოუკიდებლად გადაჭრას თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების ყველა საკითხი. აღნიშნული გადაწყვეტილების რეალიზაციის მიზნით უახლოეს დროში მოხდება უფლებამოსილებათა ზუსტი გამიჯვნა საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შორის. ასეთი ღონისძიებების გატარებით რესპუბლიკებს საშუალება მიეცემათ თავიანთი შეხედულებისამებრ გადაწყვიტონ საკუთარი, სპეციფიური ცხოვრების ყველა საკითხი, იმათ გარდა, რომლებსაც ისინი ნებაყოფლობით გადასცემენ საკავშირო ორგანოებს და რომელთა გადაწყვეტაშიც შესაბამისი პოლიტიკური მექანიზმის საშუალებით თვითონ მოკავშირე რესპუბლიკებიც მიიღებენ მონაწილეობას. რა თქმა უნდა, ასეთი დაპირებები მისასალმებელია, თუ იგი რეალურად განხორციელდება.

მ. ს. გორბაჩოვმა პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნა, რომ საჭიროა შევქმნათ არა მარტო იურიდიული, არამედ პოლიტიკური პირობებიც, რათა საერთო-საკავშირო პრობლემების გადაჭრის დროს აქტიურად მონაწილეობდნენ რესპუბლიკები, უნდა უზრუნველყოთ ყველა ჩვენი ხალხის წარმომადგენელთა ფართო მონაწილეობა საერთო-საკავშირო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, მმართველობის აპარატში, ასეთ დროს, რა თქმა უნდა, უპირველესი ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანთა პროფესიულ თვისებებს.

მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა გაფართოების მიზნით გაუქმდა წესი, რომლის დროსაც ცენტრს უფლება ჰქონდა პრაქტიკულად თვითონ გადაეწყვიტა ყველა საკითხი, რაც მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციაში შედიოდა. ასეთი წესი, რა თქმა უნდა, ფორმალურს ხდიდა რესპუბლიკის ხელისუფალთა რეალურ სუვერენიტეტს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამის შემდეგ მაინც, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების მიერ გადასაწყვეტი ყველა საკითხი ზუსტად იქნება ფიქსირებული და გამიჯნული ერთიმეორისაგან სპეციალურ ჩამონათვალში. ასეთი წერილობითი ჩამონათვალი, ნუსხა, კი უნდა განისაზღვროს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების შესაბამისად. მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა ასეთი გაფართოება, მათი სუვერენიტეტის განმტკიცება, რა თქმა უნდა მისასალმებელია, მაგრამ ამავე დროს ჩვენ გვაფიქრებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეროვნულ პლატფორმაში გატარებული პრინციპი იმის შესახებ, თუ რა უნდა დარჩეს გადასაწყვეტად კავშირის გამგებლობას და რა რესპუბლიკას. ნათელია, რომ კვლავაც კავშირის გამგებლობაში რჩენას: „პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების საფუძვლების განსაზღვრისა და მისი განვითარებისათვის, ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის, საგარეო პოლიტიკის გატარებისათვის, ეკონო-

მიკის, მეცნიერებისა და კულტურის, პიროვნების უფლებათა უზრუნველყოფისა და დაცვის, ინტეგრაციული პროცესების ეფექტიანი გამოყენებისა და ურთიერთდახმარების ორგანიზაციის დარგში საერთო ამოცანების კოორდინაციისა და გადაწყვეტისათვის საჭირო საკანონმდებლო უფლებამოსილებანი. კავშირს უნდა ჰქონდეს აგრეთვე უფლებამოსილებანი, რომლებიც საჭიროა ქვეყნის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის დინამიკური და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფისათვის<sup>1</sup>.

58561

ისმება კითხვა: მაშ რა შეიძლება გადაწყვიტოს მოკავშირე. სუვერენულმა რესპუბლიკამ დამოუკიდებლად? კონკრეტულად, რაში უნდა გამოიხატოს მისი სუვერენიტეტის ახალი შინაარსი? მიგვაჩნია, რომ პლატფორმაში მოცემულია მხოლოდ საერთო მიმართულება და ზემოთ მოტანილი ნუსხა უფრო კონკრეტულ სახეს მიიღებს მაშინ, როცა იგი სახალხო დემუტატთა ყრილობაზე განიხილება, თორემ არის იმის საშიშროება, რომ კვლავ ფორმალური სახე ექნება მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენიტეტის გაფართოებას.

საერთოდ, ფედერაცია, თავისი სუბიექტებით, რთული სახელმწიფოებრივი ფორმაა და ძნელია ნათლად გამოკვეთო, გამიჯნო კავშირის სუბიექტების უფლებები. ამ საკითხის გადაწყვეტის დროს ალბათ უნდა ვიხელმძღვანელოთ მ. ს. გორბაჩოვის მითითებებით იმის შესახებ, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცების, მისი ახალი და რეალური შინაარსის შესავსებად. პარტიის პოზიცია ამ საკითხში უფრო ქმედითი, უფრო რეალური რომ გახდეს, საქმით დამტკიცდეს და მოქმედებით გამართლდეს, საჭიროა მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტი ახალი შინაარსით შეივსოს.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ფედერაცია ჩვენს ქვეყანაში ისტორიულად სრულიად ახალი სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმით ჩამოყალიბდა. სერიოზული დეფორმაციისა და ნაკლოვანებების მიუხედავად, წარსულში მან ბევრი სასიკეთოც გააკეთა, მაგრამ გარდაქმნის ამოცანებიდან გამომდინარე, დღეს აუცილებლად და მნიშვნელოვნად უნდა შეიცვალოს მისი შინაარსი. აკი აღნიშნა კიდევ მ. ს. გორბაჩოვმა; „ჩვენ ხომ ჯერ არ გვიცხოვრია ნამდვილ ფედერაციაში მთელი მიხი ღირსებებით“-ო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმაში ნათქვამია, რომ შეიძლება შეიქმნას ეროვნული რაიონები, სასოფლო და სადაბო საბჭოები იმ ეროვნებათა კომპაქტური ბინადრობის ადგილებში, რომლებსაც არა აქვთ თავიანთი ეროვნულ-ტერიტორიული ფორმირებანი. ეს სადაო საკითხია, მაგრამ მოდით, ვიდრე მათ შევქმნიდეთ, იქნებ აჯობებდა ჯერ შეგვემუშავებინა მათი უფლებამოსილების განმსაზღვრელი სტატუსი?! თორემ რა გამოვა, ჯერ შევქმნათ და მერე ვიმკითხაოთ მათ უფლებებზე?! ჩვენის აზრით, ეს საქმეს უფრო ბუნდოვანს გახდის. ისიც საკითხავია, ხომ არ გართულდება ასეთ შემთხვევაში სხვადასხვა ეროვნული ერთეულების მართვა, ხომ არ მიეცემა სტიმული ნაციონალისტურ ელემენტებს დაუსაბუთებელი პრეტენზიებისათვის, ხომ არ აიყოლიებენ ასეთი ნაციონალისტური და ექსტრემისტული ელემენტები თავიანთი ერის ზოგიერთ უსაქმურ პირებს ისე, როგორც ეს აფხაზმა და ოსმა ექსტრემისტებმა გააკეთეს?!

<sup>1</sup> ვაზ „კომუნისტი“, 1989 წ. 26: სექტემბერი.

2. „სახელმწიფო და სამართალი“, № 6.

სამართლებლო  
სამეცნიერო  
ბიბლიოთეკა

როდესაც ფედერაციის ძირფესვიანად გარდაქმნის გზას ვადგებით, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოვახდინოთ ახალი ავტონომიური ფორმირებების შექმნა და ეროვნული ტერიტორიების საზღვრების გადაკეთება, მათი დანაწევრება ახლად შექმნილი ავტონომიური ერთეულების ნიშნით. ასეთი გარდაქმნების განხორციელება დღევანდელ ვითარებაში კიდევ უფრო მეტად გაამწვავებს ეროვნებათა შორის ურთიერთობებს და წარმოუდგენელ კატასტროფას გამოიწვევს ისედაც ჭერჭერობით უმართავ ქვეყანაში. სწორედ ამისი მაგალითია აფხაზი და ოსი ექსტრემისტების სეპარატული მოთხოვნა (სხვა რესპუბლიკებს აღარ შევეხებით), რომ საქართველოს ჩამოგლიჯონ მისი ძირძველი ტერიტორიის ნაწილი. ამ განზრახვის განხორციელებისათვის აფხაზებმა გასული წლის 15 ივლისს ქართველების ხოცვა-ჟლეტაც კი მოაწყვეს სოხუმსა და გუდაუთაში.

აბა რა მოსათმენია, როდესაც ჩვიდმეტ პროცენტია აფხაზი მოსახლეობა გამოძევებას უპირებს 44 პროცენტ ქართველს მშობლიური მიწა-წყლიდან. აფხაზი ნაციონალისტები არავითარ ანგარიშს არ უწევენ აგრეთვე რუსი, სომეხი, ბერძენი და სხვა ეროვნების წარმომადგენელთა აზრს, რომლებიც აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე ცხოვრობენ და მთელი მოსახლეობის 39 პროცენტს შეადგენენ. 17 პროცენტმა უნდა მართოს და განაგოს დანარჩენი 83 პროცენტი მოსახლეობის ბედი?! ამაზე მეტი თავგასულობა წარმოუდგენელია.

1979 წლის აღწერით აფხაზეთში, საკუთრივ აფხაზები შეადგენდნენ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მთელი მოსახლეობის მხოლოდ 17,1 პროცენტს, ქართველები—43,9 პროცენტს, რუსები—16,4 პროცენტს, სომეხები—15,1 პროცენტს და ა. შ. ასეთ ვითარებაში, თუ პარტიის პლატფორმით შემოთავაზებულ წინადადებას გავიზიარებთ, ამ ერთ მტკაველ ტერიტორიაზე რუსებისა და სომეხების კიდევ ორი ავტონომიური რესპუბლიკა უნდა შეიქმნას. მერედა, რა მოჰყვება ამას?! განა საკითხის ამგვარმა გადაწყვეტამ არ განაპირობა, რომ დღეს აფხაზეთში, საქართველოს ტერიტორიაზე, აფხაზები სხვა ერებთან შედარებით ბევრად უფრო პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან. დიახ, აქ უმცირესობა ბატონობს უმრავლესობაზე და ამას არც თუ კარგი შედეგები მოსდევს. სწორედ ამას გულისხმობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გუმბარიძე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გასული წლის სექტემბრის პლენუმზე, როცა თქვა: „განა მრავლისნეტყველი არ არის ის ფაქტი, რომ ამჟამად მრავალეროვან აფხაზეთში, სადაც აფხაზები 17 პროცენტზე ოდნავ მეტს შეადგენენ, აფხაზთა ეროვნულ კადრებს უკავიათ არჩევითი ორგანოების ადგილების 40 პროცენტამდე და ზელმძღვანელი პოლიტიკური და სამეურნეო თანამდებობების ნახევარზე მეტი“-ო.

უფრო კონკრეტულნი თუ ვიქნებით, თანამდებობის განაწილება აფხაზეთში ასეთია: 12 მინისტრიდან 8 აფხაზია, 3 — ქართველი, სსრ კავშირის 15 სახალხო დეპუტატიდან 8 აფხაზია, 5 — ქართველი. თითქმის ყველა პასუხსაგები თანამდებობა აფხაზებს უკავიათ. პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, რესპუბლიკის პროკურორი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი — ყველა აფხაზია. ასევეა ქალაქებისა და რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებებში, სახლმმართველობებში და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებში.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის 119 წევრიდან აფხაზია 52, ქართველი — 49; საოლქო კომიტეტის 7 განყოფილებაში 5 გამგე აფხაზია, ქართველი — 2; სახელმწიფო კომიტეტის რვა თავმჯდომარიდან აფხაზია ხუთი, ქართველი — სამი და ყველაფერი ეს, ხდება მაშინ, როცა აქ ქართველები სამჯერ მეტი არიან აფხაზებზე. აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში კი, რომელსაც ანტიქართული მოძრაობის ერთ-ერთი თავკაცი ვ. არძინა უდგას სათავეში, ასი თანამშრომლიდან მხოლოდ სამია ქართველი. აი თურმე როგორ „ვჩაგრავთ“ ქართველები აფხაზებს<sup>2</sup>.

მხოლოდ უკანასკნელ წლებში აფხაზეთში აშენდა ათობით ახალი სკოლა, გაიხსნა უნივერსიტეტი, ეროვნული სახელმწიფო თეატრი, ამოქმედდა აფხაზური ტელევიზია, გაიზარდა გამომცემლობის სიმძლავრე, ყოველდღიურად ფართოდება აფხაზური ლიტერატურის, პერიოდიკისა და სხვა ბეჭდვითი პროდუქციის გამოცემათა მოცულობა, კეთდება უამრავი სხვა სიკეთე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საგანგებო დადგენილებაც კი მიიღო აფხაზური ენის განვითარების შესახებ.

ქართველი ერის ასეთი სულგრძელობის საპასუხოდ აფხაზმა ნაციონალისტებმა კიდევ უფრო შეავიწროვეს ქართველები. ისარგებლეს რა იმით, რომ ზელომდგენელი თანამდებობები რესპუბლიკაში უმეტესად მათ ეკავათ, სამუშაოდ არ იღებდნენ ქართველებს მათი ეროვნული ნიშნის მიხედვით და აიძულებდნენ შეეცვალათ მათ ეროვნება. სამწუხაროდ, გამოჩნდნენ კიდევ გულნამცეცა თანამდებობის მოტრფიალენი და წერეთლები, ჩხეიძეები, მეტრეველები, ლომიძეები, ლორთქიფანიძეები და კიდევ ბევრი სხვა ქართული გვარის მქონე ქართველები, აღარაფერი რომ ვთქვათ მრავალ მეგრულ გვარზე, დღეს ეროვნებით აფხაზებად იწოდებიან. რატომ არ ფიქრობს მაგანი და მაგანი იმაზე, თუ რამ მიიყვანა ეს ვაი ქართველები ასეთ დეგრადაციამდე? განა დავას იწვევს, რომ ასეთი მერყევი და სუსტი ნებისყოფის მქონე ადამიანები ცხოვრებაში არც ქართველებს გამოადგებიან და არც აფხაზებს.

როგორც ცნობილია, გასული წლის 15 ივლისსა და მის შემდგომ პერიოდში აფხაზეთში მომხდარი ამბები, რომელსაც ტრალიკული შედეგები მოჰყვა, მკაცრ და სამართლიან შეფასებას მოითხოვდა, დაიწყო კიდევ გამოძიება, მაგრამ სრულიად მოულოდნელად, კონსტიტუციის მოთხოვნების დარღვევით, სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა ა. სუხარევა ერთპიროვნულად გასცა განკარგულება და აფხაზეთის ამბების გამოძიება შეაჩერა. ჩვენ გვაქვს უფლება უკანონოდ მივიჩნიოთ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ა. სუხარევის მოქმედება, მაგრამ ისიც გვინდა აღვნიშნოთ: მან იგრძნო თავისი განკარგულების არასამართლიანობა და მალევე გააუქმა იგი. გამოძიება კვლავ განახლდა.

გამომდინარე აქედან, ჩვენ კმაყოფილებით აღვიქვამთ და მთლიანად ვუჭერთ მხარს საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს მიმართვას სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ა. სუხარევისადმი, რომელიც გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ გასული წლის 22 სექტემბერის ნომერში გამოქვეყნდა.

ცალკე უნდა ითქვას სამხრეთ ოსეთში მომხდარ ამბებზე. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი აფხაზი ექსტრემისტების ფეხის ხმას აჰყენენ და საშვილიშვილოდ შეირცხვინეს თავი. მხოლოდ გაკვირებას და სინანულს

<sup>2</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 1989 წ. 1 დეკემბერი, № 48.

იწვევს ოსი ერის ზოგიერთი წარმომადგენლის პოზიცია ქართველების მართ. ზომ დასაბამიდან არის ცნობილი, რომ ამ ორ ძმურად განწყობილ ერთა შორის სადაო, გასაყოფი და სამტრო არაფერი ყოფილა. მაშ რამ გამოიწვია ოსთა და ქართველთა დღევანდელი სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება?! მათი მოთხოვნები კი მართლაც აბსურდული და საოცარია. ისინი ალბათ ყოველმხრივ შეფასდება, დაიხვეწება, მტყუანი და მართალიც გაირჩევა, უსაფუძვლო ბრალდებები ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჰპოვებენ მხარდაჭერას და კვლავაც აღდგება სამართლიანობა. ოსებს არაფერი აქვთ სადავო ქართველებთან, ისინი ჩვენს მიწაზე ცხოვრობენ, ჩვენთან ერთად ეწევიან ქვეყნის ჭაბანს და თუ ვიღაც-ვიღაცეებს აწუხებთ ამბიციები, ეს დროებითი სამწუხარო მოვლენაა. აბა, მაშ ვინ შეიძლება დაიჯეროს, რომ საქართველოს უძველესი მიწა, ისტორიული სამაჩაბლო, სადაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი მდებარეობს, ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკას შეუერთდება. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ საქართველოს გასაჩუქებელი და დასაკარგი ტერიტორიები არ აქვს და არავის დაუთმობს მამა-პაპის სისხლითა და ოფლით გაპოხიერებულ მშობლიურ მიწა-წყალს.

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის გარდაქმნა ძალას იკრებს, იგი თავის საპასუხისმგებლო სტადიაში შედის. დასახული ამოცანები წარმატებით რომ გადაიჭრას, ამისათვის საჭიროა უზრუნველვყოთ სხვადასხვა ერის ადამიანთა შორის დამკვიდრებული მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის გაფართოვება-განვითარება.

პარლან სიმონიშვილი

## ჩვენების ადგილზე შემოწმება და შემთხვევის ვითარების აღგენა

ნორმები ჩვენების ადგილზე შემოწმებისა და შემთხვევის აღგენისა და ვითარების აღგენის შესახებ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული არ არის, თუმცა, მათი შემოღების აუცილებლობას გვკარნახობს როგორც საგამოძიებო პრაქტიკა, ისე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო გამოცდილება.

დავიწყოთ ჩვენების ადგილზე შემოწმების საკითხიდან. თუ საგამოძიებო მოქმედების აუცილებელ ნიშანს მტკიცებულებითი ინფორმაციის მიღება წარმოადგენს, მაშინ ჩვენების ადგილზე შემოწმების, როგორც დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედების ბუნება, ჩემი აზრით, სადავო არ უნდა იყოს. მოვიყვან ერთ მაგალითს საგამოძიებო პრაქტიკიდან.

რამდენიმე წლის წინათ საქართველოს სსრ პროკურატურას წარმოებაში ჰქონდა ერთი საქმე სამი ბოროტმოქმედის მიმართ, რომლებმაც ქალაქგარეთ შეიღჯერ ჩაიდინეს სხვადასხვა მძიმე დანაშაული. ისინი წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი, რომ დაპატიმრების შემთხვევაში ელიარებიანთ მხოლოდ თითო დანაშაული.

დაკითხვის შემდეგ ჩატარდა ჩვენების ადგილზე შემოწმება და დამნაშავეებმა დანაშაულის ჩადენის ადგილად თითო, მაგრამ სხვადასხვა ადგილები დაასახელეს, რომელთაგან ნაწილი დაემთხვა ერთმანეთს, ნაწილი — არა. ამით დადგინდა, რომ დამნაშავეებს აღიარებულის გარდა, კიდევ ჰქონდათ ჩადენილი სხვა ფაქტები, რაც დაემთხვა დაზარალებულების ჩვენებებსაც. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებით მოპოვებული იქნა ახალი მტკიცებულება მათ მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულობათა შესახებ. გარდა ამისა, შემთხვევის ადგილზე ბრალდებულების გაყვანით დადასტურდა ჩვენებებში არსებული ინფორმაცია და მას მეტი მტკიცებულებითი ძალა მიეცა.

ჩვენების ადგილზე შემოწმება მსგავსია სხვა საგამოძიებო მოქმედებებისა და ამავე დროს, განსხვავდება კიდევ მათგან. კერძოდ, იგი განსხვავდება საგამოძიებო ექსპერიმენტისაგან მიზნის, საშუალებებისა და პირობის მიხედვით.

ექსპერიმენტის დროს გამომძიებლისათვის მიზანი წინასწარ ცნობილია, იგი მდგომარეობს ორი ურთიერთ გამომრიცხავი კონკრეტული გარემოების ან ვითარების დადგენაში მაშინ, როდესაც ჩვენების ადგილზე შემოწმების დროს გამომძიებლის მიზანია მხოლოდ საერთო ჭეშმარიტების დადგენა და იგი კონკრეტული მიზნებით შეზღუდული არ არის.

ექსპერიმენტით გათვალისწინებული მიზნის მიღწევის საშუალება იმ მოქ-

მედების ან ვითარების აღდგენა და გარემოებაა, რისი გარკვევაც გვინტერესებს მაშინ. როდესაც ჩვენების ადგილზე შემოწმებისას სხვა არავითარი მოქმედება არ წარმოებს, გარდა ჩვენების გამეორებისა და გამომძიებლის მიერ მისი მონაცემების შედარებისა ნაჩვენები ადგილის გარემოებასა და ვითარებასთან; რაიმე მიზეზის გამო თუ საჭირო გახდება ექსპერიმენტის ჩატარება, იგი ჩატარდება ცალკე, როგორც დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედება.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩასატარებლად აუცილებელ პირობას იმ გარემოებისა და ვითარების აღდგენა წარმოადგენს, როგორც იყო შესამოწმებელი ფაქტის დროს; ჩვენების ადგილზე შემოწმებისას კი არაფრის აღდგენა არაა საჭირო, ჩვენების მიმცემი გაგვყავს არა შემთხვევის ადგილზე, არამედ მის მიერ ნაჩვენებ ადგილზე, რაც შეიძლება დაემთხვეს შემთხვევის ადგილს და იქ არსებულ გარემოებასა და ვითარებას.

ნორმა ჩვენების ადგილზე შემოწმების შესახებ სამოციანი წლებიდან არსებობს ლიტვის, ლატვიის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის და უზბეკეთის რესპუბლიკების საპროცესო კოდექსებში. დროა ჩვენთანაც მოხდეს ჩვენების ადგილზე შემოწმების, როგორც საგამოძიებო მოქმედების ლეგალიზაცია და საპროცესო კოდექსში შეტანილი იქნას სპეციალური მუხლი „ჩვენების ადგილზე შემოწმება“ შემდეგი რედაქციით: „მოწმის, ექვმიტანილის, ბრალდებულის ან დაზარალებულის შემთხვევის ადგილთან დაკავშირებული ჩვენების შემოწმებისა და დაზუსტების მიზნით, გამომძიებელს შეუძლია დამსწრეთა მონაწილეობით, დაკითხულის ჩვენებით გავიდეს მის მიერ ნაჩვენებ შემთხვევის ადგილზე და შეადაროს ჩვენება შემთხვევის ადგილის გარემოებასა და ვითარებას, ამასთან გამომძიებელი საჭირო შემთხვევაში აწარმოებს გაზომვას, ფოტოგრაფირებას, კინოგადაღებას, ვიდეოგადაღებას, ადგენს გეგმებსა და სქემებს და სხვ.

ჩვენების ადგილზე შემოწმების შესახებ შედგება ოქმი ამ კოდექსის 96-ე მუხლით გათვალისწინებული წესების დაცვით“.

რაც შეეხება ახალი საგამოძიებო მოქმედების — „შემთხვევის ადგილის გარემოებისა და ვითარების აღდგენის“ შემოღებას ალბათ შედარებით რთული გადასაწყვეტი იქნება, რადგან იგი ჯერ-ჯერობით არცერთი რესპუბლიკის საპროცესო კოდექსით არაა გათვალისწინებული, თუმცა ამის საჭიროება უკვე არის და ექსპერტები ხშირად მოითხოვენ მათთვის შემთხვევის ადგილის გარემოებისა და ვითარების აღდგენას, რის გამოც ისმება კითხვა, ვინ და როგორ უნდა ჩაატაროს იგი.

როგორც წესი, ზოგიერთი ექსპერტიზის დანიშვნის დროს გამომძიებელი ექსპერტს უდგენს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს, საქმის მასალებს და მის მიერ დადგენილ მონაცემებს, კერძოდ, იმ მონაცემებს, რაც ასახავს შემთხვევის დროს არსებულ გარემოებებსა და ვითარებას. ამ მონაცემებით სარგებლობს ექსპერტი და იძლევა დასკვნას.

აღნიშნული პრობლემას არ წარმოადგენს როდესაც საქმე გვაქვს უმარტივეს გარემოებებსა და ვითარებებთან, მაგალითად, როდესაც გამოძიებით დადგენილია ავტომანქანის მოძრაობის სიჩქარე და სხვა მონაცემები ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების დროს, მაგრამ შედარებით რთულია აღდგეს შემთხვევის ადგილი და ვითარება კომპლექსური ექსპერტიზისათვის, როდესაც ჩატარებულია სხვადასხვა ექსპერტიზები ცალ-ცალკე ან ჩასატარებელია იგი, მაგრამ გვინტერესებს დასკვნა მათი ერთობლივად მხედველობაში მიღებით. კომპლექსურმა ექსპერტიზამ სხვადასხვა გარემოებებისა და ვითარებების

ურთიერთშეპირისპირებით შეიძლება შეცვალოს მათი დასკვნები. ასეთი კომპლექსური ექსპერტიზისათვის საჭიროა აღდგეს შემთხვევის ადგილის გარემოება და ვითარება, ამავე დროს, გათვალისწინებული უნდა იქნას მომხდარი ფაქტის სხვადასხვა ვარიანტები, რაც აუცილებლად სჭირდებათ ექსპერტებს თავიანთი დასკვნისათვის. ვინ უნდა მოაგროვოს ეს მასალები, ექსპერტმა თუ გამომძიებელმა?

ვთქვათ, რომ მასალები უნდა მოიპოვოს ექსპერტმა, ექსპერტს მასალების მოსაპოვებლად აქვს მხოლოდ ორი გზა: თვითონ ჩაატაროს ექსპერიმენტი არსებული მასალების მიხედვით ან მასალები მოთხოვოს გამომძიებელს. ექსპერიმენტი მანვე უნდა ჩაატაროს ძირითადად გამომძიებლის მონაცემების მიხედვით. სხვანაირად რომ ვთქვათ, მასალების მოპოვების ორივე გზა მიდის გამომძიებელამდე. სწორედ გამომძიებელმა უნდა მიაწოდოს ექსპერტს, აღდგენილი შემთხვევის ადგილის გარემოება და ვითარება. მაგრამ როგორ? შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში შესაძლებელია არ იყოს ყველა ის მონაცემი, რაც ექსპერტს დაჭირდება. ვინაიდან როგორც ცნობილია შემთხვევის ადგილის ოქმი წარმოადგენს შემთხვევის ადგილის მხოლოდ ობიექტურ აღწერას, სადაც შეიძლება არ იყოს აღწერილი მომხდარი გარემოების სხვადასხვა შესაძლო ვარიანტები.

შემთხვევის ადგილის გარემოებისა და ვითარების აღწერა პირდაპირაა გათვალისწინებული საგამოძიებო ექსპერიმენტით, მაგრამ საგამოძიებო ექსპერიმენტი გამომძიებლის მიერ ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებას წარმოადგენს და იგი არ ცვლის საერთოდ ექსპერტიზას, კონკრეტულად კი კომპლექსურ ექსპერტიზას, მითუმეტეს სხვადასხვა ექსპერტების დასკვნებს.

შეიძლება თუ არა აღნიშნული პრობლემა გადაწყდეს რომელიმე არსებული საგამოძიებო მოქმედებით?

შემთხვევის ადგილის გარემოებისა და ვითარების აღდგენა შეიძლება მივამსგავსოთ შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, სადაც საგამოძიებო მოქმედებით ობიექტები ნაწილობრივ ჰგვანან ერთმანეთს. მაგრამ დათვალიერების მიზნები სხვადასხვაა; გარდა ამისა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება ხდება ისე, როგორც იგი არის, ხოლო შემთხვევის გარემოებისა და ვითარების აღდგენისას კი დინამიურად ვიზილავთ მის სხვადასხვა ვარიანტს.

შემთხვევის ადგილის გარემოებისა და ვითარების აღდგენა არც საგამოძიებო ექსპერიმენტს ჰგავს, რადგან საგამოძიებო მოქმედების ძირითადი მიზანია დადგინდეს მოცემულ გარემოებასა და ვითარებაში შეიძლებოდა თუ არა, მომხდარიყო ესა თუ ის მოვლენა, ხოლო გამომძიებლის მიერ შემთხვევის ადგილის გარემოებისა და ვითარების დადგენის მიზანია საქმეზე დანიშნულ კომპლექსურ ექსპერტიზას წარუდგინოს შესაძლო ვარიანტის ყველა ობიექტური მონაცემი.

შემთხვევის ადგილის გარემოებისა და ვითარების აღდგენა გამომძიებელს სჭირდება როგორც თავისთვის, ასევე მის მიერ დანიშნული კომპლექსური ექსპერტიზისათვისაც. გამომძიებელს შემთხვევის ადგილის გარემოებისა და ვითარების აღდგენა ყოველთვის სჭირდება სიტუაციაში გასარკვევად, მაგრამ ამ მოქმედებისათვის პროცესუალური სახის მიცემას მხოლოდ შედეგებით ბოლო დროს მიეჭა ყურადღება, რასაც ხშირად უწოდებენ ხოლმე შემთხვევის ადგილას მომხდარი მოქმედების მოდელირებას. ხოლო პროკურატურის საკავშირო ინსტიტუტის მეთოდურ სახელმძღვანელოში „სასამართლო ექსპერტიზები“ მითითებულია, რომ იმის გადასაწყვეტად თუ რა ადგილიდან

მოხდა სროლა (ან სხვა საკითხების გადასაჭრელად) საქიროა ექსპერტის შემთხვევის ადგილზე გაყვანა, რის დროსაც ზოგიერთ შემთხვევაში საკითხის გადასაწყვეტად საქიროა გამომძიებლის მიერ მასშტაბური საქმეების შედგენა ყველა კვლებისა და ვითარების ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სიბრტყეში სქემატური გამოსახულებით ფოტოსურათების გადაღება. გარდა ამისა ექსპერტს უნდა წარედგინოს დაზიანებული ობიექტი, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი და მოწმეთა ჩვენებები; რომლებიც ეხება გამოსაკვლევ გარემოებას (გვ. 47).

მივდივართ ერთ დასკვნამდე, რომ მხოლოდ გამომძიებელმა უნდა მოახდინოს ექსპერტებისათვის შემთხვევის ადგილის გარემოებისა და ვითარების აღდგენა, რასაც ექსპერტები ესწრებიან, რათა მათ მიეცეთ საშუალება თვალნათლივ წარმოიდგინონ შემთხვევის ადგილის გარემოება და ვითარება. აღნიშნული საგამომძიებო მოქმედება ტარდება ექსპერტებისათვის გამომძიებლის მიერ, რის შედეგსაც ექსპერტები ხელს აწერენ მხოლოდ როგორც დამსწრეები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უნდა შევიდეს სპეციალური მუხლი „შემთხვევის ადგილის გარემოებისა და ვითარების აღდგენა“ შემდეგი რედაქციით: „გამომძიებელს, ექსპერტისათვის ან გამოძიების სხვა საჭიროებისათვის შეუძლია მოწმეებისა და ექსპერტების აუცილებელი დასწრებით მოახდინოს შემთხვევის ადგილის გარემოებისა და ვითარების აღდგენა, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს ექსპერტიზის ჩატარებისათვის აუცილებელი პირობები და მათი მოთხოვნები.

ოქმს თან ერთვის საგამომძიებო მოქმედების წარმოების დროს გადაღებული ფოტოგრაფიული ნეგატივები და სურათები, კინოფირები, ვიდეოფირები, დიაპოზიტივები, გეგმები, სქემები და სხვა. შემთხვევის ადგილის გარემოებისა და ვითარების აღდგენის შესახებ შედგება ოქმი ამ კოდექსის 96-ე მუხლით გათვალისწინებული წესების დაცვით“.

დოქტორი გიორგი ბაქაძე

## საარბიტრაჟო პრაქტიკის ზოგიერთი მონათხრობი საკითხი

სახელმწიფო არბიტრაჟის პრაქტიკაში გვხვდება ისეთი საკითხები, რომლებიც იურიდიულ ლიტერატურაში ნაკლებადაა გაშუქებული და ამიტომ არბიტრები იძულებულნი არიან თავიანთი შეხედულებით, ერთიმეორისაგან განსხვავებულად გადაწყვიტონ ერთი-მეორის მსგავსი დავები. ასეთია მაგალითად დავები, რომლებიც წარმოიშებიან საწარმო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის დანაკლისით მიწოდებასთან დაკავშირებით. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთ დავებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მუშაობაში და ცხადია, შესაბამისი ნორმატიული აქტების არასრულყოფილობა ან უკმარისობა, იმის აუცილებლობას ქმნის, რომ დეტალურად შევისწავლოთ ამ კატეგორიის დავები.

### 1. დანაკლისის ცნება

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს „პროდუქციის დანაკლისის“ სხვადასხვაგვარი განმარტება.

ერთნი მიიჩნევენ, რომ დანაკლისი შეიძლება განისაზღვროს, როგორც მატერიალურ ფასეულობათა ნაკლებობა მიმწოდებლის მიერ მითითებულ ანგარიშთან შედარებით. სხვათა აზრით კი დანაკლისს წარმოადგენს ფაქტი პროდუქციის ნაკლებობისა იმ რაოდენობასთან შედარებით, რომელიც მითითებულია თანმხლებ სატრანსპორტო, ან მიღება-ჩაბარების დოკუმენტებში.

დანაკლისის გამო წარმოშობილი დავების განხილვის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთი განმარტებები არასრულია. ეს რომ დავამტკიცოთ ამისათვის საჭიროა ცალ-ცალკე განვიხილოთ საარბიტრაჟო პრაქტიკის მაგალითები.

როგორც ცნობილია, დანაკლისი, ეს არის, ამა თუ იმ ფასეულობათა ნაკლებობა, მიმწოდებლის ანგარიშთან შედარებით. მატერიალურ ფასეულობათა ნაკლებობა (არარსებობა) იმ ოდენობასთან შედარებით, რომელიც მითითებულია მიმწოდებლის საგადასახადო მოთხოვნაში, რაც შემთხვევებში უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც საგადასახადო მოთხოვნის ნაწილობრივი უსაქონლობა, ან როგორც არაკომპლექტური პროდუქციის მიწოდება.

ა) საკონსერვო ქარხანამ საბითუმო ვაჭრობის გაერთიანების მისამართზე გაგზავნა ვაშლისა და ყურძნის წვენი თავისი საგადასახადო მოთხოვნით იმის გამო, რომ საგადასახადო მოთხოვნა წამოყენებული იყო 49320 ქილა წვენის გასანადღებლად, ხოლო ფაქტიურად კი მიიღეს 43400 ქილა. გაერთიანებამ

პრეტენზია წარუდგინა ქარხანას ჯერ პროდუქციის დანაკლისის, ხოლო შემდეგ, მისი დაუკმაყოფილებლობისათვის. სარჩელი აღიძრა სახელმწიფო არბიტრაჟში, რომელმაც მხარეებს მოსთხოვა წარმოედგინათ აღნიშნული გზავნილის თანმხლები საბუთები. საკონსერვო ქარხანამ (ხოლო უფრო გვიან საბითუმო ბაზამაც) წარმოადგინეს ხარისხის მოწმობა და ვაგონის კომისიური დატვირთვის აქტი, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ვაერთიანების მისამართით ფაქტიურად გაიგზავნა 43400 კილა, ხოლო საგადასახადო დავალებაში შეცდომით იყო ჩაწერილი გასანაღდებელი კილების რაოდენობა.

ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში საკონსერვო ქარხნის ბრალი მდგომარეობდა არა პროდუქციის დანაკლისით მიწოდებაში, არამედ ნაწილობრივ უსაქონლო ანგარიშის წარდგენაში.

ბ) ნახშირის საწარმოს მუშათა მომარაგების განყოფილების სარჩელით, სასურსათო კომბინატის ანგარიშიდან ჩამოწერეს ტომატ-პასტის დანაკლისის ღირებულება 287 მან. 32 კაპ. სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი გახდა შეუსაბამობა ფაქტიურად მიღებული პროდუქციისა და სატრანსპორტო თანმხლებ საბუთებში მითითებულ რაოდენობას შორის.

ზედამხედველობის წესით გასაჩივრების შედეგად დადასტურდა დანაკლისის არ არსებობა და გადაწყვეტილება გაუქმდა იმ მოტივით, რომ საგადასახადო მოთხოვნა მოსარჩელეს წარუდგინა ფაქტიურად მიღებული ტომატის ასანახაურობად და შეუსაბამობა წარმოიშვა იმ პირთა უყურადღებობით, რომლებმაც თანმხლები საბუთები შეადგინეს.

საარბიტრაჟო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იმ დავების განხილვა, რომლებიც დაკავშირებულია მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისთან, უნდა გაიმიჯნოს არაკომპლექტური პროდუქციის მიწოდებით წარმოქმნილი დავებისაგან. ასეთ გამიჯვნას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან მატერიალურ ფასეულობათა ნაკლებობასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ დარღვევის კვალიფიკაციის სისწორეზეა დამოკიდებული, როგორც ნორმატიული აქტის არჩევა, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციის გამოყენება.

თუჯის სხმულის მიმწოდებელსა და მომხმარებელ საწარმოს შორის დადებული ხელშეკრულებით, მიმწოდებელს უნდა ეწარმოებინა სადგარების მიწოდება ფარ-საკისარებითურთ, კომპლექსურად (ერთი სადგარი და ორი ფარი).

მიმწოდებელმა მომხმარებელს ფაქტიურად გადაუტვირთა (თანხმად სატრანსპორტო დოკუმენტებისა და ანგარიშისა) 23 სადგარი და 40 ფარი, ნაცვლად 23 სადგარისა და 46 ფარისა, ამის გამო მომხმარებელმა მიმწოდებელს წარუდგინა პრეტენზია და სარჩელი ლითონის სხმულის 6 კომპლექტის ღირებულების დაბრუნებისა და არაკომპლექტური პროდუქციის მიწოდებისათვის ჯარიმის გადახდევინების შესახებ. მიმწოდებელმა სასარჩელო მოთხოვნა სცნო მხოლოდ 6 ფარის ღირებულების ნაწილში, როგორც დანაკლისი.

სახელმწიფო არბიტრაჟმა სამართლიანად დააკმაყოფილა ქარხნის სარჩელი მთლიანად, რადგან ამ შემთხვევაში მართალია ადგილი ჰქონდა ნაკეთობათა ნაკლებობას, მაგრამ იგი არ შეიძლებოდა შეფასებულიყო როგორც დანაკლისი, რადგან ნაკეთობის (მოცემულ შემთხვევაში სადგარის) გამოყენება პირდაპირი დანიშნულებით შესაძლებელი იყო მხოლოდ ფარ-საკისარების გამოყენებით. პროდუქციის არაკომპლექტური მიწოდება თავისთავად გულისხ-

მოხსნის შემადგენელი ნაწილების არარსებობას, რომელთა გარეშეც შეუძლებელია მისი გამოყენება.

აქედან გამომდინარე, მიწოდების დროს პროდუქციის დანაკლისის ცნება უნდა განისაზღვროს, როგორც დოკუმენტურად დადგენილი ნაკლებობა, მისი განსაზღვრული ნაწილისა, რაც გამოიხატება ფიზიკური არარსებობის, ან მსხვრევის ფორმით, იმ ოდენობასთან შედარებით, რომელიც მითითებულია მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების დოკუმენტებში.

## **2. ნორმატიული აქტები, რომლებიც არეზულირებენ პროდუქციის რაოდენობრივი მიღების საკითხებს**

იმის გამო, რომ 1988-1989 წლებში გაუქმდა პროდუქციის მიწოდების ინსტრუქციები და სახარბიტრაჟის საინსტრუქციო მითითებათა უმრავლესობა, დღეისათვის ძალაშია და მოქმედებს ინსტრუქცია „საწარმო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის და სახალხო მოხმარების საქონლის რაოდენობის მიღების წესის შესახებ“ (დამტკიცებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1965 წლის 15 ივნისის დადგენილებით, ცვლილებებითა და დამატებითურთ), რომელიც სავალდებულოა ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის.

აღნიშნული ინსტრუქციის მე-17 და მე-18 პუნქტებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის მიღების დროს დანაკლისის ფაქტის სწორად განსაზღვრისათვის. დანაკლისის აღმოჩენისთანავე მყიდველი ვალდებულია გამოიძახოს მიმწოდებლის წარმომადგენელი (თუ ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულებით) და თუ 24 საათში არ მიიღებს გამოძახებაზე პასუხს, მაშინ იგი თვითონ ანხორციელებს პროდუქციის მიღებას, რისთვისაც მიღებაზე მონაწილეობისათვის მოიწვევს სხვა საწარმოს წარმომადგენელს. შეიძლება მიღება განახორციელოს აგრეთვე თავისი საწარმოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. (ინსტრუქცია ითვალისწინებს მიმღებ საწარმოს მიერ პროდუქციის ცალმხრივ მიღებასაც, თუ კი მომწოდებელი მისცემს თანხმობას ასეთ მიღებაზე, მაგრამ პრაქტიკაში ასეთი წესი უკიდურესად იშვიათია).

ამრიგად, კანონმდებელი პროდუქციის მიღების დროს აძლევს რა მოქმედებათა მთელ რიგ შესაძლებლობებს ტვირთმიმღების წარმომადგენლებს (ან მეზობელ ორგანიზაციას), წინასწარ ქმნის ხელსაყრელ პირობებს სოციალისტური საკუთრების დატაცების, დოკუმენტების გაყალბების და სხვა დანაშაულებრივი მოქმედებისათვის.

ამიტომ, დანაკლისის გამო კონკრეტული სამეურნეო დავების გადაწყვეტისას ხშირია ისეთი სიტუაცია, როცა სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები მხედველობაში იღებენ რა მოსარჩლის მიერ მიღების დოკუმენტების სათანადო გაფორმებას, იძულებული არიან, არ მიაქციონ ყურადღება მოპასუხის მიერ წარმოდგენილ პროდუქციის კომისიური წესით დატვირთვის აქტებს და მთლიანად მათ აკისრებენ სადაო თანხის გადახდას.

ჩვენი აზრით სრულყოფილი არ არის ასეთი სიტუაციისათვის დაწესებული სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის რეკომენდაცია, რომელიც თვლის, რომ ასეთ შემთხვევებში უნდა შეჩერდეს საქმეზე წარმოება და მასალები გადაეცეს პროკურატურას ან შინაგან საქმეთა სამინისტროს. როგორც ცნობილია, არბიტრაჟი არის დავების განხილვის სპეციფიკური ოპერატიული სამართალდამცველი ორგანო და წარმოების შეჩერება ყოველ მეორე

საქმეზე (დაახლოებით ასეთია დანაკლისზე დავების ხვედრითი წილი) მნიშვნელოვან ჩავარდნებს გამოიწვევს, როგორც არბიტრაჟის, ასევე ქვეყნის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის მუშაობაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დანაკლისის ფაქტზე, უმეტესად საქმეები აღიძვრება მას შემდეგ, რაც დარღვევის შემთხვევიდან ერთი წელი გავა (სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა დანაკლისებზე 1 წელია). ასეთ დროს კი საგამოძიებო ორგანოებს ნამდვილად უჭირთ ქეშმარიტების დადგენა.

ამიტომ ვთვლით, რომ საჭიროა ცვლილებები შევიდეს დასახელებულ ინსტრუქციაში და მე-17 და მე-18 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

#### პუნქტი 17.

მიღების შეჩერებასთან ერთად, მიმღები ვალდებულია მიღების ვადის გაგრძელებაში და ორმხრივი აქტის შედგენაში მონაწილეობის მისაღებად გამოიძახოს სხვა ქალაქის მიმწოდებლის წარმომადგენელი დამოუკიდებლად იმისა, გათვალისწინებულია თუ არა ასეთი გამოძახება ხელშეკრულებით ან სხვა სავალდებულო წესით (შემდეგ როგორც ტექსტში).

#### პუნქტი 18.

მიღების გამოძახებით მიმწოდებლის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროდუქციის რაოდენობრივი მიღება და დანაკლისის შესახებ აქტის შედგენა უნდა ხდებოდეს სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლის მონაწილეობით (შესაბამისად ძალას კარგავენ ინსტრუქციის მე-19, მე-20, 21-ე მუხლები).

ამასთან, ჩვენი აზრით, პროდუქციის მიღებისას „სსნბ-ს წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობა, დანაკლისებზე სასარჩელო ვადის 6 თვემდე შემცირებასთან ერთად წარმოადგენს უფრო ეფექტურ საშუალებას, პროდუქციის რაოდენობრივი მიღების არსებულ წესებში კანონიერების დასამყარებლად.

### გ. უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციის ცნება და პროდუქციის ხარისხის მიხედვით მიღების მარეგულირებელი ნორმატიული აქტები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 25 ივლისის № 888 დადგენილებით დამტკიცებულ „სახალხო მოხმარების საქონლის და საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების შესახებ“ დებულების 39-ე და მე-40 პუნქტების თანახმად, მიწოდებული პროდუქცია უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებს და სხვა დოკუმენტაციას, რომელიც ადგენს პროდუქციის ხარისხს.

პროდუქციის საგარანტიო ვადები განისაზღვრება სტანდარტში, ტექნიკურ პირობებში ან ხელშეკრულებაში.

ამის საფუძველზე, უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციის მიწოდების ცნება უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც დოკუმენტურად დადგენილი შე-

უსაბამოა მიწოდებული საქონლისა სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებთან და ნიმუშებთან, რაც გამოვლინდება მისი შენახვის, ან ექსპლუატაციის საგარანტიო ვადის ფარგლებში.

დადგენილად უნდა მივიჩნიოთ პროდუქციის ხარისხის შეუსაბამობანი სახელმწიფო სტანდარტების, ტექნიკური პირობებისა და სხვა საბუთებისადმი, რომელიც გამოვლენილია ინსტრუქციით „საწარმო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის და სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის მიღების წესების შესახებ“ (დამტკიცებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1966 წლის 25 აპრილის № 47 დადგენილებით, დამატებებითა და ცვლილებებით).

აღნიშნული ინსტრუქცია თავისი შინაარსით მკვეთრად განსხვავდება პ-ნ ინსტრუქციისაგან და გვთავაზობს საკითხების იმ წრეს, რომლებსაც პირველ-ხარისხოვანი ყურადღება უნდა მივაქციოთ პროდუქციის ხარისხის მიღების დროს. ამავე დროს, იგი იძლევა იმის გარანტიას, რომ მისაღები საბუთები უფრო ობიექტური იყოს. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ინსტრუქციის მე-6, მე-8, მე-9, მე-20 პუნქტები. პირველ სამ პუნქტში დეტალურად არის განსაზღვრული პროდუქციის მიღებისა და აქტების შედგენის ვადები. ხარისხის მიხედვით, ხოლო მე-20 პუნქტი აღგენს მიღების განხორციელების წესს.

საარბიტრაჟო პრაქტიკის ანალიზით, სახელმწიფო არბიტრები დავების განხილვისას, არსებითად უგულვებელყოფენ მე-20 პუნქტის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ პროდუქციის ხარისხის განსაზღვრისათვის აუცილებელია ხარისხის დარგობრივი ინსპექციის ან სასაქონლო ექსპერტის გამოძახება. ასე მაგალითად:

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველომ სახელმწიფო არბიტრაჟის მეშვეობით სარჩელი წარუდგინა საწარმოო გაერთიანებას მინერალური წყლის დანაკლისისა და გამოყოფის ღირებულების გადახდევინების შესახებ. მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ მოსარჩელემ არ გამოიძახა ექსპერტი პროდუქციის ხარისხის შესამოწმებლად და მინერალური წყლის გამოყოფა (უხარისხობა) არ იყო დამტკიცებული ტექნიკური ექსპერტიზის ბიუროს აქტით, სახელმწიფო არბიტრაჟმა უარი უთხრა დაღვრის ღირებულების ანაზღაურებაზე.

მოსარჩელემ სახელმწიფო არბიტრის გადაწყვეტილება გაასაჩივრა იმ მოტივით, რომ წყლის გაყოფის განსაზღვრა არ მოითხოვს რაიმე სპეციალურ ცოდნას და აუცილებელი არ იყო ექსპერტის გამოძახება.

ზედამხედველობის წესით გადასინჯვისას სახელმწიფო არბიტრაჟმა დადგენილებით გააუქმა ასეთი გადაწყვეტილება, სცნო რა დასაბუთებულად მოსარჩლის არგუმენტები. ანალოგიური პოზიცია დაიკავა მან იმ გადაწყვეტილების გადასინჯვისას, რომელიც ეხებოდა უარის თქმას მოსარჩლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ხის ყუთების უხარისხობის ღირებულების ანაზღაურების ნაწილში.

ჩვენი შეხედულებით ასეთი პრაქტიკა უნდა აღმოიფხვრას, როგორც არამართებული და მკაცრად იყოს დაცული პ-7 ინსტრუქციის მე-20 პუნქტის მოთხოვნები.

#### 4. პროდუქციის მიწოდებლობის ცნება და მისი ფორმები

„სახალხო მოხმარების საქონლისა და საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების მიწოდების“ დებულების მე-3 პუნქტის შესაბამისად, პროდუქციის მიწოდებლობის ცნება შეიძლება განისაზღვროს, როგორც მიწოდებლის მიერ პროდუქციის სრული და ნაწილობრივი მიწოდებლობა ან მიწოდება გარკვეული ასორტიმენტით. ჩვენი მოსაზრებით მიწოდებლობის კატეგორიას უნდა განეკუთვნოს ის დავებიც, როცა მიმღებმა ცნო რა მიღებული პროდუქცია უხარისხოდ, უკან უბრუნებს მას მიწოდებელს და მოითხოვს ჯარიმას, მიწოდების გეგმის შეუსრულებლობისათვის.

ასე მაგალითად, საბითუმო ვაჭრობის გაერთიანებამ სასაქონლო ექსპერტიზის აქტით დაიწუნა ხილის წვეწების მთელი პარტია და მოითხოვა მიწოდებლისაგან პირგასამტეხლოს გადახდა პროდუქციის მოუწოდებლობისათვის. საკონსერვო ქარხანამ უარი თქვა საპრეტენზიო მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ პროდუქცია მან გადაუტვირთა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით. სახელმწიფო არბიტრაჟმა მოპასუხის არგუმენტები დასაბუთებულად მიიჩნია.

ზედამხედველობის წესით შემოწმებისას ეს გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი დაკმაყოფილდა მთლიანად.

ამ დავაზე მიღებული გადაწყვეტილება მცდარია იმიტომ, რომ სახელმწიფო არბიტრაჟმა, გამომდინარეობდა რა პროდუქციის ფაქტიური მიწოდებიდან, ჩათვალა, რომ მოსარჩელეს სარჩელი უნდა განეცხადებინა უხარისხო პროდუქციის მიწოდების გამო და არა მისი მოუწოდებლობისათვის. ეს კი სწორი არ არის, რადგან მიწოდებლობის ცნება უნდა განისაზღვროს, როგორც მიწოდებლის მიერ პროდუქციის სრული ან ნაწილობრივი მიწოდებლობით, ასევე მისი ასორტიმენტის დარღვევით, ან უხარისხობით, რომლის მიღებაზეც მყიდველმა უარი თქვა.

#### 5. მხარეების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის მიზეზები

იმის გამო, რომ მოქმედი კანონმდებლობით სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს უფლება არა აქვთ, საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის გაცნობისა და შემოწმებისა, სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზი შეიძლება დადგინდეს მხოლოდ იმ საბუთებით, რომლებიც კონკრეტულ საარბიტრაჟო საქმეებს ახლავს. ასეთ დროს, ძნელია იქონიო ზუსტი მსჯელობა ყველა მიზეზზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას.

დარღვევების დროს, როდესაც ერთგვარი ხელშემწყობი პირობები იქმნება მხარეების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის, ან არასათანადოდ შესრულებისათვის, შეინიშნება შემდეგი ძირითადი მიზეზები:

ა) დავები, რომლებიც გამოწვეულია პროდუქციის დანაკლისით მიწოდებისათვის:

— მუშაობის ცუდი ორგანიზაცია მზა პროდუქციის გადატვირთვისას;

— პასუხისმგებელ პირთა კონტროლის განუხორციელებლობა პროდუქციის ჩატვირთვის დროს;

— საჭირო და სათანადო მასალის არ ჩაფენა ან მათი ჩაფენის დადგენილი წესის დარღვევა;

— პროდუქციის შეფუთვა მრავალჯერად ხმარებაში მყოფ ტარაში, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მის დაცვას;

— პროდუქციის გადატვირთვა ღია მოძრავი შემადგენლობებით გასამხედროებული დაცვის გარეშე.

ბ) დავები, რომლებიც უხარისხო ან არაკომპლექტური პროდუქციის მიწოდებასთან არის დაკავშირებული:

— ნედლეულისა და მაკომპლექტებელი ნაკეთობების უხარისხობა;

— დაბალი ტექნიკური აღჭურვილობა, გაცვეთილი მოწყობილობა;

— პროდუქციის დამზადების დროს ტექნოლოგიური პროცესების დარღვევა მუშაკების დაბალი კვალიფიკაციის გამო;

— წარმოებაში ნედლეულისა და მაკომპლექტებელ ნაკეთობათა შემოსვლისას, აგრეთვე მზა პროდუქციის ხარისხის შემოწმებისას ტექნიკური კონტროლის არ არსებობა.

გ) დავები, რომლებიც პროდუქციის მიუწოდებლობას შეეხება:

— ნედლეულისა და მაკომპლექტებელ ნაკეთობათა შემოუსვლელობა წარმოებაში;

— ნედლეულისა და მაკომპლექტებელ ნაკეთობათა მიწოდების გეგმების შეუსაბამობა წარმოების გეგმებთან;

— გეგმიურ დავალებათა შეუსაბამობა წარმოების საწარმოო შესაძლებლობებთან;

— ფონდირებული პროდუქციის უგანაწესო გაცემა და თვითნებური ხარჯვა.

ასეთია ის ზოგიერთი საკითხი, რომლებიც დღემდე მოუწესრიგებელია სახელმწიფო არბიტრაჟის პრაქტიკაში.



ზურაბ გოთუა

## პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი გაუპატიურების კვალიშეკვლევა

გაუპატიურების ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ გულისხმობს თანამსრულებლობას და არა სხვაგვარ თანამონაწილეობას გაუპატიურების ჩადენაში.

გაუპატიურების ჩამდენ პირთა ჯგუფს ახასიათებს შემდეგი ნიშნები: ორი ან მეტი თანამსრულებლის მონაწილეობა, მათი საქმიანობის შეთანხმებულობა და ჯგუფის წევრების უშუალო მონაწილეობა გაუპატიურების ობიექტურ მხარეში შემაჯავალ თუნდაც ერთ მოქმედებაში.

„გაუპატიურების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის დადგენილებაში პირდაპირ არის მითითებული, რომ „ჯგუფურ გაუპატიურებად უნდა დაკვალიფიცირდეს არა მარტო იმ პირთა მოქმედება, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენებას, არამედ იმ პირთა მოქმედებაც, რომელთაც უშუალოდ სქესობრივი აქტი არ ჩაუდენიათ, მაგრამ ძალადობის გამოყენებით ხელი შეუწყვეს სხვებს. ასეთი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მესამე ნაწილით და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით“.

თუ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-სამე ნაწილის დისპოზიციას ამავე კოდექსის ზოგიერთი სხვა მუხლის იმ დისპოზიციებს შევადარებთ, რომლებიც ეხება დანაშაულის ჩადენას პირთა ჯგუფის მიერ (მაგალითად, 91-ე, 92-ე, 94-ე, 96-ე, 150-ე, 151-ე და ა. შ. მუხლები) დავინახავთ, რომ მათში მითითებულია დანაშაულის ჩადენაზე „პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით“. გაუპატიურების დროს კი კანონმდებელი არ მოითხოვს ჯგუფის წევრთა შორის წინასწარი შეთანხმების არსებობას. შეთანხმება შეიძლება მოხდეს უშუალოდ გაუპატიურების ჩადენის წინ. შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში გაუპატიურება არ ჩაითვლება პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილად, თუნდაც დადგინდეს, რომ ამა თუ იმ პირმა ობიექტურად აღმოუჩინა დაზარალება დამნაშავეს დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებაში. ასე მაგალითად, თუ ერთი პირი ქალს ჩააყენებს უმწეო მდგომარეობაში, ამით ისარგებლებს მეორე და გააუპატიურებს დაზარალებულს, გაუპატიურება პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილად არ ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნულ პირთა შორის დაზარალებულის გაუპატიურების გამო შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია.

ზოგჯერ დამნაშავეები შეიძლება შეთანხმდნენ დაზარალებულის გაუპა-

ტიურების თაობაზე, მაგრამ არა თანამსრულებლობის სახით. არამედ ორი ან მეტი პირის მიერ დამოუკიდებლად გაუპატიურებების ჩადენის შესახებ, რაც ცხადია, არ ჩაითვლება პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილ გაუპატიურებად. მაგალითად, ქობულეთის რაიონის სახალხო სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა ს-ს და კ-ს მოქმედება საქართველოს სსრ სსკ 117-ე მუხლის მესამე ნაწილით შემდეგი დანაშაულის გამო:

ს-მ გაუპატიურების მიზნით მოტყუებით წაიყვანა დამსვენებელი ა. ტურბაზიდან ბინაში. გზაში მათ შეხვდა კ., რომელსაც ს-მ გაანდო, რომ აპირებდა ა-ს გაუპატიურებას, თუ იგი ნებით არ დანებდებოდა მას. თანაც უთხრა, ღამით მისულიყო ბინაში და მასაც გაუპატიურებინა ა, რაზეც კ-მ თანხმობა განაცხადა. მართლაც, იმავე ღამით ს-მ ფიზიკური ძალადობის გამოყენებით გაუპატიურა ა. ეზოში გამოსულმა დაინახა, რომ შეპირებისამებრ იქ მას ელოდებოდა კ. ამის შემდეგ ს. სხვაგან წავიდა, კ-მ კი ფიზიკური ძალადობის და მუქარის გამოყენებით გაუპატიურა ა.

აქარის ასრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სწორად გადააკვალიფიცირა ს-ს და კ-ს მოქმედება საქართველოს სსრ სსკ 117-ე მუხლის მესამე ნაწილიდან ამავე მუხლის პირველ ნაწილზე<sup>1</sup>.

პირთა ჯგუფისაგან უნდა განვასხვაოთ ბანდა, რომელმაც სხვა დანაშაულთა შორის შეიძლება ჩაიდინოს გაუპატიურებაც. ასეთ შემთხვევაში ბანდის მონაწილეთა მიერ ჩადენილი დანაშაული დაკვალიფიცირდება მხოლოდ საქართველოს სსრ სსკ 78-ე მუხლით (ბანდიტიზმი) და არა დანაშაულთა ერთობლიობით, ანუ სსკ 117-ე მუხლის მიუთითებლად. რადგან ბანდიტიზმი გაუპატიურების შემადგენლობასაც მოიცავს.

იურიდიულ ლიტერატურაში დიდხანს სადაო იყო საკითხი იმის შესახებ, მიჩნეულიყო თუ არა თანამსრულებლად ისეთი თანამონაწილე, რომელსაც უშუალოდ სქესობრივი კავშირი დაზარალებულთან არ ჰქონია, მაგრამ თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედებით მან აქტიურად შეუწყო ხელი სხვა პირს ამ უკანასკნელთან სქესობრივი კავშირის დამყარებაში.

ზოგიერთი ჯგუფურ გაუპატიურებად მიიჩნევდა მხოლოდ ისეთ შემთხვევას, როცა ჯგუფის ყველა წევრი ამსრულებელი იყო, ე. ი. როცა ჯგუფის ყველა წევრი ამყარებდა დაზარალებულთან სქესობრივ კავშირს, ხოლო ისინი რომლებიც უადვილებდნენ ამსრულებელს დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებას დაზარალებულზე ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედების გზით, მაგრამ მასთან არ ამყარებდნენ სქესობრივ კავშირს, მათი აზრით წარმოადგენდნენ დამხმარეებს. ამ შემთხვევაში გაუპატიურება პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილად არ განიხილებოდა.

ზოგიც პირიქით, რადიკალურად საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს და თვლის, რომ ჯგუფური გაუპატიურების არსებობისათვის საკმარისია თანამონაწილეთა ერთობლივი მოქმედება, თითოეული მათგანის უშუალო მონაწილეობა გაუპატიურებაში სქესობრივი აქტის ჩადენით ან დახმარების აღმოჩენით. რა ფორმითაც უნდა იყოს იგი გამოხატული.

ავტორთა უდიდესი ნაწილი, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის დადგენილება და სასამართლო პრაქ-

<sup>1</sup> აქარის ასრ უმაღლესი სასამართლოს არქივი, საქმე № 1-37, 1985.

ტიკა იმ თვალსაზრისზე დგანან, რომ გაუპატიურება პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილად ჩაითვლება და თანაამსრულებლად მიიჩნევა ის თანამონაწილეც, რომელსაც, მართალია, სქესობრივი კავშირი არ დაუმყარებია დაზარალებულთან, მაგრამ ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედებით მან აქტიურად შეუწყობ ხელი სხვა პირს დაზარალებულთან სქესობრივი კავშირის დამყარებაში.

ზემოაღნიშნული პლენუმის დადგენილებაში მკაფიოდ არ არის მითითებული, თუ როგორი უნდა იყოს თანაამსრულებლის ძალადობა დაზარალებულის მიმართ — მხოლოდ ფიზიკური, თუ ფსიქიკურიც. ვფიქრობ, რომ აქ თანაბრად იგულისხმება როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური ძალადობა (მუქარა).

ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სსკ 117-ე მუხლის მესამე ნაწილით ა-ს, ო-ს და დ-ს მოქმედება, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს შემდეგ გარემოებებში:

მსჯავრდებულებმა გაუპატიურების მიზნით სცემეს დაზარალებულ რ-ს, მოკვლის მუქარით აიძულეს იგი შეეწყვიტა წინააღმდეგობა, რის შემდეგაც ა-მ და ო-მ გააუპატიურეს იგი, ხოლო დ-მ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოახერხა დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელება. კერძოდ, შემთხვევით მოსულმა პირებმა აღკვეთეს დანაშაული<sup>2</sup>.

როგორ უნდა მოხდეს დამნაშავეთა მოქმედების კვალიფიკაცია იმ შემთხვევაში, როცა ერთ-ერთი თანამონაწილე დაზარალებულის მიმართ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ძალადობას მიმართავს არა უშუალოდ გაუპატიურების ჩადენისას, არამედ უფრო ადრე? ჩემი აზრით, გაუპატიურება მაშინაც უნდა ჩაითვალოს პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილად, როცა ერთი პირი მეორესთან შეთანხმებით, ამ უკანასკნელის მიერ სქესობრივი აქტის განხორციელებამდე ჩააყენებს დაზარალებულს უმწეო მდგომარეობაში. ამ დროს მნიშვნელობა არ აქვს იმას თუ უმწეო მდგომარეობაში ჩაყენების ფაქტსა და სქესობრივი აქტის განხორციელების ფაქტს შორის დროის რა შუალედი არსებობდა ან სქესობრივი კავშირის დასამყარებლად დამნაშავეს დამატებით დასჭირდა თუ არა დაზარალებულის მიმართ ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის გამოყენება (თანაამსრულებლის მოქმედების გამო დაზარალებული იმყოფებოდა უგონო მდგომარეობაში, ან მას ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული).

როგორც აღვნიშნეთ, გაუპატიურებაში თანაამსრულებლობისათვის სავალდებულო არ არის, რომ ჯგუფის ყველა წევრმა დაამყაროს დაზარალებულთან სქესობრივი კავშირი. ამიტომ, პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი გაუპატიურების თანაამსრულებლად ჩაითვლება ის პირიც, რომელსაც არ შეუძლია ქალთან სქესობრივი აქტის განხორციელება (იმპოტენტი, ფიზიოლოგიურად მოუმწიფებელი მოზარდი, ქალი).

სწორი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა კერძო პირი წარმოადგენდეს სპეციალური სუბიექტის მიერ ჩადენილი დანაშაულის თანაამსრულებელს (მაგალითად, შეიძლება თუ არა ქალი იყოს გაუპატიურების თანაამსრულებელი).

ო. გამყრელიძის აზრით, სპეციალური დელიქტების თანაამსრულებლობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის პირები, რომლებიც ერთობლივად ახორციელებენ შემადგენლობას, სპეციალური სუბიექტები არიან.

<sup>2</sup> ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი, საქმე № 1-36/2, 1984.

კერძო პირს არ შეუძლია სპეციალური დანაშაულის თანამსრულებლობა. თუ კერძო პირი სპეციალურ სუბიექტთან ერთად აზორციელებს რომელიმე სპეციალური დელიქტის ობიექტურ მხარეს, იგი პასუხს აგებს როგორც თანამონაწილე (დამხმარე) და არა როგორც თანამსრულებელი. ეს იმიტომ, რომ არასპეციალურ სუბიექტს არ აკისრია ის მოვალეობა, რომლის შეუსრულებლობა სპეციალური დელიქტის ამსრულებლობის აუცილებელი ნიშანია<sup>3</sup>.

ჩემი აზრით, პირი, რომელიც არ წარმოადგენს სპეციალურ სუბიექტს, თანამონაწილეობისას შეიძლება იყოს როგორც ორგანიზატორი, წამქეზებელი, ან დამხმარე, ისე — თანამსრულებელიც.

იურიდიული თვალსაზრისით არავითარი განსხვავება არ არის იმ თანამსრულებელი მამაკაცის მოქმედებასა, რომელიც ჭგუფური გაუპატიურებისას მხოლოდ ფიზიკურად ან ფსიქიკურად ზემოქმედებდა დაზარალებულზე, ისე რომ მასთან სქესობრივი კავშირი არ დაუმყარებია და ჭგუფური გაუპატიურების თანამსრულებელი ქალის მოქმედებას შორის, რომელიც ანალოგიურად ზემოქმედებდა დაზარალებულზე. თუ პირველ შემთხვევაში თანამსრულებელი მამაკაცის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 117-ე მუხლის მესამე ნაწილით. მე-19 მუხლის გამოუყენებლად, ლოგიკურია, რომ ასევე უნდა დაკვალიფიცირდეს თანამსრულებელი ქალის მოქმედებაც, მით უმეტეს, რომ არც კანონში და არც „გაუპატიურების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის დადგენილებაში რაიმე გამონაკლისი ქალის მიმართ დაშვებული არ არის.

სპეციალურ დელიქტში კერძო პირის თანამსრულებლობის შესაძლებლობაზე პირდაპირ არის მითითებული „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 11 ივლისის დადგენილების ნექტის პუნქტში.

მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის დადგენილების მე-10 პუნქტის მოთხოვნა, რომლითაც „იმ პირთა მოქმედებები, რომლებიც ჭგუფური გაუპატიურების ორგანიზატორები იყვნენ, უნდა დაკვალიფიცირდეს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მესამე ნაწილით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით, იმისდა მიუხედავად, რომ სხვა მონაწილენი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-10 მუხლის შესაბამისად არ ყოფილან მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში“.

ზოგიერთი ავტორი იზიარებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ამ მოსაზრებას გაუპატიურების ჩამდენ პირთა ჭგუფის იურიდიული ბუნების შესახებ და მიიჩნევს, რომ როდესაც კანონმდებელი მაკვალიფიცირებელ ნიშნად გამოჰყოფს დანაშაულის ჩადენას ჭგუფის მიერ, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ ობიექტური მომენტი, სახელდობრ, ჭგუფური ხერხი, რომელიც ზრდის მოქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას.

ჩემი აზრით, აღნიშნული მოსაზრება არასწორია. რასაკვირველია, არას-

<sup>3</sup> ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბ., „მეცნიერება“, 1974, გვ. 116.

რულწლოვანთაგან ან შერაცხვაუუნარო პირთაგან შემდგარი „ფაქტობრივი“ ჯგუფი საზოგადოებრივი საშიშროების თვალსაზრისით დიდად არ განსხვავდება იმ ჯგუფისაგან, რომელიც სუბიექტებისგან შედგება, მაგრამ სწორად შენიშნავს ო. გამყრელიძე, რომ „ერთია „ჯგუფის“ ფაქტობრივი საზოგადოებრივი საშიშროება და მეორე საკითხია გულისხმობს თუ არა კანონი ამ სახის ჯგუფს იმ შემთხვევაში, როცა ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას მაკვალიფიცირებელ ნიშნად გამოჰყოფს. ჩვენი აზრით, ამ მაკვალიფიცირებელ ნიშანს რომ გამოჰყოფდა, კანონმდებელს მხედველობაში ჰქონდა არა „ფაქტობრივი“, არამედ სწორედ „იურიდიული ჯგუფი“, ამიტომ თუ „ჯგუფის“ მონაწილეთაგან მხოლოდ ერთია დანაშაულის სუბიექტი, მისი მოქმედება დაკვალიფიცირდება არა ჯგუფის კვალიფიციური ნიშნით, არამედ ჩვეულებრივად, როგორც ერთპიროვნული ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაული“<sup>4</sup>.

ანალოგიურად უნდა გადაწყდეს გაუპატიურებისას იმ პირთა მოქმედების იურიდიული კვალიფიკაციის საკითხი, რომლებიც არასრულწლოვანთაგან ან შერაცხვაუუნარო პირთაგან შემდგარი „ჯგუფის“ ორგანიზატორები იყვნენ. მათი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 117-ე მუხლის არა მესამე ნაწილით, არამედ — ამ მუხლის პირველი ნაწილით, ამასთან, საქართველოს სსრ სსკ მე-19 მუხლზე მითითება საჭირო აღარ არის, რადგან საქმე გვაქვს ე. წ. „შუალობით ამსრულებლობასთან“.

შუალობითი ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ორგანიზატორი, ისე წამქეზებელი და დამხმარეც. რომლებიც მხოლოდ პირდაპირი განზრახვით მოქმედებდნენ და რომელთაც გაცნობიერებული აქვთ, რომ დანაშაულებრივი განზრახვის განსახორციელებლად „ცოცხალ იარაღს“ იყენებენ.

„ცოცხალი იარაღი“ ჩადენილი გაუპატიურებისათვის სისხლის სამართლის წესით პასუხს არ აგებს. ორგანიზატორი, წამქეზებელი, ან დამხმარე, რომელთაც გამოიყენეს ასეთი პირი გაუპატიურების ჩასადენად, პასუხს აგებენ როგორც გაუპატიურების ამსრულებლები, ე. ი. საქართველოს სსრ სსკ მე-19 მუხლის გამოუყენებლად.

გაუპატიურების შუალობითი ამსრულებელი შეიძლება იყოს ქალიც, რადგან „ის გარემოება, რომ ინდივიდს არ შეუძლია უშუალოდ აღასრულოს მოცემული დანაშაულის შემადგენლობა, ყოველთვის არ გამორიცხავს ამ პირის მიერ ხსენებული შემადგენლობის შუალობით ამსრულებლობას. დანაშაულის უშუალოდ ჩადენის შეუძლებლობა ფორმალური ნიშანია, რაც თავისთავად ვერ დაედება საფუძვლად ამ დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობის შეუძლებლობას“<sup>5</sup>.

სასამართლო პრაქტიკაში ჯგუფურ გაუპატიურებად ითვლება აგრეთვე ისეთი თანამონაწილეობა გაუპატიურებაში, როდესაც ბოროტმოქმედნი ურთიერთშეთანხმებით აუპატიურებენ არა ერთ, არამედ რამდენიმე ქალს. ამასთან, ჯგუფურ გაუპატიურებად ჩაითვლება არა მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როცა რამდენიმე პირი აუპატიურებს ერთ ან რამდენიმე დაზარალებულს, არამედ ისეთიც, როდესაც ადგილი აქვს რამდენიმე პირის შეთანხმებულ

<sup>4</sup> ო. გამყრელიძე, ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1971, № 4, გვ. 54.

<sup>5</sup> ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბ., „მეცნიერება“, 1974, გვ. 67.

მოქმედებას ფიზიკური ძალადობის ან მუქარის გამოყენებით რამდენიმე ქალის მიმართ, თუმცა შემდეგ სქესობრივი აქტი თითოეულის მიერ მხოლოდ ერთ-თან ხორციელდება.

ამრიგად გაუპატიურება ჩაითვლება პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილად მაშინაც, როცა ორი ან რამდენიმე პირი შეთანხმებულად მიმართავს ძალადობას ან მუქარას ორი ან მეტი დაზარალებულის მიმართ, შემდეგ კი ჯგუფის წევრები აუპატიურებენ თუნდაც ერთ დაზარალებულს. ამასთან, სავალდებულო არაა, რომ ამ ერთთანაც ჯგუფის ყველა წევრმა დაამყაროს სქესობრივი აქტი. გაუპატიურების ჯგუფურად ცნობისათვის ამ შემთხვევაში საჭიროა დადგინდეს დამნაშავეთა შეთანხმებული მოქმედება დაზარალებულთა მიმართ და თანამსრულებლობის ფაქტი. ამასთან, დაზარალებულებს შეგნებული უნდა ჰქონდეთ, რომ მათზე ხელყოფას ახდენს არა ერთი, არამედ ორი ან რამდენიმე პირი.

გორის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით სწორად იქნენ მსჯავრდებული საქართველოს სსრ სსკ 117-ე მუხლის მესამე ნაწილით ა. და ბ. მათ მოტყუებით ჩაისვეს მანქანაში დ. და მ. წაიყვანეს უკაცრიელ ადგილას, სადაც გაუპატიურების მიზნით ერთობლივად გამოიყენეს მათ მიმართ ფიზიკური ძალადობა. ა-მ მოახერხა დ-ს გაუპატიურება, ბ-მ კი დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელება ვერ შეძლო მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო<sup>6</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯგუფის მონაწილე, რომელსაც დაზარალებულის მიმართ ფიზიკური ძალადობისათვის ან მუქარისათვის არ მიუმართავს, მაგრამ ჯგუფური გაუპატიურებისას შეეცადა დაემყარებინა მასთან სქესობრივი კავშირი, რაც ვერ მოახერხა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, პასუხს აგებს არა დამთავრებული გაუპატიურებისათვის, არამედ ჯგუფურ გაუპატიურებაში მონაწილეობის მცდელობისათვის, ე. ი. საქართველოს სსრ სსკ 17, 117-ე მუხლის მესამე ნაწილით.

გაუპატიურების თანამსრულებლობა გულისხმობს პირთა შეთანხმებულ მოქმედებას და არა ორი ან რამდენიმე დამნაშავის დანაშაულებრივი მოქმედების შემთხვევით დამთხვევას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ქმედობები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ცალკე ჩადენილი დანაშაული, მაგრამ ჯგუფური გაუპატიურების თანამსრულებლად ჩაითვლება ის პირი, რომელსაც, მართალია, უშუალოდ არ გამოუყენებია ფიზიკური ძალადობა ან მუქარა დაზარალებულის მიმართ, მაგრამ მასთან სქესობრივი აქტი დაამყარა მას შემდეგ, როცა უკვე დაზარალებულის მხრიდან წინააღმდეგობა პარალიზებული იყო სხვა პირის მოქმედებით, რომელიც მასთან შეთანხმებით მოქმედებდა.

პრაქტიკაში შეიძლება წამოიჭრას საკითხი იმის შესახებაც, ჩაითვალოს თუ არა ჯგუფურ გაუპატიურებად შემთხვევა, როცა ერთ დაზარალებულს აუპატიურებს რამდენიმე პირი, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, შეუთანხმებლად მოქმედებდნენ, მაგრამ რომელთაც გაცნობიერებული აქვთ საქმის ვითარება.

ვფიქრობ, რომ ასეთ პირობებში ჩადენილი გაუპატიურება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება ჯგუფურად, თუ დანაშაულის მონაწილეები შემთხვევის ადგილზე მათი უშუალო ყოფნის თვით ფაქტით ახდენენ გარკვეულ ფსი-

<sup>6</sup> გორის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი, საქმე № 1-81, 1985.

ქიკურ ზემოქმედებას დაზარალებულზე და ამ უკანასკნელსაც შეგნებული აქვს ეს გარემოება. თუ დამნაშავეები ამ სიტუაციაში ერთობლივად არ მოქმედებენ და დაზარალებულსაც შეგნებული აქვს რომ ადგილი აქვს მხოლოდ ერთი პირის თავდასხმას, ჩადენილი გაუპატიურება ჯგუფურად არ ჩაითვლება.

ჯგუფური გაუპატიურებისაგან უნდა განვასხვავოთ თანამონაწილეობა დანაშაულში, როდესაც პირი გამოდის წამქეზებლის, დამხმარის ან ორგანიზატორის როლში, მაგრამ გაუპატიურებაში უშუალოდ არ მონაწილეობს. ასეთი თანამონაწილის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ მე-19 მუხლის გამოყენებით.



## ქართული იურიდიული აზროვნების ისტორიიდან

პახტაზა აბაშვიძე

### კონსტანტინე აკაღაიანის სწავლული იურისპიის საპარტიალგაგება

ქართველთა ტომებში პირველყოფილ-გვაროვნული წყობილების რღვევის პროცესში, რომელიც ძვ. წ. 1 ათასწლეულის დამდეგს დაიწყო, უკვე თანდათანობით ყალიბდება თანამედროვე ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი დაწესებულებები, კერძოდ, სახელმწიფო და სამართალი, რომლებიც უდიდეს ზეგავლენას ახდენენ ადამიანთა შეგნებაზე. ქართველთა ტომები, როგორც ჩანს, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული დონის მიხედვით საკმაოდ განვითარებული ყოფილან.

პოლიტიკურად გაერთიანებული ქართველი ტომები გაცხოველებულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს ამყარებენ მეზობელი ქვეყნების ხალხებთან და მათთან დებენ სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებას.

ქართველთა ტომებში მძლავრი იდეოლოგიური ძალის, სახელმწიფოსა და სამართლის გაჩენამ, განაპირობა სხვა ხალხებისაგან განსხვავებული ორიგინალური მოძღვრებების შემუშავება. ეპოქანე კვირელის ცნობით, იბერებს, სპარსებსა და სხვებს შორის „დიდია განსხვავება კანონებში“, ფილოსოფიაში“, ხოლო „ლაზების მიმართ თავს იჩენს განსხვავება მსოფლმხედველობისა და

ცხოვრებისა“. ქართველთა ცხოვრების მაღალ დონეზე საგანგებოდ მიუთითებენ ბერძნული წყაროები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ „ვისაც დამწერლობა აქვს, ესენი არიან: იბერიელები, ლატინები, მიდები, არმენები“. პროკოპი კესარიელის ცნობით, ქართულ სახელმწიფოებს სხვა ქვეყნებთან დადებული ჰქონდათ წერილობითი ხელშეკრულებები, რომელთაც საგანგებოდ ინახავდნენ სამეფო არქივებში.

ქართველი ხალხის მდიდარი სულიერი ცხოვრების ინტელექტუალურ ფენომენს საბატიო ადგილი უკავია მსოფლიო კულტურის საგანძურში. ადრინდელი ეპოქის ბერძენი მწერალი დიონისე ჰალიკარნასელი საგანგებოდ ეხება ელინურ კულტურაზე ქართველთა სულიერი ცხოვრების დიდ ზეგავლენას.

ძველი ქართული კულტურის სახელგანთქმული ცენტრი იყო კოლხეთის აკადემია, რომელმაც მრავალი უცხოელი და ქართველი მოაზროვნე აღზარდა. სამწუხაროდ, ქართულ წყაროებში არაფერია ნათქვამი კოლხეთის აკადემიის შესახებ, სამაგიეროდ, მეოთხე საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსი თემისტო-სი მის შესახებ აღნიშნავს შემდეგს: „მეც. ჩემო კარგო ახალგაზრდავ, რიტორიკის ნაყოფი მოვწყვიტე გაცილებით უფრო უჩინარ ადგილას, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია; არა წყნარსა და ელინურ ადგილას, არამედ პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ თესალიიდან წამოსულმა დაისადგურა... მართალია თუ არა ის, რასაც ვამბობ, ცხადი გახდება ეხლავე თუ დავძენ შემდეგსაც: იქ ჩავედი მე არა საკუთარი მისწრაფებითა და გადაწყვეტილებით, არამედ მე გამგზავნა იქ ისეთმა კეთილმოსურნე კაცმა, როგორც შეიძლება იყოს მამა, და ისეთმა მართებულად მოაზროვნემ, როგორც შეიძლება იყოს ფილოსოფოსი. იქნებ შენ ის სრულიად დაჰგმო იმისათვის, რომ მან თვითონაც თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ იქ შეიძინა, ან უფრო მეტად დამგმო მე, რომელიც ფილოსოფიის საიდუმლოებას ბავშვობიდანვე ვარ ზიარებული“.

თემისტო-სის ცნობა წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ თუ კოლხეთის აკადემიაში მეცნიერების რა დარგები ისწავლებოდა უპირატესად. იგი მეცნიერების ამ დარგებიდან საგანგებოდ გამოყოფს ფილოსოფიას და რიტორიკას. ფილოსოფია ანტიკური გაგებით ნიშნავს საერთოდ ცოდნას, მაგრამ თემისტო-სის ცნობაში ამ საერთო ცოდნიდან ცალკე და საგანგებოდაა გამოყოფილი რიტორიკა, რომელიც ასევე ფილოსოფიის ცნების შემადგენელი იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ კოლხეთის აკადემიაში ყველაფერი ის, რაც ანტიკური გაგებით ფილოსოფიას შეადგენდა, ისწავლებოდა და განსაკუთრებული ყურადღება რიტორიკას ექცეოდა. ჩვენს მეცნიერულ ლიტერატურაში რიტორიკა გაგებულია როგორც მჭევრმეტყველება, მაგრამ სინამდვილეში რიტორიკა ანტიკური გაგებით იურიდიული მეცნიერებაა, რომელიც სასამართლო საქმეების სჯა-პაექრობის პროცესში მჭევრმეტყველებასთან იყო დაკავშირებული. „რიტორიკაში“ დამუშავებულია სამართლის, და განსაკუთრებით სასამართლო წყობილებისა და სასამართლო მტკიცებულებათა პრობლემები. ანტიკურ სამყაროში ძველი ბერძენი მოაზროვნეები პლატონი, არისტოტელე და სხვ. სქელტანიან გამოკვლევებს უძღვნიან სამართლის მეცნიერებას. იურიდიული მეცნიერებით და სასამართლო დაწესებულებებით განსაკუთრებული დაინტერესების შესახებ გვაუწყებს სტრაბონის ცნობები, რომელთა მიხედვით იბერიის სოციალური წყობილება განისაზღვრება იმ საქმიანობის

მიხედვით, რომელსაც საზოგადოების წევრები ახორციელებენ სახელმწიფოებრიობის რეალიზაციის პროცესში.

ქართველთა ტომებში სამართლის მეცნიერებით დაინტერესება არც შემდეგ დამცხრალა, მეტიც, მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა, „ზრუნვა მეზობლებთან სამართალზე“. კერძოდ, ბერძნებთან იურიდიული ურთიერთობის განმტკიცება უფრო და უფრო საგრძნობი გახდა, რომელმაც განაპირობა საქართველოში აკადემიის დაარსება და საქვეყნოდ ცნობილ ამ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაში სამართლისა და სახელმწიფოს პრობლემების შესწავლა-დამუშავება.

კოლხეთის აკადემიის სამეცნიერო მუშაობისა და მის მიერ აღზრდილი მოაზროვნეების საქმიანობის შესახებ ქართულ ენაზე წყაროებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს IV საუკუნის ფილოსოფოსის თემისტოისის და ბერძენი ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის (536-582 წ.) ნაშრომები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თემისტოისი მოგვითხრობს კოლხეთის აკადემიის თაობაზე, ხოლო აგათია სქოლასტიკოსი კი გვაუწყებს კოლხი მოაზროვნეების აიეტის და ფარტადის, აგრეთვე ანონიმი სწავლული იურისტების მოწინავე მოძღვრებებზე. ეს ორი კულტურული მოვლენა, კერძოდ, კოლხეთის აკადემია და მის მიერ აღზრდილი კოლხი მოაზროვნეების მოძღვრებები, მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. კოლხი მოაზროვნეების მოძღვრებათა სიღრმე და პროგრესულობა შეუძლებელია გავიგოთ კოლხეთის აკადემიაში მალამეცნიერული საქმიანობის გარეშე და პირიქით, ბერძენ თემისტოისთან ერთად ქართველი აიეტი, ფარტადი და ანონიმი სწავლული იურისტების ნააზრევი წარმოდგენას გვაძლევს კოლხეთის აკადემიის როგორც მსოფლიო-კულტურული დაწესებულების როლზე აღმოსავლეთში.

აგათია სქოლასტიკოსის კეთილსინდისიერად და შესასუბრი პუნქტუალობით აქვს გადმოცემული კოლხი სწავლული მეცნიერების ნააზრევი, მეტიც, მისი ნაშრომი პასუხს გვაძლევს საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი წყობილების ბევრ უცნობ საკითხზეც.

კოლხეთის სახელოვანი მეფის გუბაზის ვერაგული მკვლელობით შექმნილი პოლიტიკური კრიზისის დასაძლევად კოლხებმა საიდუმლოდ, ისე, რომ ბერძნებს არაფერი გაეგოთ „კავკასიის ერთ ხეობაში მოიწვიეს დიდძალი ხალხი... და დასვეს საკითხი — სპარსელების მხარეზე გადავიდეთ, თუ ისევ რომაელებთან დავრჩეთ“.

კოლხეთის სახელმწიფო მონარქიული იყო, მის სათავეში იდგა მეფე, რომელიც სახელმწიფოს მართავდა აგათია სქოლასტიკოსის მიერ მოხსენიებული „ქვეყნის მმართველობით“, მაგრამ ჩანს, რომ სამეფო ხელისუფლების გარდა კოლხეთის სამეფოში არსებობდა სახალხო კრება. მას იწვევდნენ ქვეყანაში შექმნილი საგანგებო შემთხვევის დროს დიდებულები, კერძოდ, მაშინაც, როდესაც სამეფო ტახტი ცარიელი იყო. ასეთ ვითარებაში უმალეს სუვერენულ ხელისუფლებას სახალხო კრება ახორციელებდა. წინასწარ შედგენილი დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვაში მონაწილეობას ღებულობდა მთელი ხალხი. სახალხო კრებაზე აზრის თავისუფლება ბატონობდა, „ყოველ მსურველს შეეძლო გამოსულიყო და ეთქვა თავისი წინადადება, როგორც შეეძლო“. მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა განსაზღვრავდა კოლხეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრების მალალ დონეს. მიუხედა-

ვად ამისა, სახალხო კრება ხშირად ერთსულოვნად არ წყვეტს საკითხებს, პირიქით, განსახილველი საკითხების გარშემო ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობასა და შეხედულებათა ურთიერთბრძოლას. ურთიერთდაპირისპირებულ პარტიებსა და მათ ლიდერებს შორის პოლემიკის საფუძველზე გადაწყვეტილებასღებულობენ უმრავლესობის აზრის მიხედვით. უმეტეს შემთხვევაში აზრთა სხვადასხვაობას ადგილი აქვს წარჩინებულთა და მდაბიოთა შორის. იმ სახალხო კრებაზე, რომელიც დახასიათებული აქვს აგათია სქოლასტიკოსს, პირველი სიტყვით გამოვიდა „წარჩინებულთა შორის ერთი, სახელად აიეტი“. საზოგადოების წარჩინებულთა აზრს ამ კრებაზე აშკარად დაუპირისპირდა დაბალი სოციალური წარმოშობის „ერთი ვინმე, სახელად ფარტაძი, კაცი კოლხთა შორის გავლენიანი, გონიერი და თავისი ქცევით მეტად მდაბიური“. აზრთა ამ ურთიერთჭიდილში ხალხის უმრავლესობის მხარდაჭერით გაიმარჯვა არა აიეტის, არამედ ფარტაძის პოლიტიკურმა პროგრამამ, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის დაძლევას. მათი სიტყვების სრული შინაარსი მიუკერძოებლად და გადაუჭარბებლად გადმოცემულია აგათია სქოლასტიკოსის ნაშრომში, აქვე აღწერილია გუბაზ მეფის მკვლელობა სასამართლო პროცესი, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ანონიმმა კოლხმა სწავლულმა იურისტებმა. ჩვენ ამ უკანასკნელთა ვინაობა არ ვიცით, არც ის ვიცით, თუ რამდენი სწავლული იურისტი გამოვიდა პროცესზე საბრალდებო სიტყვით, მაგრამ მათი ჰუმანისტური მოძღვრებები სახელმწიფოს სასამართლო დაწესებულებების, მტკიცებულებათა და ა. შ. შესახებ, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქართველი ხალხის მდიდარ სულიერ ცხოვრებაზე.

აგათია სქოლასტიკოსის ნაშრომი სრულად ასახავს კოლხეთის სახელმწიფოში არსებულ მსოფლმხედველობრივ წინააღმდეგობებს, რომლებიც სათავეს იდებენ როგორც ფაზისის აკადემიიდან, ასევე წარმართობის გვერდით საქართველოში გავრცელებული ქრისტიანული სარწმუნოებიდან. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გადაქცევამდე, საქართველოში იგი დიდი ხნით ადრე იქნებოდა გავრცელებული, მაგრამ კოლხეთში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად უფრო გვიან გამოცხადდა ვიდრე იბერიაში. ამით უნდა აიხსნას ის, რომ ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ერთად წარმართული რწმენა კოლხეთში არსებობდა და დიდ ზეგავლენას ახდენდა ადამიანთა შეგნებაზე. ვიდრე ქრისტიანობა გაბატონებული სახელმწიფოებრივი რელიგია გახდებოდა და, მის შემდეგაც, იგი შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა წარმართობასთან, რამაც თავისი გამოხატულება პოვა კოლხეთის სახალხო კრებაზე. აიეტი გამოხატავს წარჩინებულთა ზედაფენის იმ ნაწილის თვალსაზრისს, რომელიც მოითხოვს ქრისტიანულ ბიზანტიასთან კავშირის გაწყვეტას და ანტიქრისტიანულ, მაზდეიანურ სპარსეთთან ურთიერთობის დამყარებას. აიეტის საწინააღმდეგო ქრისტიანულ მსოფლმხედველობას გამოხატავს ფარტაძი, რომელიც კოლხებს მოუწოდებს ერთმორწმუნე ქრისტიანულ ბიზანტიასთან სამოკავშირეო, მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისაკენ.

კოლხეთის სახალხო კრებაზე მწვავე იდეოლოგიური ბრძოლა გაჩაღდა ამ ორი ურთიერთდაპირისპირებული პარტიის ლიდერებს შორის, რაც ფარტაძის გამარჯვებით დამთავრდა, თუმცა აგათია სქოლასტიკოსის მითითება იმის შესახებ, რომ აიეტის სიტყვამ დიდად აღაფრთოვანა კოლხები, ისე უნ-

და გავიგოთ, რომ ანტიქრისტიანული, სპარსეთის მომხრე ძალები, რომლის სათავეში აიეტი იდგა, საკმაოდ ძლიერი და მრავალრიცხოვანი ყოფილა.

დიდი კოლხი მოაზროვნეების ამ მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობის გათვალისწინება შესაძლებლობას ქმნის შედარებით სრულად გამოვიკვლიოთ თითოეული მათგანის მიერ შემუშავებული მოძღვრებანი საზოგადოებაზე. სახელმწიფოზე, სამართალზე და ა. შ.

## 1. აიეტი

აიეტის მსოფლმხედველობაში აშკარად ჩანს კოლხეთის სახელმწიფოში გავრცელებული ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ არათანმიმდევრულობა და არაქრისტიანული წარმართული რელიგიური შეხედულებების ძლიერი ზეგავლენა. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან როგორც აგათიას სქოლასტიკოსი აღნიშნავს, აიეტი „რომაელთა მოძულე იყო და მუდამ სპარსელთა მომხრე“.

სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური განსხვავება, პირველყოვლისა, იწყება ღმერთის შესახებ მოძღვრებიდან. აიეტი ღმერთს უწოდებს „უზენაეს მფარველს“, „ყველაფერის გამგებელს“, „უზენაესს“, მაგრამ ბუნებისა და საზოგადოების მოვლენების კვლევისას, იგი ქრისტიანულ სამყაროში და კერძოდ, საქართველოში გავრცელებულ ქრისტიანულ-რელიგიური დოგმატების იგნორირებას ახდენს. ამ მხრივ აიეტის მსოფლმხედველობა საკმაოდ დაშორებულია მისი უახლოესი თანამედროვის იაკობ კურტაველის თანმიმდევრულ ქრისტიანულ წარმოდგენებს. გაბატონებული ქრისტიანულ-რელიგიური დოგმატების მიხედვით, ღმერთი განაგებს ყველაფერს, ღმერთის ნებით ადიან სამეფო ტახტზე მეფენი, ღმერთი ანიჭებს მათ მტრებზე გამარჯვებას და ა. შ. აიეტი კი ქრისტიანულ რწმენაზე დამყარებული ამგვარი რელიგიური დოგმატების ნაცვლად სოციალურ მოვლენებს ხსნის ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელი თანდაყოლილი თვისებებით. იგი ამტკიცებს, რომ „გამარჯვებას იარაღი კი არ განამტკიცებს ხოლმე, არამედ სათნოიანობა“. ბერძნებს უარყოფითი თანდაყოლილი თვისებები აქვთ, ისინი ბუნებით გაიძვერები, ფლიდები და მზაკვრები არიან. აიეტის აზრით, სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ისინი მტერთა შემოტევას ვერ უმკლავდებიან და მარცხდებიან.

აიეტს სახელმწიფოს შესახებაც შუა საუკუნეების ქრისტიანული მსოფლმხედველობისაგან განსხვავებული მოსაზრებანი გააჩნია. მისი მტკიცებით, სახელმწიფო არა ღმერთს, არამედ ადამიანთა შექმნილი რთული დაწესებულებაა, იგი შეიქმნა ადამიანთა ბედნიერი ცხოვრებისათვის და ამ მიზანს სახელმწიფო უშუალოდ თვითონ უნდა ახორციელებდეს. იდეალურია სახელმწიფო, რომელსაც მეზობელი ქვეყნები ანგარიშს უწევენ მისი სიძლიერის გამო. რომელიც საგარეო ურთიერთობაში დამოუკიდებელ პოლიტიკურ კურსს ახორციელებს და საზოგადოებაში საკუთარი ძალაუფლების სარეალიზაციოდ არ სჭირდება უცხო და გარეშე ძალების გამოყენება. ყველა პოლიტიკური მოღვაწის მიზანია იმდენად ძლიერი გახადოს სახელმწიფო, რომ ყოველთვის საკუთარი თავის იმედი ჰქონდეს: „მე ვინატრიდი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს მისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირდეს უცხო და გარეშე დახმარება და რომ ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს“.

მაგრამ სახელმწიფოთა ბედს მართო პოლიტიკურ მოღვაწეთა ნიჭი, უნარი და ცოდნა არ განსაზღვრავს, სახელმწიფოთა განვითარების კანონზომიერება ხშირად ემყარება „ყამთა ტრიალს“. „ბედის უკუღმართობას“ და ორივეს ერთად. საყურადღებოა, რომ, როდესაც აიეტი სახელმწიფოთა განვითარების განმსაზღვრელ კანონზომიერებაზე ლაპარაკობს, იგი ქრისტიანულ ღმერთს გამოიხატავს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქრისტიანული სარწმუნოება, მისი გავრცელების მიუხედავად, ჯერ კიდევ სახელმწიფოებრივ რელიგიად არაა გამოცხადებული კოლხეთში, ანდა თუ ქრისტიანობა არის ოფიციალური სახელმწიფოებრივი სარწმუნოება, მაშინ წარმართული რწმენა საგრძნობი ძალაა, რომლის ძლიერ ზეგავლენასაც აიეტი აშკარად განიცდის. ამიტომაც არის, რომ როგორც ხალხების, ასევე სახელმწიფოთა არსებობის კანონებს იგი ქრისტიანული რელიგიის დოგმატებისაგან დამოუკიდებელ ბუნებრივ საფუძვლებში ეძებს. ბუნება ცვალებადია, ღმერთი და მისი ნება კი მუდმივი და უცვლელია, ამიტომაც სახელმწიფოთა მეთაურები ქვეყნებს უნდა მართავდნენ შექმნილი ვითარების შესაბამისად საკუთარი ინტელექტისა და მოსაზრებების მიხედვით. აიეტი მიუთითებს, რომ კოლხეთის სახელმწიფოში ბედის უკუღმართობის, ყამთა ტრიალის ან ორივეს წყალობით „ისეთ უძღურებაში ჩავვარდით, რომ სხვათა ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ უმჯობესია იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილის მსურველია, ვინც ურყევად იცავს კეთილგანწყობილებას თავისიანებისა და მოკავშირეთა მიმართ“.

მართალია, აიეტი საზოგადოებრივი მოვლენების არსებობისა და განვითარების მიზეზებს მათ ბუნებრივ საფუძვლებში ეძებს, მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ იგი ღმერთის მთლიან იგნორირებას ახდენს. აიეტის მსოფლმხედველობაში ღმერთი არის არა ქრისტიანული, არამედ წარმართული, რომელიც რელიგიური დოგმატებისაგან თავისუფალი შემოქმედებითი მოქმედების შესაძლებლობას იძლევა. აიეტისათვის ღმერთის სხვანაირი გაგება შეუძლებელია. მართლაც, თუ აიეტი ქრისტიანულ ღმერთს ეთაყვანებოდა, შუა საუკუნეების დამდევისათვის, როდესაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო გაჩაღებული წარმართობასა და ქრისტიანობას შორის, არ შეიძლებოდა მას მოეთხოვა ქრისტიანობის დაუძინებელი მტრის, მაზდიანური სპარსეთის მხარეზე გადასვლა და ერთმორწმუნე ქრისტიანული ბიზანტიისაგან განდგომა. აიეტი ქადაგებს, რომ თუ უზენაესის ნებით ვიხელმძღვანელებთ და გონიერულად მოვიქცევით, ვერაგ ბიზანტიელებს უნდა ვანაცვალოთ კეთილი სპარსელები: „ამრიგად, თუ ჩვენ გონიერად ვიმსჯელებთ, არ უნდა მივემხროთ იმათ, რომელთაც კარგად აზროვნების უნარი არ გააჩნიათ და რომელთაც ურისხდება ის, ვინც ყველაფრის გამგებელია“. აიეტი მოუწოდებს თანამემამულეებს, რომ დაუყოვნებლივ დაეიწკოთ მოლაპარაკება სპარსელებთან და შევებრძოლოთ ბიზანტიელებს, რომლებიც ფეხქვეშ თელავენ კოლხეთის სახელმწიფოს ღირსებას. ეს იქნება ღმერთის ნების აღსრულება.

ღმერთის და ქრისტიანული რწმენის შესახებ, როდესაც აიეტის შეხედულებებს ვაფასებთ, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ერთი გარემოება, კერძოდ, ქრისტიანობამდე, სადაც კი იგი გავრცელდა, ბატონობდა წარმართული რწმენა, რომლის იდეოლოგიურ საფუძველს შეადგენდა ბუნებითი სამართლის მოძღვრება (დემოკრიტე, სოფისტები, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, ციცერონი და ა. შ.). ბუნებითი სამართლის მოძღვრებაზე დაფუძნებული წარმართული რწმენა, ქრისტიანობისაგან განსხვავებით, რომელიც

ყველაფრის შემოქმედად ქრისტიანულ ღმერთს აღიარებდა და ამდენად ზღუდავდა სამყაროსა და საზოგადოებრივი მოვლენების შეცნობის სხვა დანარჩენ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, აზრის თავისუფლების უფრო მეტ ასპარეზს ქმნიდა. ამიტომ ქრისტიანობა კი გავრცელდა წარმართული რწმენის გვერდით, მაგრამ სამყაროს და საზოგადოების შეცნობის ფართო შესაძლებლობის წარმართული რწმენა ერთბაშად არ აღმოფხვრილა, მათ შორის ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. ეს გარემოება განაპირობებს იმას, რომ აიეტის მსოფლმხედველობა, საერთოდ, წინააღმდეგობრივია, იგი ემყარება ერთმანეთთან შეუარიგებელ, როგორც წინაქრისტიანულ, ასევე ნაწილობრივ ქრისტიანულ წარმოდგენებს ბუნებისა და საზოგადოების შესახებ. ქრისტიანული მსოფლმხედველობა მნიშვნელოვანწილად წინაქრისტიანულის უარყოფაა და ამდენად, მათ შორის წინააღმდეგობა ნათელია, მაგრამ ამავე დროს, აიეტის მსოფლმხედველობა წარმოადგენს ამ ორი ურთიერთდაპირისპირებული მსოფლმხედველობის შერიგების ცდას ძველ აღმოსავლეთსა და ანტიკურ სამყაროში ჩასახული და ფართოდ გავრცელებული ბუნებითი სამართლის მოძღვრების საფუძველზე. ჯერ კიდევ ქრისტიანობის წარმოშობამდე გაჩენილი ბუნებითი სამართლის მოძღვრების ძირითადი დებულებები შემდეგში მდგომარეობს: სახელმწიფოს მიერ დადგენილ პოზიტიურ სამართალთან ერთად არსებობს ბუნებითი სამართალი, რომლის ნორმები, ადამიანთა ნების გამომხატველი პოზიტიური სამართლისაგან განსხვავებით, სხვადასხვა საფუძველებს ემყარება (ღმერთის ნება, ადამიანის ბუნება და ა. შ.). ბუნებითი სამართალი, როგორც ადამიანთა გონებისაგან დამოუკიდებლად არსებული ქცევის წესების ერთობლიობა, წარმოადგენს მუდმივ და უმაღლეს ჭეშმარიტებას, რომ მათი ქცევის წესები გამოხატავენ უზენაესის ნებას. მაგრამ ანტიკურ ეპოქაში ქრისტიანული რწმენა არ არსებობდა და ცხადია, პლატონის მიერ მითითებული ღმერთი არ არის ქრისტიანული მოძღვრების მიერ შექმნილი. იგი წარმართული ღმერთია, რომლის ნება მუდმივ, უმაღლეს ჭეშმარიტებას წარმოადგენს. ბუნებითი სამართალი კი ემყარება ამ მარადიულ ჭეშმარიტებას, იგი ერთნაირად არის აღიარებული ყველა დროის, ყველა ქვეყნისა და ყველა ხალხის მიერ, ბუნებითი სამართლის მიერ დადგენილი ჭეშმარიტების უნივერსალური ხასიათი იმით არის გაპირობებული, რომ იგი გამოხატავს ადამიანის ბუნებას. ადამიანის ბუნება კი ყველა დროში, ქვეყანასა და ყველა ხალხში არსებითად ერთი და იგივეა. ადამიანს აქვს თანდაყოლილი თვისებები, როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური, რაც ანტიკური წარმოდგენით უზენაესმა მიანიჭა მას. ბუნებითი სამართლის ნორმებით დადგენილი ქცევის წესები ადამიანთა საქმიანობას განსაზღვრავს და ამდენად ღმერთის ნება ადამიანთა თანდაყოლილ თვისებებშიც პოულობს თავის გამომხატულებას.

ბუნებითი სამართლის მოძღვრების მემკვიდრეობას აიეტი მოხერხებულად იყენებს. საერთო კრებაზე რომ ცხადყოს კოლხთა მიერ ბერძენთაგან განდგომა და სპარსეთთან კავშირისაკენ მისწრაფების სარგებლადანობა, აიეტი მიუთითებს, რომ ბერძენებს გააჩნიათ ბუნებით თანდაყოლილი ნეგატიური თვისებები (ვერაგობა, გაიძევრობა, ფლიდობა და ა. შ.), რაც, გამომხატულებას პოულობს უზენაესის მიერ დაგმობილ მოქმედებებში. იგი მიუთითებს, რომ ბერძენთათვის დამახასიათებელია სილაჩრე, რომ ისინი შეუფერებელ გეგმებს ადგენენ. ეს ცუდი თვისებები ახასიათებს მათ როგორც ჭეშმარიტად მათი კუთვნილი და თითქმის თანდაყოლილი. გარდა ამისა, ამ ბუნებით თანდაყოლილ ცუდ თვისებებს ემატება საკუთარი ნებით ჩადენილი

ბოროტმოქმედება და „უსამართლოდ სისხლის დაღვრის გამო უზენაესს მოკლებულებს უორკეცდებათ უბედურება“.

ამრიგად, აიეტის აზრით, არა ქრისტიანულ-სარწმუნოებრივ დოგმებს, არამედ ადამიანის ბუნებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. აიეტის ეს მოსაზრება იმ ეპოქას განეკუთვნება, როდესაც წარმართულ-ანტიკურ ხანაში ჩასახული და განვითარებული ბუნებითი სამართლის მოძღვრება ჯერ კიდევ არ მიუღია ქრისტიანობას. აიეტის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მიზნად ისახავს ქრისტიანულ სარწმუნოებასა და ბუნებითი სამართლის მოძღვრებას შორის ახალი ურთიერთდამოკიდებულების დამყარებას. თავისი შინაარსით, აიეტის მიერ ქრისტიანული იდეოლოგიის გამდიდრება ანტიკური მემკვიდრეობით, წინარენესანსული მოვლენაა, რომელმაც სრული გამოხატულება ჰპოვა ქართული რენესანსის ეპოქაში დავით აღმაშენებლის, ყუთლუ-არსლანის, შოთა რუსთაველის და სხვათა მოძღვრებებში.

## 2. ფარტაძი

თავისი დროის დიდი ორატორი და სწავლული მეცნიერი ფარტაძი სახელმწიფოებრივ რელიგიად ამღლებული ქრისტიანობის პოლიტიკური იდეოლოგიის ფუძემდებელია კოლხეთში. საგარეო ურთიერთობაში იგი ერთმორწმუნე ხალხებს, კერძოდ, კოლხებსა და ბიზანტიელებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების მომხრეა და სპარსელებთან პოლიტიკური კავშირის მოწინააღმდეგე. იგი გამოხატავს ქრისტიანული რწმენითა და იდეოლოგიით შეკავშირებული კოლხი ხალხის უმრავლესობის აზრს და იბრძვის მისი გამარჯვებისათვის. მაგრამ მან კარგად იცის, რომ რომაელების მოძულე და სპარსელების მომხრე აიეტის მიერ სახალხო კრებაზე დიდი ორატორული ხელოვნებით წარმოთქმული სიტყვის დამაჯერებელი კრიტიკის გარეშე უმრავლესობას ვერ მოიხრობს და თავიდანვე იკვლევს სიტყვისა და საქმის ურთიერთდამოკიდებულების, აზრისა და შეხედულებების საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედების თეორიულ საკითხებს. მისი მტკიცებით, აზრი და სიტყვა პირველადია, სიტყვა იწვევს საქმეს, რომელიც ადამიანთა მოქმედებაში გამოიხატება და მის გაგრძელებას, ხორცშესხმას წარმოადგენს. საქმის ეფექტურ დაწყებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოხერხებულად და წარმტაცად წარმოთქმული სიტყვა. აზრი, სიტყვასა და აზრს შეუძლებელია დაუპირისპირო რაიმე ძალა, განსაკუთრებული ზემოქმედებითი ძალა აქვს მჭევრმეტყველებას: „უძველესი რაღაც არის მჭევრმეტყველება და ის თითქმის ყველას ამარცხებს. განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც წინათ მისი ძალა არ გამოუცდია“. მაგრამ ყველა აზრი და სიტყვა შინაარსით, სასარგებლო ზემოქმედებითი ძალით ერთნაირი არის არის, თუნდაც მაღალი ორატორული ისტატობით იქნას ჩამოყალიბებული. სიტყვა და აზრი მაშინ არის უძლეველი, როდესაც ისინი გონივრულია, საქმის ნამდვილ ვითარებას ემყარება, სასარგებლო და მიზანშეწონილია. აიეტის სიტყვას კი აკლდა ეს ძირითადი თავისებურებანი, ამიტომ ფარტაძის მტკიცებით, „ყალბ რჩევა-დარჩევას იძლევა“ აიეტი, „მაცდურსა და შემპარავ სიტყვებს მოგახსენებთ“.

ფარტაძი უფრო მეტი დასაბუთებულობით ცხადყოფს აიეტის მიერ წარმოთქმული პოლიტიკური პროგრამის ნაკლოვანებებს და გვაძლევს მის დამაჯერებელ კრიტიკას. ფარტაძის მტკიცებით, პირველყოვლისა, აიეტის სიტყვის დიდი ნაკლი და მაცდური ხასიათი ისაა, რომ მან სიტყვის დასაწ-

ყისშივე შეცვლა კამათის საგანი, კრების მონაწილეებმა ვერ შენიშნეს უბრალო რამ, „რომ მან იმთავითვე წამოაყენა სულ სხვა საკითხი, სრულიად განსხვავებული იმ საკითხთაგან, რომელთა გამო ჩვენ აქ მოვსულვართ. მისი სიტყვებით ისე გამოდის, თითქოს თქვენ ყველანი ამტკიცებდეთ, რომ მომხდარი ამბავი არ იყო საშინელება, რომ ამ საზიზღარ მკვლელობას არ ჰკიცხავდეთ და მხოლოდ იმის შესახებ მსჯელობდეთ დამნაშავენი არიან თუ არა გუბაზის მკვლევები: თვითონ კი მკვლელობას, დანაშაულს არ ეხება და უამრავ სიტყვას ხარჯავს იმაზე, რაც ცნობილია. მე კი ვამბობ, რომ წყეული და შეჩვენებული არიან ისინი და რომ მე უდიდესი სიამოვნებით ვუყურებდი მათ საშინელ სასჯელს“<sup>1</sup>.

ფარტაძის აზრით, ბიზანტიელი სარდლები მკვლევები არიან, რომლებმაც უშუალოდ შეასრულეს ეს საშინელი დანაშაულებრივი აქტი, „საკუთარი ხელებით ჩაიდინეს ეს მკვლელობა“. მაგრამ დანაშაულის სუბიექტებიდან კანონსაწინააღმდეგო მოქმედების შემსრულებელთა გარდა, ცალკე უნდა იქნეს გამოყოფილი სხვა პირებიც, რომელთაც კავშირი აქვთ გუბაზის მკვლელობასთან. ამ პირთა შორის, პირველყოვლისა, აღსანიშნავია ისინი, „რომელთაც შეეძლოთ შეეფერხებინათ ეს მკვლელობა და არ შეაფერხეს“ ფარტაძის მტკიცებით, სახელმწიფოს მეთაურის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული უმძიმესი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაა და ზემოაღნიშნულ პირთა გარდა დანაშაულის სუბიექტებია და სასჯელი უნდა შეეფარდოს „იმათთაც, რომელთაც ეს მკვლელობა გაეხარდათ და არც თუ ისე აღშფოთდნენ“.

ამრიგად, სხვა კატეგორიის დანაშაულთაგან განსხვავებით, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, კერძოდ, მეფის მკვლელობის, როგორც უმძიმესი დანაშაულის სუბიექტები, ფარტაძის შედარებით ფართოდ აქვს წარმოდგენილი. გარდა ამისა, აიეტის იმ შეხედულების საწინააღმდეგოდ, რომლის თანახმად ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელი სამაგიეროს მიზღვევაა, კერძოდ, ვინც ჩაიდენს დანაშაულს, დაზარალებული მხარის ინტერესები მოითხოვს მას ანალოგიური კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით გაეცეს პასუხი, თუნდაც ამგვარ რაიმეს არ მოითხოვდეს „მშობლიური წესები“. ფარტაძი კატეგორიულად მოითხოვს, რომ ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი ნორმები ანუ „მშობლიური წესები“ ყველა შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს. იგი ამბობს: „არავინ არ მიიჩნევს საჭიროდ მივიღოთ და გავიზიაროთ ის აზრი, თითქოს თუ იმათ (რომაელებმა) ჩაიდინეს უკანონობა, აუცილებელი იყო ჩვენც გამოვეთხოვოთ მშობლიურ წესებს და იმ ვერაგებს კი არ გამოვუცხადოთ ჩვენი გულისწყრომა, არამედ თვითონ მოვიპოვოთ იმგვარივე სახელი“. ფარტაძის აზრით, მოვლენებისადმი ამგვარი დამოკიდებულება გონიერ საწყისებს არ ემყარება, იგი მხოლოდ იმ გულისტკივილითა და ბოღმითაა გამოწვეული, რაც ჩვენი ქვეყნის ღირსეული მეფის გუბაზის ვერაგული მკვლელობით აიხსნება, მაგრამ გონიერება მოითხოვს ამ მძიმე დღეებში არ დაგვარგოთ უკეთესი გადაწყვეტილების შერჩევის უნარი, უნდა „მოვისაზროთ მომავლისათვის, თუ როგორ მოვაგვაროთ საქმეები უკეთ, უგუნური ადამიანები სულ მუდამ დასტირიან განვლილ უბედურებას, ხოლო გონიერნი შეიცნობენ ხოლმე ბედის უკუღმართ ტრიალს და მათ არ აშფოთებს ცვლილებები, და როდესაც წინანდელ მდგომარეობას ჰკარგავენ, არ ისპობენ მომავლის იმედებს“.

<sup>1</sup> გეორგიკა, III (შემდგომში ციტატები მოყვანილია ამ ნაშრომიდან).

ჭეშმარიტი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია რეალურად არსებული მდგომარეობის კრიტიკული შეფასების გარეშე. ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ემყარება მოვლენების შესახებ სუბიექტურ, არაჯანსაღ წარმოდგენებს და ბრძოლა მისი განხორციელებისათვის, ობიექტური მიზეზებით ჩამოყალიბებულ მდგომარეობაზე ძალადობაა, რადგან „განა შესაძლებელია ვითარების შეტრიალება ძალით და მისი ისე მოქცევა როგორც გესიამოვნება?“

უკეთესი გადაწყვეტილება მხოლოდ კოლექტიური სჯა-ბაასის, საყოველთაო განხილვისა და მსჯელობის გზით შეიძლება მივიღოთ, რადგან წარმოდგენელია, რომ ხალხი ცდებოდეს. ამიტომ კოლხეთის სახელმწიფოში დაარსებულმა სახალხო კრებამ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს საჯარო განხილვის შედეგად უკეთესი გადაწყვეტილების მისაღებად. აიეთი კი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ მოითხოვს, რომ გავწყვიტოთ ყოველგვარი კავშირი ბიზანტიასთან და დაუყოვნებლივ გადავიდეთ ჩვენი აშკარა მტრების, სპარსელების მხარეზე. აიეთი „მოუფიქრებლად გვიდგენს გეგმებს, არღვევს და ანგრევს კრების წესრიგს და ამ კრებას მიზანს უკარგავს. კრება ხომ ჩვეულებრივ წინასწარ იხილავს მუდამ და მსჯელობს, რომ კარგად გასინჯოს ის, რაც არ არის ნათელი; ხოლო, როგორც კი მიაგნებს იმას, რისი გაკეთებაც არის საჭირო, მაშინ გემართებს გამოვიჩინოთ სურვილი და შევასრულოთ დადგენილება“.

აიეთი ცდილობს სახალხო კრებას თავს მოახვიოს თავისი აზრი და მისი საჯაროდ განხილვის გარეშე ყველაზე უკეთეს გადაწყვეტილებად გამოაცხადოს იგი, მეტიც, მისი პროგრამის განხორციელებას დაუყოვნებლივ შეუდგეს კოლხი ხალხი, მაგრამ სავსებით კანონზომიერად სვამს კითხვას ფარტაძი იმის შესახებ, რომ ასეთ ვითარებაში „რალა აზრი აქვს კრებას, თუ ჭერ დადგენილება იქნება და მერე კრება“.

ფარტაძი მიუთითებს, რომ აიეტის მსჯელობიდან ჭეშმარიტებას შეესაბამება მხოლოდ ის, რომ ბერძენმა სარდლებმა მოკლეს კოლხეთის მეფე გუბაზი; მაგრამ აიეტის ყველა დანარჩენი მოსაზრება დაუსაბუთებელია და ფაქტებით არ დასტურდება, კერძოდ, არც იმპერატორ იუსტინიანეს, არც რომაელ მთავარსარდლობას არ მოუწყვიათ შეთქმულება გუბაზ მეფის წინააღმდეგ. პირიქით, მხოლოდ მკვლელები პირადი შურით და მტრობით იყვნენ განწყობილი გუბაზის მიმართ, დანარჩენი ბერძენი სარდლები არა თუ ეხმარებოდნენ უშუალო მკვლელებს, არამედ სწუხდნენ მომხდარი ამბის გამო. ამიტომ ფარტაძი მოუწოდებს კრებას: „უმართებულო იქნებოდა, ჩემის აზრით, და ამასთანავე ერთად მიზანშეუწონელიც, ერთი და ორი კაცის დანაშაულის გამო შევსწყრომოდით საზოგადოებრივ კანონებს, რომელთა დაცვა აგვილია ჩვენს თავზე, და ასე იოლად შეგვეცვალა მთელი სახელმწიფო წყობილება და ცხოვრება, რომელსაც მშვენივრად შევეგუეთ, იმათ მიმართ კი, რომლებიც ამ ქვეყანას სდარაჯობენ და მრავალნაირს ხიფათში ვარდებიან იმის გულისთვის, რომ ჩვენ უდარდელი ცხოვრება მოგვანიჭონ. გამცემლები გამოვსულიყავით“.

განსხვავებით აიეტისაგან, რომელიც არაქრისტიანულ რწმენასთან შემორიგებლურ მოსაზრებებს ავითარებს, ფარტაძი ქრისტიანობის თანმიმდევრული მომხრეა. ფარტაძი ბიზანტიასთან კავშირის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში გადაწყვეტს მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ სპარსელები ქრისტიანობის მტრები არიან, ბიზანტიელები კი — მართლმორწმუნენი, ამიტომ კოლხებს არ შეგვეფერება ვულალატოთ ქრისტიანობას და მივემხროთ ამ წმინდა სარ-

წმუნოების მტრებს, რითაც „შეებულავეთ მართლმორწმუნობას და წმინდა საიდუმლოთა უმწიკვლობას. აბა, სხვა რას დაემსგავსება ჩვენი საქციელი, თუ მივემხრობით უზენაესი არსების სასტიკ მტრებს? თუ ისინი აგვიკრძალავენ ჩვენი საღმრთო წესების შესრულებას და თავიანთ წესებზე გადაგვიყვანენ, ამაზე უფრო სამძიმო რა უნდა განვიცადოთ ჩვენ?“

ბიზანტიელებისაგან ჩამოშორება და სპარსეთის მხარეზე გადასვლა კოლხებისათვის წამგებიანია. სპარსელები ჩვენთვის უცხოა, ადამიანები კი ბუნებით ვერ ეგუებიან შეხედულებათა სხვადასხვაობას. სწორედ ამიტომ განსხვავებულ შეხედულებათა ხალხს შორის ნდობა არ შეიძლება იყოს მტკიცე: „ადამიანები ვერ იწყნარებენ ხოლმე აზრთა სხვადასხვაობას და მაშინაც კი, როდესაც გაჭირვება ან რაიმე, მოპირდაპირის მიერ ჩადენილი, კუთვნილი საქმე აიძულებს მათ კავშირში ყოფნას, მათ შორის ნდობა არასდროს არ არის მტკიცე: ეს შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ შორის აზრთა ერთიანობაა. თუ ვინცობაა ეს ერთიანობა არ არსებობს, მათი დაახლოვება და მეგობრობა ცარიელი სიტყვაა. საქმით ისინი ერთმანეთისათვის უცნობი რჩებიან“. რწმენითი, შეხედულებებითა და აზრით კოლხები და სპარსელები განსხვავებულნი არიან, თუ კოლხები სპარსელების მოკავშირენი გახდებიან, ეს განსხვავება მათ შორის არ წაიშლება, ხელშეკრულება ფორმალური იქნება, გარეგნულად სპარსელები მეგობრები გახდებიან, არსებითად კი ისინი კოლხების მტრობას თავს არ დაანებებენ და აზრთა „განსხვავებულობის გამო ისინი კოლხების ფარული მტრები იქნებიან“, მაგრამ „ფარული მტრისაგან უფრო ძნელია თავის დაცვა, ვიდრე აშკარისაგან“.

გარდა ამ დაბრკოლებისა, ფარტაძის მტკიცებით სხვა გარემოებასაც უნდა გაეწიოს ანგარიში. როდესაც ბიზანტიისა და სპარსეთის ძალებს ვაფასებთ და ერთმანეთს ვუპირისპირებთ, უნდა ვიცოდეთ — საკუთარი ძალები საქმარისი არ არის ბერძნებისაგან ჩამოშორების და სპარსეთის მხარეზე გადასვლისათვის. საქმე ისაა, რომ სპარსელები შორს არიან კოლხეთისაგან, რომელიც მოელის დახმარებას, მაშინ, როდესაც რომაელები მთელ ჩვენს „ქვეყანას ფლობენ და ჩვენს ქალაქში ცხოვრობენ“.

აიეტისა და ფარტაძის შეხედულებებს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების შეფასებისას, მართალია, ბევრი რამ აქვს საერთო, რაც არსებითად ქრისტიანული რწმენის კოლხეთში სახელმწიფოებრივ რელიგიად გავრცელების თავისებურებებით უნდა აიხსნას, კერძოდ, სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად აღიარებული ქრისტიანული საწმუნოების დოგმები ჯერ კიდევ განუყოფლად არ ბატონობს ადამიანთა შეგნებაზე, ქრისტიანობასთან ერთად იგრძნობა წარმართული რწმენის ძალა. როგორც ზემოთ დავინახეთ, აიეტის მტკიცებით, გამარჯვებას შეფეებს არც ღმერთი და არც იარაღი აძლევს, არამედ სათნოიანობა. რაც შეეხება ფარტაძის, სოციალური მოვლენების შეფასებისას, იგი ღმერთთან ერთად სხვა ფაქტორებსაც ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას. ფარტაძი ამტკიცებს: „ხშირად გამარჯვება ბედის უკუღმართობას გამოასწორებს ხოლმე და დამარცხებულებს ხედება წილად“. რომაელების დამარცხება, რომელზეც ამახვილებს ყურადღებას აიეტი, ფარტაძის აზრით, იმის მტკიცების საფუძველს არ იძლევა, რომ ისინი „ყოველთვის დამარცხებულნი იქნებიან“ ბრძოლებში, გამარჯვებისათვის აუცილებელია კარგად მოვიფიქროთ მტრის დამარცხების გეგმა და „წინასწარი ზომები მივიღოთ, რათა მოუფიქრებლობის გამო ხიფათი არ შეგვემთხვას. რომაელების დამარცხე-

ბები თუ იმით შეიძლება აიხსნას, რომ „მათ ღვთაება უწყება“ ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის და ამითაა გამოწვეული მათი უბედურება. რაღა საჭიროა, რომ მივეშველოთ ღვთაებას, თითქოს მსჯავრის დასადებალ მას თავისი ძალა არ ჰყოფნიდეს და ჩვენს დახმარებას საჭიროებდეს?“ ერი კრიტიკულ მომენტში მარტო ბედის იმედით არ ცხოვრობს, არამედ „უზენაესის თვალი არ მოაკლდება ერს“, რომელიც ღირსეულად იცავს მამა-პაპურ წესებს.

მამა-პაპური აღათ-წესებისადმი პატივისცემას ქვეშევრდომთა შორის ადგენს სამეფო ხელისუფლება, რომელიც მემკვიდრეობითაა და ამ წესსაც მტკიცედ უნდა იცავდეს სახელმწიფო. მთელი ხალხი, როცა ქვეყანა დგას კრიტიკული მდგომარეობის წინაშე, გუბაზის მოკვლის შემდეგ სამეფო ტახტი თავისუფალი აღმოჩნდა, კოლხეთის სახალხო კრება, რომელიც სწორედ ამ მძიმე დღეებში შეიკრიბა, სწყვეტს სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხს, თხოვს იმპერატორ იუსტინიანეს გუბაზის მკვლელები, ბერძენი სარდლები, მკაცრად დასაჯოს და „მეფედ ვინმე უცხოელს, არათვისტომს ნუ დაგვიყენებ, არამედ წათე გამოგვიგზავნე, გუბაზის უმცროსი ძმა, რომელიც ბიზანტიაში ცხოვრობს, რათა დაცული იქმნეს მამა-პაპური წესი და მთელი სამეფო გვარი შეურევნელი დარჩეს“. აიეტის მოსახრებისაგან განსხვავებით, მეფე ზვიადი და მორქმულია, იგი გამირულად იტანს ყოველგვარ გასაჭირს და მძიმე მდგომარეობაში მყოფიც კი ქვეშევრდომებს არ მოუწოდებს ისეთი საქციელისაკენ, რომელიც არღვევს მამა-პაპურ წესებს, კერძოდ, განდგომისაკენ და სამაგიეროს მიზღვევისაკენ. ფარტაძის აზრით, „ამიტომ, ნურავან ნუ ცდილობს აქ მიცვალებული გუბაზი წარმოგვიდგინოს სრულიად არა ვაჟკაცურად, მოტირალი, რომელიც თითქოს თავის ჭრილობას უჩვენებს თვისტომთ და ევედრება მათ შეიბრალონ იგი. იქნებ ეს შეეფერებოდეს საცოდავ და სუსტ არსებათ, მაგრამ ეს არ შეეფერება მეფეს ისიც ლაზთა მეფეს, მით უმეტეს გუბაზს. ის, რომ აქ იყოს, უეჭველია, როგორც ღვთისნიერი და გონიერი ადამიანი, გაგვიცხავდა ჩვენ ამგვარი ზრახვებისათვის; მოგვიწოდებდა არ მივეცემოდით სასოწარკვეთილებასა და გულაჩუყებას, და მონების მსგავსად კი არ გაგვქვეუღიყავით, არამედ აღვკურვილიყავით კოლხის თავისუფალი შეგნებით, ვაჟკაცურად ავგეტანა უბედურება და არაფერი სასირცხვილო და მამა-პაპური წესების შემბოლწველი არ ჩაგვედინა“.

ფარტაძის ჰკვიანურმა, თანამიმდევრულ ქრისტიანულ რწმენაზე დაფუძნებულმა და ღრმად მოფიქრებულმა სიტყვამ გააქარწყლა აიეტის გეგმა, მოწონება და მხარდაცერა ჰპოვა ფარტაძის მიერ წამოყენებულმა წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა გუბაზის მკვლელობის ყველა გარემოების შეტყობინებას იმპერატორ იუსტინიანესათვის, მის მიერ მთავარი დამნაშავეების დასჯას და თუ იმპერატორი ამ მოთხოვნას შეასრულებდა, ბიზანტიელებთან კოლხების უთანხმოება მოისპობოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიზანშეწონილად უნდა მიჩნეულიყო მეორე გზა, ბიზანტიასთან კავშირის გაწყვეტა და ახალი მოკავშირის ძებნა. ფარტაძის სიტყვა, ჯანსაღი, პოლიტიკური აზრის გარდა, ემყარებოდა ქართველთა შორის ახლად განმტკიცებულ ქრისტიანულ რწმენას და ამიტომაც მან კრების მონაწილეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მისმა გამოსვლამ „განსაკუთრებით იმით იმოქმედა იმათზე, რომ შიში აღუძრა, ვაი თუ, რომ გადავდგეთ, უზენაესის წყალობას მოვწყდეთ“.

ფარტაძის წინადადებას გაიმარჯვა, ფეოდალური არისტოკრატიის ზედაფენამ, სახალხო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, აცნობა იმპერატორს

გუბაზის მკვლევლობის ყველა დეტალი და ხაზი გაუსვეს იმას, რომ გუბაზ მეფეს არასდროს უღალატია ბიზანტიისათვის, იგი არ ყოფილა სპარსეთის ზომხრე, რომ იგი მოკლეს პირადი მტრობისა და შურის გამო და მოითხოვეს იმპერატორ იუსტინიანესაგან გუბაზ მეფის მკვლელობა, კერძოდ, ბერძენი სარდლების დასჯა და ახალ მეფედ არა უცხოელის, არამედ იუსტინიანეს სამეფო კარზე მყოფი წათეს, ყოფილი მეფის, გუბაზის უმცროსი ძმის გამეფება.

ფარტაქის მიერ წამოყენებული წინადადებების შესაბამისად კოლხეთის სახალხო კრების ეს მოთხოვნა იმპერატორმა იუსტინიანემ დაუყოვნებლივ შეასრულა, ბიზანტიის სახელმწიფო დარბაზის ყველაზე გავლენიანი წევრი ათანასი სასამართლო მოხელეებითურთ გაგზავნა კოლხეთში გუბაზის მკვლელობის საქმის გამოსაძიებლად და დაავალა დამნაშავენი გაესამართლებინა რომაული კანონების მიხედვით. ათანასი სწრაფად შეუდგა საქმეს. ჩავიდა ლაზეთში (კოლხეთში), აქ, ქალაქ აფსარუნტის ცნობილ საპატიმროში, სანამ დაწყებული გამოძიება დამთავრდებოდა, ჩასვა ბორკილებგაყრილი ბერძენი რუსტიკე და იოანე, როგორც გუბაზ მეფის მკვლელობის მთავარი დამნაშავენი. გუბაზის უმცროსი ძმა წათე გამოგზავნა ბიზანტიიდან სტრატეგოს სოტრიქესთან ერთად, როგორც კოლხთა ახალი მეფე, რომელსაც იუსტინიანესაგან უკვე მიეღო „როგორც ეს ძველთაგანვე დაწესებული იყო, მამა-პაპის სახელი და საამისო (სამეფო) ნიშნები“.

სამეფო ტანსაცმელში გამოწყობილი კოლხეთის ახალი მეფე წათე დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს თავის ქვეყანაში როგორც კოლხებმა, ასევე ხელშეკრულების თანახმად აქ დაბანაკებულმა რომაელთა არმიამ. აგათია სქოლასტიკოსმა შემოგვინახა ბევრი საინტერესო ცნობა სამეფო ნიშნების, ახალი მეფის სამეფო ტახტზე აყვანის საზეიმო ცერემონიის, სამეფო დინასტიის შენარჩუნებით კოლხთა განსაკუთრებული დაინტერესებით და სხვათა შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აგათია სქოლასტიკოსის საყურადღებო ცნობა იმ პოლიტიკური პრინციპების შესახებ, რომელთა მიხედვით ახორციელებდა მეფე სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას ქვეშევრდომებზე. მეფის მოვალეობას შეადგენდა ქვეშევრდომთა მოვლა-პატრონობა, სახელმწიფო საქმეების მოწესრიგება და ა. შ. თავისი პირადი მოსაზრებისა და მამა-პაპური სამართლის მიხედვით: „წათე ჩაუდგა სამეფოს სათავეში, შეუდგა ამიერიდან საქმეების მოწესრიგებას და უვლიდა თვისტომთ, როგორც მას სურდა და როგორც მას მამა-პაპური წესი უკარნახებდა“.

საქმის ამგვარი დამთავრებით ყველანი გახარებული და კმაყოფილი იყვნენ, მაგრამ მთავარი მაინც წინ იყო. გუბაზის მკვლელობა სასამართლო გადაიდო, რადგან ამ დროს რომაელებსა და ქართველებს ომი მოუხდათ საერთო მტერთან. მაგრამ როგორც კი ომი გამარჯვებით დამთავრდა და იარაღის ქლარუნნი შეწყდა, ბიზანტიის დიდმოხელემ ათანასიმ განაახლა საქმიანობა, დაიწყო გუბაზ მეფის მკვლელობა სასამართლო პროცესი, რომელშიც თავი გამოიჩინეს ანონიმმა კოლხმა სწავლულმა იურისტებმა, როგორც ბრალმდებლებმა. სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია ცნობებს იმის შესახებ, თუ ვინაა ეს სწავლული იურისტები, ვიცით მხოლოდ ის, რომ ისინი იყვნენ „დარბაისელი კოლხები, რომელთაც უკვე კარგა ხანია შეესწავლათ ელინთა ენა“, რომ მათ იკისრეს რთული საქმე, რათა გამოსულიყვნენ ბრალმდებლებად გუბაზ მეფის მკვლელობა სასამართლო პროცესზე და ცხადყვეს მაღალი იურიდიული განათლება, კოლხეთის სამართლისა და მამა-პაპურ წესებთან ერთად რომის სამართლის ცოდნა. რომლის მიხედვითაც ასამართლებდა ათანასი გუ-

ბაზ მეფის მკვლელებს, მრავალი საკითხი, კერძოდ, რამდენი იყვნენ კოლხი ბრალმდებლები, რა თანამდებობები ეკავათ მათ კოლხეთის სახელმწიფოში და ა. შ. ჩვენ არ ვიცით.

როცა ამ „დარბაისელ კოლხ“ ბრალმდებლებზე ვლაპარაკობთ, ექვს არ იწვევს, რომ ისინი არიან სწავლული იურისტები, რომლებიც აღზრდილნი არიან მდიდარ ტრადიციებზე კოლხეთის აკადემიისა, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ რიტორიკას (იურიდიულ მეცნიერებას) და რაც მთავარია, ზოგიერთი ავტორი (მათ შორის ამ სტრიქონების ავტორი) ერთი მხრივ, ზემოაღნიშნულ უცნობ კოლხ სწავლულ იურისტებს და მეორე მხრივ, აიეტსა და ფარტაძის იდენტურ ისტორიულ პირებად წარმოგვიდგენენ. მაგრამ დაკვირვებულ კვლევას მხოლოდ იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ აიეტი, ფარტაძი და გუბაზის სასამართლო პროცესზე ბრალმდებლებად გამოსული სწავლული იურისტები სხვადასხვა ქართველი მოაზროვნეები არიან. საქმე ისაა, რომ აგათია სქოლასტიკოსი ანონიმ ქართველ სწავლულ-იურისტებს უწოდებს „დარბაისელ კოლხებს, რომელთაც უკვე კარგა ხანია შესწავლილ აქვთ ელლინთა ენა“. ისინი გამოდიან სასამართლო პროცესზე როგორც ბრალმდებლები და როგორც სასამართლო პროცესის მონაწილენი, დაუფლებულნი არიან არა მარტო იურიდიულ მეცნიერებას, არამედ მათ კარგად ესმით სასამართლო პრაქტიკა. რაც შეეხება აიეტსა და ფარტაძის, აგათია სქოლასტიკოსი მათ ახასიათებს არა როგორც სასამართლო პროცესის, არამედ სახალხო კრების აქტიურ მონაწილეებს, რომლებიც პაექრობენ პოლიტიკის საკითხებზე, კერძოდ, კოლხეთის სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის თაობაზე. გარდა ამისა, აიეტი წარმოშობით იყო წარჩინებულთა წრიდან, იგი იყო „რომაელთა მოძულე და მუდამ სპარსელების მოხრე“ და რა თქმა უნდა, ამ პოლიტიკური ორიენტაციის მოღვაწეს ბრალმდებლის ფუნქციას არ დააკისრებდნენ იმ სასამართლო პროცესზე, სადაც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე იხილებოდა სწორედ რომაული კანონების მიხედვით. ფარტაძი კი სასამართლო პროცესის მონაწილე „დარბაისელი კოლხებისაგან“ განსხვავებულად აგათია სქოლასტიკოსის ნაშრომში დახასიათებულია, როგორც „კაცი კოლხთა შორის გავლენიანი, გონიერი და თავისი ქცევით მეტად მდაბიური“.

ამრიგად, აიეტი, ფარტაძი და ანონიმი კოლხი სწავლული იურისტები შუა საუკუნეების სხვადასხვა ქართველი მოაზროვნეები არიან, რომლებიც როგორც იმდროინდელი გამოჩენილი მსოფლიო მოღვაწეები თავიანთი ცოდნითა და მაღალი ინტელექტით აქტიურ მონაწილეობას ლებულობენ ბიზანტია-სპარსეთ-კოლხეთის სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქართველი ხალხი მადლიერებით მოიხსენიებს ყოველთვის ბერძენ ისტორიკოსს აგათია სქოლასტიკოსს, რადგან ჩვენამდე მოღწეული მისი ნაშრომებით ქართული კულტურის ისტორიას შემოუნახა ადრინდელი შუა საუკუნეების დიდი ქართველი მოაზროვნეების, აიეტის, ფარტაძის და ანონიმი სწავლული იურისტების, მეცნიერული მემკვიდრეობა, რაც საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

# კონვენცია ნაგებისა და მოპყროვისა და დასჯის სხვა სასტიკი არაადამიანური ან ღირსების შემლახველ სახეობათა წინააღმდეგ

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები,

რომლებიც ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში გამოცხადებული პრინციპების შესაბამისად ადამიანთა ოჯახის ყველა წევრის თანასწორი და ხელშეუვალი უფლებების ცნობა თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველია.

ცნობენ, რომ ეს უფლებები ემყარება ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელ ღირსებას,

ითვალისწინებენ სახელმწიფოთა ვალდებულებას წესდების, კერძოდ მისი 55-ე მუხლის, შესაბამისად ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას,

ითვალისწინებენ ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლს და მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლს, რომელთა თანახმად არავინ არ უნდა გახდეს წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან მისი ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის საგანი,

ითვალისწინებენ აგრეთვე გენერალური ასამბლეის მიერ 1975 წლის 9 დეკემბერს მიღებულ დეკლარაციას წამებისა და მოპყრობისა და დასჯის სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი სახეობებისაგან ყველა პირის დაცვის შესახებ,

ხელმძღვანელობენ სურვილით გაზარდონ მთელ მსოფლიოში წამებისა და მოპყრობისა და დასჯის სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველ სახეობათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

## ნაწილი I

### მუხლი 1

1. ამ კონვენციის მიზნებისათვის განსაზღვრება „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ მოქმედებას, რომლითაც რომელიმე პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ტყვეილს ან ტანჯვას, ფიზიკურს თუ ზნეობრივს, რათა მისგან ან მესამე პირისაგან მიიღონ ინფორმაცია ან აღიარება, დასაჯონ ეს პირი მის მიერ ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან ისეთი მოქმედებისათვის, რომლის ჩადენაშიც იგი

ეკვიტანილია, აგრეთვე დააშინონ ან აიძულონ იგი ან მესამე პირი, ან ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, როცა ასეთ ტკივილს ან ტანჯვას ამ პირს აყენებს სახელმწიფო თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი, ან მათი წაქეზებით, ან მათი წაყრუებით თუ გამოუთქმელი თანხმობით. ამ განსაზღვრებაში არ შედის ტკივილი ან ტანჯვა, რომელიც ჩნდება მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად, განუყოფელია ამ სანქციებისაგან ან თუ ის სანქციები შემთხვევით იწვევს მათ.

2. ეს მუხლი ზიანს არ აყენებს რომელიმე საერთაშორისო ხელშეკრულებას ან რომელიმე ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც შეიცავს ან შეიძლება შეიცავდეს დებულებას უფრო ფართო გამოყენების შესახებ.

## მუხლი 2

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო ახორციელებს ეფექტიან საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სასამართლო და სხვა ღონისძიებებს მის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე წამების აქტების თავიდან აცილებისათვის.

2. არავითარი საგანგებო გარემოება, როგორც არ უნდა იყოს იგი, იქნება ეს საომარი მდგომარეობა თუ ომის საფრთხე, არასტაბილური შინაპოლიტიკური ვითარება თუ ნებისმიერი სხვა საგანგებო სიტუაცია, არ ამართლებს წამებას.

3. ზემდგომი უფროსის ან სახელმწიფო ხელისუფლების ბრძანება არ ამართლებს წამებას.

## მუხლი 3

1. არც ერთმა მონაწილე სახელმწიფომ არ უნდა გაუგზავნოს, დაუბრუნოს („refouter“) ან გადასცეს რომელიმე პირი მეორე სახელმწიფოს, თუ არის სერიოზული საფუძველი ვარაუდისა, რომ იქ მას შეიძლება წამების გამოყენება ემუქრებოდეს.

2. ასეთი საფუძვლის არსებობის განსაზღვრისათვის კომპეტენტური ხელისუფალნი ითვალისწინებენ საქმესთან დაკავშირებულ ყველა გარემოებას, მათ შორის შესაბამის შემთხვევაში იმას, რომ ამ სახელმწიფოში დამკვიდრებულია ადამიანის უფლებების უხეში, აღმაშფოთებელი და მასობრივი დარღვევების მუდმივი პრაქტიკა.

## მუხლი 4

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ წამების ყველა აქტი განიხილებოდეს მისი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის შესაბამისად. იგივე ეხება ადამიანის წამების მცდელობას და ნებისმიერი პირის მოქმედებას, რომელიც წამებაში თანამონაწილეობად ან მონაწილეობად მიიჩნევა.

2. ყოველი მონაწილე სახელმწიფო აწესებს შესაბამის სასჯელს ასეთი დანაშაულებებისათვის მათი მძიმე ხასიათის გათვალისწინებით.

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს მე-4 მუხლში ნახსენებ დანაშაულობათა მიმართ მისი იურისდიქციის დასამყარებლად შემდეგ შემთხვევებში:

a) როცა დანაშაული ჩადენილია მის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე, ამ სახელმწიფოში რეგისტრირებულ საზღვაო თუ საპაერო ხომალდზე;

b) როცა სავარაუდო დამნაშავე ამ სახელმწიფოს მოქალაქეა;

c) როცა მსხვერპლი ამ სახელმწიფოს მოქალაქეა ან ამ სახელმწიფოს ეს მიზანშეწონილად მიაჩნია.

2. ყოველი მონაწილე სახელმწიფო ანალოგიურად ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს ასეთ დანაშაულობათა მიმართ თავისი იურისდიქციის დასამყარებლად იმ შემთხვევებში, როცა სავარაუდო დამნაშავე იმყოფება მის იურისდიქციის დაქვემდებარებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე და იგი არ გადასცემს მას მე-8 მუხლის შესაბამისად ამ მუხლის 1-ლ პუნქტში ხსენებულ ნებისმიერ სახელმწიფოს.

3. ეს კონვენცია არ გამორიცხავს ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის განხორციელებას შინაგანი კანონმდებლობის შესაბამისად.

#### მუხლი 6

1. ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფო, რომელიც მის განკარგულებაში მყოფი ინფორმაციის განხილვის შემდეგ დარწმუნდება, რომ გარემოებები ამას მოითხოვს, აპატიმრებს მის ტერიტორიაზე მყოფ პირს, რომელსაც ბრალად ედება მე-4 მუხლში აღნიშნული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენა, ან ახორციელებს ამ პირის ყოფნის უზრუნველყოფელ სხვა იურიდიულ ღონისძიებებს. დაპატიმრება და სხვა ასეთი იურიდიული ღონისძიებანი ხორციელდება ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ იმდენ ხანს, რა დროსაც დასჭირდება სისხლისსამართლებრივ პროცესუალური მოქმედების ან გადაცემის მოქმედების განხორციელებას.

2. ასეთი სახელმწიფო დაუყოვნებლივ აწარმოებს ფაქტების წინასწარ გამოძიებას.

3. ნებისმიერ პირს, რომელიც პატიმრობაში იმყოფება ამ მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, ხელს უწყობენ, რათა დაუყოვნებლივ დაამყაროს კონტაქტი იმ სახელმწიფოს უახლოეს შესაბამის წარმომადგენლობასთან, რომლის მოქალაქეც იგი არის, ან, თუ მოქალაქეობის არმქონეა, იმ სახელმწიფოს წარმომადგენელთან, სადაც იგი ჩვეულებრივ ცხოვრობს.

4. როცა სახელმწიფო ამ მუხლის შესაბამისად აპატიმრებს რომელიმე პირს, იგი დაუყოვნებლივ აცნობებს მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტში ხსენებულ სახელმწიფოებს ასეთი პირის პატიმრობაში ყოფნისა და იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მისი დაპატიმრების საფუძველი გახდა. სახელმწიფო, რომელიც აწარმოებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ წინასწარ გამოძიებას, დაუყოვნებლივ აცნობებს მის მიერ მიღებულ მონაცემებს ზემოაღნიშნულ სახელმწიფოებს და მიუთითებს, აპირებს თუ არა თავის იურისდიქციის განხორციელებას.

მუხლი 7

1. მონაწილე სახელმწიფო, რომლის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე აღმოჩენილია მე-4 მუხლში აღნიშნული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი, მე-5 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში. თუ კი იგი არ გადასცემს დამნაშავეს სხვა სახელმწიფოს, ამ საქმეს გადასცემს კომპეტენტურ ხელისუფლებს სასამართლო დევნისათვის.

2. ეს ხელისუფალნი გადაწყვეტილებას იღებენ ისევე, როგორც ნებისმიერი ჩვეულებრივი სერიოზული დანაშაულის შემთხვევაში ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ შემთხვევებში მოთხოვნები, რომლებსაც უყენებენ სასამართლო დევნისა და მსჯავრდებისათვის აუცილებელ მტკიცებულებებს, არავითარ შემთხვევაში არ არის იმაზე ნაკლებად მკაცრი, ვიდრე მოთხოვნები, რომლებსაც იყენებენ მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტში აღნიშნულ შემთხვევებში.

3. ნებისმიერი პირისათვის, რომლის მიმართაც მიმდინარეობს გარჩევა მე-4 მუხლში აღნიშნულ ნებისმიერ დანაშაულთან დაკავშირებით, გარანტირებულია სამართლიანი მოპყრობა გარჩევის ყველა სტადიაზე.

მუხლი 8

1. მე-4 მუხლში აღნიშნული დანაშაულობანი მიიჩნევა ისეთებად, რომლებიც შეტანილ უნდა იქნენ მონაწილე სახელმწიფოებს შორის არსებულ ნებისმიერ ხელშეკრულებაში გადაცემის შესახებ, როგორც დანაშაულობანი, რომლებსაც მოჰყვება გადაცემა. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ შეიტანონ ასეთი დანაშაულობანი მათ შორის დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებაში გადაცემის შესახებ, როგორც დანაშაულობანი, რომლებსაც გადაცემა მოჰყვება.

2. თუ მონაწილე სახელმწიფო, რომელიც გადაცემის პირობად მიიჩნევს ხელშეკრულების არსებობას, იღებს თხოვნას გადაცემის შესახებ მეორე მონაწილე სახელმწიფოსაგან, რომლებთანაც მას არა აქვს დადებული ხელშეკრულება გადაცემის შესახებ, ეს კონვენცია მას შეუძლია მიიჩნიოს ასეთ დანაშაულობათა მიმართ გადაცემის სამართლებრივ საფუძვლად. გადაცემა ხორციელდება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობების შესაბამისად, რომელსაც მიმართეს თხოვნით გადაცემის შესახებ.

3. მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც არ მიიჩნევენ გადაცემის პირობად ხელშეკრულების არსებობას, ერთმანეთთან ურთიერთობაში ამ დანაშაულობებს თვლიან ისეთებად, რომლებსაც მოჰყვება გადაცემა, იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, რომელსაც მიმართეს თხოვნით გადაცემის შესახებ.

4. ასეთი დანაშაულობანი გადაცემის მიზნებისათვის მონაწილე სახელმწიფოებს შორის მიიჩნევიან დანაშაულობებად, რომლებიც ჩადენილია არა მარტო მათი ჩადენის ადგილზე, არამედ იმ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, რომლებიც ვალდებული არიან დაამყარონ თავიანთი იურისდიქცია მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები ერთმანეთს უწევენ რაც შეიძლება უფრო სრულყოფილ დახმარებას მე-4 მუხლში ჩამოთვლილი ნებისმიერი დანაშაულის

მიმართ განხორციელებულ სისხლის სამართლის საპროცესო მოქმედებასთან დაკავშირებით, სასამართლო გარჩევისათვის საჭირო იმ მტკიცებულებათა მიწოდების ჩათვლით, რომელიც მათ ხელთა აქვთ.

2. მონაწილე სახელმწიფოები ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს ამ მუხლის 1-ი პუნქტის თანახმად სამართლებრივი ურთიერთდამარების შესახებ იმ ნებისმიერი ხელშეკრულებების შესაბამისად, რომლებიც შეიძლება დაიდოს მათ შორის.

#### მუხლი 10

1. თითოეული მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ სასწავლო მასალები და ინფორმაცია წამების აკრძალვის შესახებ სრულად იქნეს შეტანილი სამართალგამოყენებითი ორგანოების პერსონალის, სამოქალაქო თუ სამხედრო, სამედიცინო პერსონალის, სახელმწიფო თანამდებობის პირთა და სხვა იმ პირთა მომზადების პროგრამებში, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყვნენ ნებისმიერი ფორმით დაპატიმრებული, დაკავებული ან საპრობილეში მყოფი პირების პატიმრობაში ყოლასთან თუ დაკითხვასთან, ან მათდამი მოპყრობასთან.

2. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეაქვს ეს აკრძალვა ნებისმიერი ასეთი პირების მოვალეობებთან და ფუნქციებთან დაკავშირებულ წესებსა თუ ინსტრუქციებში.

#### მუხლი 11

ყოველი მონაწილე სახელმწიფო სისტემატურად იხილავს იმ პირთა დაკითხვასთან დაკავშირებულ წესებს, ინსტრუქციებს, მეთოდებს და პრაქტიკას, აგრეთვე პატიმრობაში ყოლისა და მოპყრობის პირობებს, რომლებიც ნებისმიერი ფორმით არიან დაპატიმრებული, დაკავებული ან იმყოფებიან საპრობილეში მის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე, რათა არ დაუშვას წამების რაიმე შემთხვევა.

#### მუხლი 12

ყოველი მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რათა მისი კომპეტენტური ორგანოები აწყობდნენ სწრაფ და მიუკერძოებელ გამოძიებას, როცა არის საკმარისი საფუძველი ვარაუდისა, რომ წამებას მიმართეს მის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე.

#### მუხლი 13

ყოველი მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს ნებისმიერი პირისათვის, რომელიც ამტკიცებს, რომ იგი აწამეს ამ სახელმწიფოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე, უფლებას საჩივრით მიმართოს ამ სახელმწიფოს კომპეტენტურ ხელისუფალთ და მათ მიერ ასეთი საჩივრის სწრაფ და მიუკერძოებელ განხილვას. ხორციელდება ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსარჩელისა და მოწმეების დაცვა ნებისმიერი

ფორმის ცუდი მოპყრობის ან დაშინებისაგან მის საჩივართან ან ნებისმიერ მოწმის ჩვენებებთან დაკავშირებით.

#### მუხლი 14

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს თავის სამართლებრივ სისტემაში, რომ წამების მსხვერპლნი იღებდეს ანაზღაურებას და ჰქონდეს სამართლებრივი სანქციით დამკვიდრებული უფლება მიიღოს სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაცია, მათ შორის სახსრები რაც შეიძლება უფრო სრული რეაბილიტაციისათვის. წამების შემდეგ მსხვერპლის გარდაცვალების შემთხვევაში კომპენსაციის უფლება ენიჭებათ მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.

2. ამ მუხლში არაფერი არ ეხება მსხვერპლისა თუ სხვა პირების ნებისმიერ კომპენსაციის უფლებას, რომელიც შეიძლება არსებობდეს ეროვნული კანონმდებლობის თანახმად.

#### მუხლი 15

ყოველი მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი განცხადება, რომელიც, როგორც დადგინდა, პირმა გააკეთა წამების დროს, არ გამოიყენებოდეს როგორც მტკიცებულება ნებისმიერი სასამართლო გარჩევის დროს, იმ შემთხვევების გარდა, როცა იგი გამოიყენება იმ პირის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად ედება ადამიანის წამება, როგორც მტკიცებულება იმისა, რომ ასეთი განცხადება გაკეთებული იყო.

#### მუხლი 16

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას მის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე აღმოფხვრას მოპყრობისა და დასჯის სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი სხვა აქტები, რომლებიც არ შედის 1-ლ მუხლში ჩამოყალიბებულ წამების განსაზღვრებაში, როცა ასეთ აქტებს ახორციელებს სახელმწიფო თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი, ან მათი წაქეზებით, ან მათი წაყრუებით თუ უსიტყვო თანხმობით. კერძოდ მე-10, მე-11, მე-12 და მე-13 მუხლებში ჩამოთვლილი ვალდებულებები გამოიყენება, ოღონდ წამების ნაცვლად იგულისხმება მოპყრობისა და დასჯის სხვა სასტიკი არაადამიანური ან ღირსების შემლახველი სხვა ფორმები.

2. ამ კონვენციის დებულებანი ზიანს არ აყენებს ნებისმიერი სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების ან ეროვნული კანონმდებლობის დებულებებს, რომლებიც კრძალავენ სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობასა და დასჯას ან ეხება გადაცემას თუ გაძევებას.

#### ნაწილი II

#### მუხლი 17

1. იქმნება კომიტეტი წამების წინააღმდეგ (შემდგომში კომიტეტად წოდებული), რომელიც ახორციელებს ქვემოთ ჩამოთვლილ ფუნქციებს, კომიტე-

ტი შედეგება მაღალი მორალური თვისებების მქონე და ადამიანის უფლებების სფეროში აღიარებული კომპეტენტური ათი ექსპერტისაგან, რომლებიც ამ კომიტეტში მხოლოდ თავიანთ თავს წარმოადგენენ, ექსპერტებს ირჩევენ მონაწილე სახელმწიფოები, ამასთან ყურადღება ეთმობა სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებას და იურიდიული გამოცდილების მქონე რამდენიმე პირის მონაწილეობის მიზანშეწონილობას.

2. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ფარული კენჭისყრით მონაწილე სახელმწიფოთა მიერ დასახელებულ პირთა ნუსხიდან. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია თავის მოქალაქეთაგან დაასახელოს ერთი კანდიდატურა. მონაწილე სახელმწიფოები ითვალისწინებენ იმ პირთა დასახელების მიზანშეწონილობას, რომლებიც არიან აგრეთვე მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შესაბამისად დაარსებული ადამიანის უფლებების კომიტეტის წევრები და გამოთქვამენ სურვილს იმუშაონ კომიტეტში წამების წინააღმდეგ.

3. კომიტეტის წევრთა არჩევნები ეწყობა მონაწილე სახელმწიფოების თათბირებზე, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იწვევს ორ წელიწადში ერთხელ. ამ თათბირებზე, რომელთა კვორტში მონაწილე სახელმწიფოთა ორ მესამედს შეადგენს, კომიტეტში არჩეულად მიიჩნევიან კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე წარმომადგენლების ხმების უმრავლესობა ან აბსოლუტური რაოდენობა.

4. თავდაპირველი არჩევნები ეწყობა არა უგვიანეს ექვსი თვისა ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან. მორიგი არჩევნების თარიღამდე სულ ცოტა ოთხი თვით ადრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უგზავნის მონაწილე სახელმწიფოებს წერილს წინადადებით სამი თვის ვადაში წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატურები. გენერალური მდივანი ამზადებს ნუსხას, რომელშიც ანბანის მიხედვით შეაქვს ყველა ამგვარად დასახელებული პირი იმ მონაწილე სახელმწიფოთა აღნიშვნით, რომლებმაც ისინი დაასახელეს და წარუდგენენ ამ ნუსხის მონაწილე სახელმწიფოებს.

5. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ოთხი წლის ვადით, მათ უფლება აქვთ ხელახლა იყვნენ არჩეული, თუკი მათ ხელმეორედ დაასახელებენ. მაგრამ პირველ არჩევნებზე არჩეული ხუთი წევრის უფლებამოსილების ვადა ორ წელიწადში იწურება; პირველი არჩევნების დამთავრებისთანავე ამ ხუთი წევრის სახელს კენჭისყრით განსაზღვრავს ამ მუხლის მე-3 პუნქტში ნახსენები თათბირის თავმჯდომარე.

6. თუ კომიტეტის წევრი გარდაიცვალა ან გადადგა ან რაიმე სხვა მიზეზით აღარ შეუძლია კომიტეტში თავისი ფუნქციების შესრულება, მონაწილე სახელმწიფო, რომელმაც მისი კანდიდატურა დაასახელა, მეტ წილ მონაწილე სახელმწიფოთა მოწონებით დარჩენილი ვადისათვის დანიშნავს სხვა ექსპერტს თავის მოქალაქეთაგან. კანდიდატურა მოწონებულად მიიჩნევა თუ მონაწილე სახელმწიფოთა ნახევარი ან ნახევარზე მეტი არ უარყოფს მას ექვსი კვირის მანძილზე მას შემდეგ, რაც მიიღებს ინფორმაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისაგან წამოყენებული კანდიდატურის შესახებ.

7. მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ კომიტეტის წევრთა ხარჯების ანაზღაურებას მათ მიერ კომიტეტში მოვალეობათა შესრულების დროს.

მუხლი 18

1. კომიტეტი თავის თანამდებობის პირებს ირჩევს ორი წლის ვადით. ისინი შეიძლება გადარჩეული იყვნენ.

2. კომიტეტი ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს, მაგრამ ამ წესებში, კერძოდ, გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი:

a) ექვსი წევრი შეადგენს კვორუმს;

b) კომიტეტის გადაწყვეტილებანი მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უზრუნველყოფს საჭირო პერსონალს და პირობებს კომიტეტის ფუნქციების ეფექტიანი განხორციელებისათვის ამ კონვენციის შესაბამისად.

4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იწვევს კომიტეტის პირველ თავბირს. თავისი პირველი თავბირის შემდეგ კომიტეტი იკრიბება დროის ისეთი შუალედების შემდეგ, რომლებსაც ითვალისწინებს მისი პროცედურის წესები.

5. მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ იმ ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია მონაწილე სახელმწიფოებისა და კომიტეტის თავბირების მოწყობასთან, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის ნებისმიერი ხარჯების განაღდებას, როგორც არის იმ პერსონალისა და პირობების ანაზღაურება, რომლებსაც უზრუნველყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 19

1. მონაწილე სახელმწიფოები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეშვეობით წარუდგენენ კომიტეტს მოხსენებებს იმის შესახებ, თუ რა ღონისძიება განახორციელეს, რათა შეესრულებინათ თავიანთი ვალდებულებანი ამ კონვენციის თანახმად შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოსათვის კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში. შემდგომში მონაწილე სახელმწიფოები ოთხ წელიწადში ერთხელ წარუდგენენ კომიტეტს დამატებითს მოხსენებებს ნებისმიერი სხვა განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, აგრეთვე სხვა მოხსენებებს, რომლებიც შეიძლება გამოითხოვოს კომიტეტმა.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უგზავნის ამ მოხსენებებს ყველა მონაწილე სახელმწიფოს.

3. ყოველ მოხსენებას იხილავს კომიტეტი, რომელსაც შეუძლია მოხსენების გამო გამოთქვას ისეთი ზოგადი ხასიათის შენიშვნები, რომლებსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს, და უგზავნის მათ შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს. ამ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია კომიტეტს პასუხად წარუდგინოს ნებისმიერი შენიშვნები, რომლებიც მას საჭიროდ მიაჩნია.

4. კომიტეტს სურვილისამებრ შეუძლია გადაწყვიტოს შეიტანოს მის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გამოთქმული შენიშვნები და მათ გამო შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოსაგან მიღებული შენიშვნები თავის წლიურ მოხსენებაში, რომელსაც ამზადებს 24-ე მუხლის შესაბამისად. შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოს თხოვნით კომიტეტს შეუძლია აგრეთვე შე-

იტანოს ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი მოხსენების ეგზემპლარი.

### მუხლი 20

1. თუ კომიტეტი იღებს უტყუარ ინფორმაციას, რომელიც, მისი აზრით, იცავს სავსებით დასაბუთებულ მონაცემებს რომელიმე მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე წამების სისტემატური გამოყენების შესახებ, იგი წინადადებას აძლევს ამ მონაწილე სახელმწიფოს ითანამშრომლოს მასთან ამ ინფორმაციის განხილვაში, რისთვისაც უნდა წარმოუდგინოს თავისი შენიშვნები ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

2. იმ ნებისმიერი შენიშვნების გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლება წარმოადგინოს შესაბამისმა მონაწილე სახელმწიფომ, აგრეთვე საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელიც მას ხელთა აქვს, კომიტეტს შეუძლია, თუ ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს, დანიშნოს ერთი ან რამდენიმე თავისი წევრი კონფიდენციალური გამოძიებისათვის, რათა სასწრაფოდ წარუდგინოს კომიტეტს შესაბამისი მოხსენება.

3. თუ გამოძიება ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიმდინარეობს, კომიტეტი იღვწის ითანამშრომლოს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოსთან. ამ მონაწილე სახელმწიფოს თანხმობით გამოძიება შეიძლება შეიცავდეს მის ტერიტორიაზე ჩასვლას.

4. ამ წევრის ან წევრების მიერ განხორციელებული გამოძიების ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შედეგების განხილვის შემდეგ კომიტეტი უგზავნის შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს შედეგებს და ნებისმიერ შენიშვნებს თუ წინადადებებს, რომლებიც მიზანშეწონილად ესახება ასეთ სიტუაციაში.

5. კომიტეტის მთელი ამ მუხლის 1-4 პუნქტებში აღნიშნული მუშაობა კონფიდენციალური ხასიათისაა და ამ მუშაობის ყველა ეტაპზე უნდა ესწრაფვოდეს თანამშრომლობას მონაწილე სახელმწიფოსთან. მე-2 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული გამოძიების მიმართ ასეთი მუშაობის დამთავრების შემდეგ კომიტეტს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოსთან კონსულტაციის მერე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება შეიტანოს მოკლე ანგარიში ამ მუშაობის შედეგების შესახებ თავის ყოველწლიურ მოხსენებაში, რომელსაც ამზადებს 24-ე მუხლის თანახმად.

### მუხლი 21

1. ამ მუხლის შესაბამისად კონვენციის ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ნებისმიერ დროს განაცხადოს, რომ ცნობს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს შეტყობინება, რომელიც ეხება ერთ-ერთ მონაწილე სახელმწიფოს განცხადებებს იმის შესახებ, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს თავის ვალდებულებას ამ კონვენციის თანახმად. ასეთი შეტყობინებები კომიტეტმა შეიძლება მიიღოს და განიხილოს ამ მუხლში ჩამოყალიბებული პროცედურების შესაბამისად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგინა მონაწილე სახელმწიფომ, რომელმაც გააკეთა განცხადება თავის მიმართ კომიტეტის კომპეტენციის ცნობის შესახებ. კომიტეტი არ

იხილავს შეტყობინებებს ამ მუხლის გამო, თუ ისინი ეხება მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც არ გაუკეთებია ასეთი განცხადება. ამ მუხლის შესაბამისად მიღებული შეტყობინებები განიხილება შემდეგი პროცედურის შესაბამისად:

a) თუ რომელიმე მონაწილე სახელმწიფოს მიაჩნია, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს ამ კონვენციის დებულებებს, მას შეუძლია წერილობით შეტყობინებით აცნობოს ეს საკითხი ამ მონაწილე სახელმწიფოს. ამ შეტყობინების მიღების შემდეგ სამი თვის განმავლობაში მისი მიმღები სახელმწიფო წარუდგენს შეტყობინების გამგზავნ სახელმწიფოს წერილობითი ფორმით ახსნა-განმარტებას ან ნებისმიერ სხვა განცხადებას, სადაც განმარტავს ამ საკითხს, რომლებშიც მითითებული უნდა იყოს რამდენადაც ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, შინაგანი პროცედურები და ღონისძიებანი, რომლებიც განხორციელდა, განხორციელდება ან შეიძლება განხორციელდეს ამ საკითხის გამო;

b) თუ საკითხი ორივე შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოსათვის დამაკმაყოფილებლად არ გადაწყდა მიმღები სახელმწიფოს მიერ თავდაპირველი შეტყობინების მიღების თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში, ნებისმიერ მათგანს უფლება აქვს გადასცეს ეს საკითხი კომიტეტს, რისთვისაც შეატყობინებს ამის შესახებ კომიტეტს და მეორე სახელმწიფოს.

c) კომიტეტი იხილავს ამ მუხლის თანახმად მისთვის გადაცემულ საკითხს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ყველა ხელმისაწვდომი შინაგანი ღონისძიებანი განხორციელდა და ამოიწურა ამ შემთხვევაში საერთაშორისო სამართლის საზოგადოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად. ეს წესი არ მოქმედებს, როცა ამ ღონისძიებათა გამოყენება გაუმართლებლად ჰიანურდება ან ვერ გაუწევს ეფექტიან დახმარებას პირს, რომელიც ამ კონვენციის დარღვევის მსხვერპლი გახდა;

d) ამ მუხლის შესაბამისად შეტყობინებათა განხილვისას კომიტეტი აწყობს დახურულ სხდომებს;

e) e ქვეპუნქტის დებულებათა დაცვით კომიტეტი კეთილ დახმარებას უწევს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებს ამ კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებათა პატივისცემისა და მეგობრობის საფუძველზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. ამისათვის კომიტეტს შეუძლია დააარსოს სპეციალური შემთანხმებელი კომისია.

f) ამ მუხლის შესაბამისად მისთვის გადაცემული ნებისმიერი საკითხის გამო კომიტეტს შეუძლია მოუწოდოს b ქვეპუნქტში ხსენებული შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებს წარმოუდგინონ ნებისმიერ საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია;

g) b ქვეპუნქტში ხსენებულ შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებს უფლება აქვთ წარმოდგენილი იყვნენ კომიტეტში საკითხის განხილვის დროს და წარდგინება გააკეთოს სიტყვიერად (ან) წერილობით;

h) b ქვეპუნქტის შესაბამისად შეტყობინების მიღების დღიდან თორმეტი თვის მანძილზე კომიტეტი წარმოადგენს ინფორმაციას:

i) თუ მიიღწევა გადაწყვეტილება e ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში მაშინ კომიტეტი თავის ინფორმაციაში შემოიფარგლება ფაქტებისა და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე ჩამოყალიბებით;

ii) თუ გადაწყვეტილება e ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში ვერ მი-

იღწევა. კომიტეტი თავის ინფორმაციაში შემოიჯარგლება ფაქტების მოკლე ჩამოყალიბებით; შესაბამის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილი წერილობითი წარდგინება და მათი სიტყვიერი განცხადებების ჩანაწერი თან ერთვის ინფორმაციას.

ინფორმაცია თითოეული საკითხის გამო ეგზავნება შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებს.

2. ამ მუხლის დებულებანი ძალაში შედის, როცა ამ კონვენციის მონაწილე ხუთი სახელმწიფო გააკეთებს განცხადებას ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად. ასეთ განცხადებებს მონაწილე სახელმწიფოები შესაძლავდ აბარებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც მათს ეგზემპლარებს გადაუგზავნის დანარჩენ მონაწილე სახელმწიფოებს. განცხადების გამოხმობა შეიძლება ნებისმიერ დროს, რისთვისაც გენერალურ მდივანს უნდა გაეგზავნოს შეტყობინება. განცხადების ასეთი გამოხმობა ზიანს არ უნდა აყენებდეს იმ ინფორმაციაში აღნიშნული ნებისმიერი საკითხის განხილვას, რომელიც უკვე გადაცემულია ამ მუხლის შესაბამისად; ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს არავითარი შემდგომი ინფორმაციები არ მიიღება ამ მუხლის თანახმად მას შემდეგ, რაც გენერალური მდივანი მიიღებს შეტყობინებას განცხადების გამოხმობის შესახებ, თუ შესაბამისმა მონაწილე სახელმწიფომ ახალი განცხადება არ გააკეთა.

## მუხლი 22

1. ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია ნებისმიერ დროს განაცხადოს ამ მუხლის შესაბამისად, რომ იგი ცნობს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს ამ სახელმწიფოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ იმ პირთა ინფორმაცია, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არიან მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციის დებულებათა დარღვევის მსხვერპლი, ან ამგვარი ინფორმაცია, გაგზავნილი ამ პირთა სახელით. კომიტეტი არ იღებს არავითარ ინფორმაციას, თუ იგი ეხება მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც ასეთი განცხადება არ გაუკეთებია.

2. კომიტეტს მიუღებლად მიაჩნია ნებისმიერი ინფორმაცია ამ მუხლის შესაბამისად, რომელიც ანონიმურია ან, მისი აზრით, ამ ინფორმაციის ავტორი ბოროტად იყენებს ასეთი ინფორმაციის წარდგენის უფლებას, ან ეს ინფორმაცია შეუთავსებელია ამ კონვენციის დებულებებთან.

3. მე-2 პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით კომიტეტი ამ მუხლის შესაბამისად მისთვის წარდგენილ ნებისმიერ ინფორმაციას აცნობს ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც 1-ლი პუნქტის თანახმად გააკეთა განცხადება და თითქოს არღვევდეს კონვენციის ამა თუ იმ დებულებებს. ინფორმაციის მიმღები სახელმწიფო ექვსი თვის განმავლობაში წარუდგენს კომიტეტს წერილობითს ახსნა-განმარტებას ან განცხადებებს, სადაც აზუსტებს საკითხებსა და ნებისმიერ ღონისძიებებს, რომლებიც შეეძლო განეხორციელებინა ამ სახელმწიფოს.

4. კომიტეტი იხილავს ამ მუხლის შესაბამისად მიღებულ ინფორმაციას ამ პირის მიერ ან მისი სახელით და შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოს მიერ კომიტეტისათვის წარმოდგენილი მთელი ინფორმაციის გათვალისწინებით.

5. კომიტეტი არ იხილავს არავითარ ინფორმაციას რომელიმე პირისაგან ამ მუხლის შესაბამისად, თუ არ დარწმუნდა, რომ:

a) იგივე საკითხი არ განხილულა და არ განიხილება საერთაშორისო გამოძიების ან მოწესრიგების რომელიმე სხვა პროცედურის მიხედვით;

b) ამ პირმა ამოწურა სამართლებრივი დაცვის ყველა არსებული შინაგანი ღონისძიებანი; ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევებში, როცა ასეთი ღონისძიებების გამოყენება გაუმართლებლად ჭიანჭურდება ან ვერ გაუწევს ეფექტიან დახმარებას პირს, რომელიც ამ კონვენციის დარღვევის მსხვერპლი გახდა.

6. ამ მუხლის თანახმად მიღებული ინფორმაციების განხილვისას კომიტეტი აწყობს დახურულ სხდომებს.

7. კომიტეტი თავის აზრს წარუდგენს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს და ამ პირს.

8. ამ მუხლის დებულებანი ძალაში შედის, როცა კონვენციის მონაწილე ხუთი სახელმწიფო გააკეთებს განცხადებას ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად. ასეთ განცხადებებს მონაწილე სახელმწიფოები შესანახად აბარებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც მათ ეგზემპლარებს უგზავნის სხვა მონაწილე სახელმწიფოებს. განცხადების გამომომბა შეიძლება ნებისმიერ დროს, რისთვისაც გენერალურ მდივანს უნდა გაეგზავნოს შეტყობინება. განცხადების ასეთი გამომომბა ზიანს არ უნდა აყენებდეს იმ ინფორმაციაში ჩამოყალიბებული ნებისმიერი საკითხის განხილვას, რომელიც უკვე გადაცემულია ამ მუხლის შესაბამისად; ნებისმიერი პირის მიერ ან მისი სახელით გამოგზავნილი არავითარი შემდგომი ინფორმაცია არ მიიღება ამ მუხლის შესაბამისად მას შემდეგ, რაც გენერალურმა მდივანმა მიიღო შეტყობინება განცხადების გამომომბის შესახებ, თუ შესაბამისმა მონაწილე სახელმწიფომ ახალი განცხადება არ გააკეთა.

### მუხლი 23

კომიტეტის და იმ სპეციალური შემთანხმებული კომისიების წევრებს, რომლებიც შეიძლება შეიქმნას 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ქვეპუნქტის თანახმად, უფლება აქვთ ისარგებლონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დავალებით მოქმედი ექსპერტების შედავათებით, პრივილეგიებითა და იმუნტეტით როგორც ამას ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრივილეგიებისა და იმუნტეტების შესახებ კონვენციის შესაბამისი განყოფილებები.

### მუხლი 24

კომიტეტი წარუდგენს მონაწილე სახელმწიფოებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას წლიურ მოხსენებას თავისი მუშაობის შესახებ ამ კონვენციის შესაბამისად.

### ნაწილი III

### მუხლი 25

1. ეს კონვენცია ხსნილია ყველა სახელმწიფოს მიერ ხელმოწერისათვის.
2. ეს კონვენცია სარატიფიკაცია. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

ეს კონვენცია ხსნილა ყველა სახელმწიფოს შეერთებისათვის. შეერთება ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარების გზით.

## მუხლი 27

1. ეს კონვენცია ძალაში შედის ოცდამეათე დღეს მას შემდეგ, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს შესანახად ჩაბარებენ მეოცე სარატიფიკაციო სიგელს ან დოკუმენტს შეერთების შესახებ.

2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც მოახდენს ამ კონვენციის რატიფიკაციას ან შეუერთდება მას მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარების შემდეგ, ეს კონვენცია ძალაში შევა ოცდამეათე დღეს იმ თარიღიდან, როცა იგი შესანახად ჩაბარებს თავის საკუთარ სარატიფიკაციო სიგელს ან დოკუმენტს შეერთების შესახებ.

## მუხლი 28

1. ნებისმიერ სახელმწიფოს ამ კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიკაციის, ან მასთან შეერთების დროს შეუძლია განაცხადოს, რომ იგი არ ცნობს კომიტეტის კომპეტენციას, რომელიც განსაზღვრულია მე-20 მუხლში.

2. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც შეიტანს დათქმას ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, შეუძლია ნებისმიერ დროს მოხსნას თავისი დათქმა და შეატყობინოს ამის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

## მუხლი 29

1. ამ კონვენციის მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია წამოაყენოს წინადადება შესწორების შესახებ და წარუდგინოს იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. ეს უკანასკნელი უგზავნის შემდეგ ამ შესწორებას მონაწილე სახელმწიფოებს თხოვნით შეატყობინოს, მომხრენი არიან თუ არა მოწვეულ იქნეს მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენცია ამ წინადადების განხილვის და კენჭისყრის მიზნით. თუ ასეთი წერილის გაგზავნის თარიღიდან ოთხი თვის განმავლობაში მონაწილე სახელმწიფოთა სულ ცოტა მესამედი განაცხადებს, რომ ასეთი კონფერენციის მომხრეა, გენერალური მდივანი იწვევს კონფერენციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. ამ კონფერენციის დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ მიღებულ ნებისმიერ შესწორებას გენერალური მდივანი დასამტკიცებლად წარუდგენს ყველა მონაწილე სახელმწიფოს.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად მიღებული შესწორება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედი შეატყობინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომ ეს სახელმწიფოები იღებენ ამ შესწორებას თავიანთი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად.

3. როცა შესწორებანი ძალაში შედის, ისინი სავალდებულო ხდება იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ისინი მიიღეს, ხოლო სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება ამ კონვენციის ის დებულებანი და ნებისმიერი წინანდელი შესწორებანი, რომლებიც მათ მიიღეს.

### მუხლი 30

1. ნებისმიერი დავა ორ ან რამდენიმე მონაწილე სახელმწიფოებს შორის ამ კონვენციის განმარტების თუ გამოყენების გამო, რომლებიც არ მოწესრიგდება მოლაპარაკების გზით. ერთ-ერთი მათგანის თხოვნით გადაეცემა საარბიტრაჟოდ. თუ არბიტრაჟის შესახებ თხოვნის გადაცემის თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში მხარეები ვერ შეთანხმდნენ არბიტრაჟის ორგანიზაციის საკითხზე, ნებისმიერი მხარის თხოვნით დავა შეიძლება გადაეცეს საერთაშორისო სასამართლოს სასამართლო სტატუსის შესაბამისად.

2. ყოველ სახელმწიფოს ამ კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიკაციის ან მასთან შეერთების დროს შეუძლია გააკეთოს განცხადება, რომ იგი თავს შებოჭილად არ მიიჩნევს ამ მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებებით. სხვა მონაწილე სახელმწიფოები შებოჭილი არ იქნებიან ამ მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებებით ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც შეიტანა ასეთი დათქმა.

3. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც დათქმა შეიტანა ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შეუძლია ნებისმიერ დროს მოხსნას თავისი დათქმა და შეატყობინოს ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

### მუხლი 31

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის წერილობითი შეტყობინების გზით. დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის ამოწურვის შემდეგ.

2. ასეთი დენონსაცია არ ათავისუფლებს მონაწილე სახელმწიფოს ამ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან ნებისმიერი მოქმედების თუ შეცდომისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღამდე, და დენონსაცია არავითარ შემთხვევაში არ აყენებს ზიანს ნებისმიერი იმ საკითხის მიმდინარე განხილვას, რომელიც უკვე განიხილა კომიტეტმა დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღამდე.

3. რომელიმე მონაწილე სახელმწიფოსათვის დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ კომიტეტი არ იწყებს ამ სახელმწიფოსთან დაკავშირებული ახალი საკითხების განხილვას.

### მუხლი 32

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი აწვდის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოს და ამ კონ-

ვენციის ხელისმომწერ ან მასთან შეერთებულ ყველა სახელმწიფოს შემტევ ცნობებს:

- a) 25-ე და 26-ე მუხლების შესაბამისად ხელმოწერის, რატიფიკაციისა და შეერთების შესახებ;
- b) 27-ე მუხლის შესაბამისად ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღისა და 29-ე მუხლის შესაბამისად ნებისმიერ შესწორებათა ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;
- c) 31-ე მუხლის შესაბამისად დენონსაციების შესახებ.

### მუხლი 33

1. ეს კონვენცია, რომლის ინგლისური, არაბული, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბრად აუტენტურია, შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ კონვენციის დამოწმებულ ეგზემპლარებს უგზავნის ყველა სახელმწიფოს.

\* \* \*

კონვენცია ხელმოწერილია სსრ კავშირის მთავრობის სახელით 1985 წლის 10 დეკემბერს და რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1987 წლის 21 იანვარს შემდეგი დათქმების გათვალისწინებით:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არ ცნობს წამების წინააღმდეგ კომიტეტის კომპეტენციას, რომელსაც განსაზღვრავს კონვენციის მე-20 მუხლი“;

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი თავს შებოჭილად არ მიიჩნევს კონვენციის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებებით“.

სსრ კავშირის სარატიფიკაციო სიგელი შესანახად ჩაბარდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს 1987 წლის 3 მარტს.

კონვენცია ძალაში შევიდა სსრ კავშირისათვის 1987 წლის 26 ივნისს.

## ბერია განსასჯელის სკამზე

მიტროფანე კუჭავას ფაქტით საზოგადოებრიობის წინაშე ბანსა-კუთრებაული წარდგანა არ სჭირდება. ჩვენი შურნალის მკითხველების ძრთვა ნაწილმა, ალბათ, ისიც იცის, რომ იგი ბერიას სასამართლო პროცესის ერთ-ერთი მონაწილეა. თუმცა, ეს პროცესი დიდი ხანია ისტორიის კუთვნილებაა, მატარებს მის შესახებ მითმა-მოთმა მნიშვნე-პარ ცხადება. ამ შემთხვევაში ჩვენ პროცესის წმინდა იურიდიული მხარე ბვინტაქმებს, რაც, რა თქმა უნდა, თავისთავად უკავშირდება იმ დროის კოლიტიურ რეალიებს, საქართველოს განსასჯელის პიროვნებას. მკითხველისათვის ინტერესოვალეული არ უნდა იყოს ინტარვიუ, რომელიც მიტროფანე კუჭავასთან აიღო შურნალის შეატარაშე კორეს-პონდენცია ჰოვარდ წესელმა.

**კორესპონდენტი:** ბატონო მიტროფანე, ვიდრე უშუალოდ სახამართლო პროცესზე ვისაუბრებდეთ, ალბათ მკითხველისათვის საინტერესო იქნება იცოდეს, სახამართლო პროცესამდე იცნობდით თუ არა ბერიას პირადად, შეხვედრიხართ თუ არა მას?

**მიტროფანე კუჭავა:** დიას, ვიცნობდი და შეხვედრივარ კიდევ. პირველად იგი 1931 წელს ვნახე, სრულიად შემთხვევით, თბილისის რკინიგზის ვაგზალზე, სადაც იმეამად ვმუშაობდი. საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელი მუშაკები, ლ. ლოლობერიძის მეთაურობით, მოსკოვში მიემგზავრებოდნენ და ბერია მათ გასაცილებლად მოვიდა. თვალშისაცემი იყო ბერიას აქტიურობა, იგი ბევრს მოძრაობდა, ოხუნჯობდა და ამით უნებურად იქცევდა კიდევ იქ მყოფთა ყურადღებას. მეორედ ბერია 1936 წელს ვნახე მაშინდელი პლენანოვის სახელობის კლუბში, სადაც თბილისის ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება მიმდინარეობდა. მე პარტიის წევრობის კანდიდატი ვიყავი, ამ ორგანიზაციაში ვირიცხებოდი და ცხადია, ვმონაწილეობდი კიდევ კრების მუშაობაში. ამ წელს პირველად ტარდებოდა პარტიული ორგანოების არჩევნები ფარული კენჭისყრით და დებულებით შეიძლებოდა უსასრულოდ გაგრძელებულიყო კანდიდატების დასახელება. სწორედ ამან განაპირობა, რომ ქარხნის პარტიულ კომიტეტში ასარჩევი 11 წევრის ადგილას 65 კანდიდატი დაასახელეს. კენჭისყრამ მეტად დამბულად ჩაიარა და ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო საჭირო რაოდენობის ხმები. ასე გაგრძელდა 13 დღე. მეთოთხმეტე დღეს კრებაზე მოვიდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბერია და სიტყვითაც გამოვიდა. მან ბევრი ილაპარაკა შექმნილ მდგომარეობაზე, არასწორად მიიჩნია არჩევნების ამგვარი გაკიანურება და იმავე დღეს გადაწყდა ყველაფერი. ფარული კენჭისყრისათვის სიაში შეიტანეს კრების

მიერ არჩეული 20 კანდიდატი და აქედან აირჩიეს კიდევ პარტკომის შემადგენლობა. პარტკომის მდივანად არჩეული იქნა მ. ჩუბინიძე, რომელიც შემდგომში დიდხანს მუშაობდა პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელ ორგანოებში, იყო პრინციპული. საქმიანი პიროვნება, ხოლო 1953 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პასუხსაგები პოსტიც ეკავა. სამწუხაროდ, იმ პერიოდში ფეხმოკიდებული ინტრიგების, ექვიანობისა და შურისძიების შედეგად, იგი დაინტერესებულმა პირებმა ჩამოაშორეს საერთო საქმეს.

ამის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე ვნახე ახლოდან ბერია, ხოლო 1942 წელს, როცა უკვე პარტიის გაგრის რაიკომის პირველი მდივანი ვიყავი, პირადადაც მომიხდა მასთან საუბარი. 1942 წელი მეტად მძიმე იყო ჩვენი ქვეყნისათვის. ომმა უზარმაზარი ტერიტორია მოიცვა და მტერი კავკასიონს მოადგა. გაგრაში ამ დროს არა ერთი სტრატეგიული დანიშნულების ობიექტი იყო განლაგებული. სწორედ გაგრის გავლით, შავი ზღვის სანაპირო ავტოტრასით (რკინიგზა ჯერ კიდევ არ იყო), მოძრაობდა ჯარის ნაწილები. იქვე, გაგრიდან 15 კილომეტრზე, იდგა სამხედრო გადამლობი რაზმი. ასე რომ, მთელი რაიონი ფრონტის ზონაში იყო მოქცეული. გაგრის ყველა სანატორიუმსა და დასასვენებელ სახლში სამხედრო პოსპიტალები იყო განსნილი, უზომოდ გადატვირთული დაჭრილებით. აქვე მოქმედებდა საკავშირო თავდაცვის კომიტეტის ბრძანებით შექმნილი თავდაცვის კომიტეტი. ასეთ ვითარებაში, 1942 წლის ერთ საღამოს, დამირეკეს და მითხრეს — ბერია გიბარებსო. ათ წუთში მის აგარაკზე ვიყავი, სადაც ბ. ქობულოვიც დამხვდა. ბერიამ დაწვრილებით გამომკითხა და მეც მოვახსენე რაიონში არსებული ვითარება, ვუთხარი, რომ ყველა ორგანიზაციის, დაწესებულების დოკუმენტები და ქონება ევაკუირებულია, მოსახლეობა მშვიდაადაა, პანიკა არ იგრძნობა, ჩვეულებრივ შრომობენ ადამიანები, კოლმეურნეობები აწარმოებენ უფრო მეტ თამბაქოს, ვიდრე ომამდე (მაშინ თამბაქო სტრატეგიულ ნედლეულად იყო აღიარებული). მოვახსენე ისიც, რომ ფორმირებულია და მოქმედებს გამანადგურებელი ბატალიონი, ხოლო თუ საჭირო გახდა, მის ბაზაზე შეიძლება შეიქმნას ძლიერი პარტიზანული რაზმი (გაგრის გეოგრაფიული მდგომარეობა ამის ხელსაყრელ პირობებს იძლეოდა). ჩვენი შეხვედრა დაახლოებით თხუთმეტ წუთს გაგრძელდა. ბერიამ ყურადღებით მომისმინა, მაგრამ არაფერი უთქვამს ისე მოულოდნელად და საჩქაროდ წავიდა სადღაც.

და კიდევ ერთი ეპიზოდი; 1948 წლის სექტემბერი იდგა. ლენინგრადიდან მოსკოვში ჩამოასვენეს ჟდანოვის ნეშტი. პროცესიას, რომელიც კავშირების სახლისაკენ მიემართებოდა, პოლიტიუროს მთელი შემადგენლობა (სტალინის გარდა) მიჰყვებოდა. მთავრობის წევრთა შემდეგ უმაღლესი პარტიული სკოლის მსმენელები ვიდექით (მაშინ მე უკვე მოსკოვის უმაღლეს პარტიულ სკოლაში ვსწავლობდი). ბერია პოლიტიუროს წევრთა შორის იდგა, მაგრამ ხშირად ჩამორჩებოდა ხოლმე მათ, სხვებთან გაერეოდა, ყველაფერს განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდა, შენობათა ბოლო სართულებს აკვირდებოდა, სულ მოძრაობდა. ბევრჯერ იგი ჩვენი კოლონის ახლოსაც აღმოჩნდა და ამიტომ კარგად ვხედავდი მას.

— რამდენიმე სიტყვით ხომ ვერაფერს გვეტყვოდით მის ფსიქოლოგიურ პორტრეტზე.

— საერთოდ, ბერიას დახასიათება ამ პატარა ინტერვიუში შეუძლებელია, ამისათვის უფრო ვრცელი ანალიზია საჭირო, რადგან იგი უაღრესად რთული პიროვნება იყო. იმასთან ერთად, რომ ცხოვრებაში მძაფრი შინაგანი წინააღმდეგობები ახასიათებდა, როგორც შემდეგ გამოირკვა, ბუნებით ბოროტი და შურიანიც ყოფილა. ადრე ალბათ ამას ვერავინ იფიქრებდა, რადგან იგი ოსტატურად იყო შენიღბული და თავის როლსაც შესანიშნავად ასრულებდა. ამაში მე საბოლოოდ დამარწმუნა სასამართლო პროცესმა. იმასაც ვფიქრობ, რომ გარკვეულწილად იგი დიდი ოპტიმისტიც იყო. აი, რა მითხრა ერთხელ ომისდროინდელი უშიშროების კომიტეტის გაგრის განყოფილების უფროსმა ფარცხალაძემ: როდესაც ბერია გაგრაში ჩამოვიდა და ნახა, რომ მისი აგარაკის მთელი ქონება შეფუთული იყო ევაკუაციისათვის, ძალიან გაბრაზდა და აგარაკის უფროსს თვალჭრელიძეს იქვე უბრძანა დაუყოვნებლივ გაეხსნათ ბარგი. დიახ, ბერიას ასეთი მოქმედება ომის დაძაბულ პერიოდში, როდესაც ყველაფერი ბეწვზე ეკიდა, მე მივიჩნე მტერზე გამარჯვების ოპტიმიზმის გამოვლინებად.

რამდენიმე ფაქტს კიდევ მოვიყვან და მკითხველმა თვითონ განსაჯოს, თუ როგორი პიროვნება იყო ბერია.

ცნობილი ქართველი დირიჟორის ე. მიქელაძის საქმესთან დაკავშირებით მისი დაკითხვის ოქმებს რომ ვათვალისწინებდი, ერთ-ერთ მათგანზე ბერიას ასეთ რეზოლუციას წავაწყდი: „მაგრად დაკითხეთ მიქელაძე, იგი შეიძლება აგენტი აღმოჩნდეს...“ სხვათაშორის რეპრესირებულთა სამსახურულ საქმე გადაისინჯა და მათგან თითქმის ასოცს ჰქონდა ბერიას რეზოლუცია. თავისი შინაარსით ყველა რეზოლუცია არაადამიანურია და კარგად ახასიათებს მის ავტორს. აი ორი მათგანიც ამ რეზოლუციებიდან: „კრებკო იზღუბიბტ ყუყუხაეა“, „განცხადებებსა და საჩივრებს კი ნუ იღებთ, არამედ დაკითხეთ მაგრად და მიაღწიეთ აღიარებას...“ და ა. შ. როგორც სასამართლო პროცესის მასალებიდან ჩანდა, საქართველოში ოცდაათათასამდე კაცი იყო რეპრესირებული.

— როგორ თვლით, რამ განაპირობა თქვენი მონაწილეობა ბერიასა და მისი თანამშრომლების სასამართლო პროცესში?

— ვერაფერს გეტყვით. იქნებ სპეციალური საგანგებო სასამართლო სტატუსით ან სხვა რამ მიზეზით იყო განპირობებული... არ ვიცი. შეიძლება საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლად ჩამთვალეს და იმიტომ, იმჟამად ხომ საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვიყავი. გადაწყვეტილად არაფრის თქმა შემიძლია.

— იქნებ გვითხრათ ხად, როდის შედგა ეს განმაურებული პროცესი და თქვენთან ერთად ვინ შედიოდა სასამართლოს შემადგენლობაში?

— სასამართლო პროცესი მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის შენობაში გაიმართა და ექვს დღეს გრძელდებოდა — 1953 წლის 18 დეკემბრიდან 23 დეკემბრამდე. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სპეციალური სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდნენ: სასამართლოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. კონევი, სასამართლოს წევრები — სსრ კავშირის პროფსაბჭოს თავმჯდომარე ნ. შეერნიკი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ე. ზეიდინი, მოსკოვის სამხედრო ოლქის ჩარების სარდალი კ. მოსკალენკო, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირვე-

ლი მდივანი ნ. მიხაილოვი, მოსკოვის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ლ. გრომოვი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე კ. ლუნიოვი და მე.

სამხედრო ოლქის შტაბის მცირე დარბაზში, ოდნავ ამალღებულ ადგილზე, იდგა პრეზიდიუმის მაგიდა. ცენტრში იჯდა სასამართლოს თავმჯდომარე, მარშალი ი. კონევი, მისგან ხელმარჯვნივ ნ. შვერნიკი, შემდეგ ე. ზეიდინი და ნ. მიხაილოვი. კონევისაგან მარცხნივ პირველი იყო კ. მოსკალენკო, შემდეგ მე, ლ. გრომოვი და კ. ლუნიოვი. სასამართლოს წინ, რვა-ათი მეტრის დაშორებით, დარბაზის სიღრმეში, ე. წ. „ვენურ სკამებზე“, ერთიმეორის მიყოლებით მარცხნიდან მარჯვნივ ისხდნენ განსასჯელები: ბ. ქობულოვი, ლ. ბერია, კ. დეკანოზოვი, ს. გოგლიძე, ვ. მერკულოვი, ლ. ვლდზიმორსკი და ბ. მეშიკი.

სასამართლოში საქმის განხილვას ესწრებოდა აგრეთვე სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რუდენკო, მაგრამ არა როგორც პროცესის მონაწილე, არამედ როგორც, რიგითი დამსწრე. ექვსი დღე იგი სხდომის დარბაზში იჯდა და მხოლოდ ისმენდა. განსასჯელებს იცავდა სამხედრო პატრული.

— არსებობს ლეგენდა — თითქოს ბერია არ იყო პროცესზე. მართალია თუ მოგონილი ეს ამბავი? გულახდილად გითხრათ, ამ ინტერვიუს ძირითადი მიზანი ამ კითხვის დაწესებვაა.

— ასეთი ლეგენდა მეც გამიგია. მაგრამ იგი მართალი არ არის, ვილაციის მიერ მოგონილი ჭორია და მეტი არაფერი. მე უკვე აღვნიშნე, ბევრჯერ მინახავს მეთქი ბერია, პირადადაც მისაუბრია მასთან, ეგეც არ იყოს, საქავშირო თუ რესპუბლიკური ინფორმაციის საშუალებები ძალიან ხშირად ბეჭდავდნენ ხოლმე მის პორტრეტებს და ცხადია, არ გამიჭირდებოდა ამოცნობა. მე არასოდეს დავეჭვებულვარ და დღესაც მტკიცედ მჯერა, რომ განსასჯელის სკამზე ნამდვილად ბერია იჯდა.

— ხალხში გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, თითქოს რაღაც გითქვამთ ბერიასთვის შეგრუღად, მას კი პასუხი ვერ გაუცია. მართლა იყო ასეთი ან მსგავსი შემთხვევა?

— საოცარია პირდაპირ, რას არ იტყვის ენა, ეს აზრი მე პირველად არ მესმის და მიკვირს კიდევაც, თუ რატომ დაჭირდათ ადამიანებს ამის მოგონება. არაერთხელ მითქვამს და ახლაც შემიძლია დაბეჭდვით გავიმეორო, რომ განსასჯელის სკამზე ნამდვილად ლავრენტი ბერია იჯდა. მე ვხედავდი მას სულ ახლოდან და საეჭვო ჩემთვის არასოდეს გამხდარა ეს საკითხი. უფრო მეტიც, როდესაც სასამართლო შემადგენლობაში ჩემი გვარი გამოაცხადეს, ლ. ბერიამ მკვეთრი მოძრაობით ასწია თავი, გასწორდა და მომაჩერდა, ვინ იცის იქნებ ეცნო კიდევ ჩემი გვარი.

— მკითხველებს დაინტერესებთ აღბათ მონაწილეობდა თუ არა პროცესში ბრალმდებელი, ჰყავდათ თუ არა განსასჯელებს დამცველები, ვინ ესწრებოდა პროცესს ბერიას ოჯახის წევრთაგან?

— როგორც ცნობილია, საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე იხილებოდა და ამდენად, საგანგებო სასამართლოს სტატუსის შესაბამისად მასში ბრალმდებელი და დამცველები არ მონაწილეობდნენ. ბერიას ოჯახის წევრებიდანაც არავინ ყოფილა სასამართლო სხდომაზე.

— თქვენი აზრით, დაუდასტურდა თუ არა ბერიას წარდგენილი ბრალდებები და რას ფიქრობთ დღეს ამის შესახებ?

— ბერიასა და მის თანამზრახველთა მიმართ წარდგენილი ბრალდებები

ძირითადად ემთხვევა დღეისათვის ოფიციალურად აღიარებულ ბრალდებებს. საქმე გამოიძია სსრ კავშირის პროკურატურამ უშუალოდ გენერალური პროკურორის რუდენკოს ხელმძღვანელობით და საბრალდებო დასკვნით ბერიას ბრალი ედებოდა რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 „ბ“, 58-13 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის. სხვებსაც ამავე კოდექსის 58-1 „ბ“, 58-8 და 58-11 მუხლებით დაედოთ ბრალი.

სასამართლო გამოძიებამ საბოლოოდ დაადასტურა საბრალდებო დასკვნაში ჩამოთვლილი ბრალდებები და დაადგინა, რომ ბერია და მისი თანამზრახველები დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ რა ერთმანეთს, მიზნად დაისახეს შინაგან საქმეთა ორგანოები გამოეყენებინათ პარტიისა და მთავრობის წინააღმდეგ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, გაირკვა ისიც, რომ ბერიამ თავისი ავზრახული საქმიანობა დაიწყო ძალიან ადრე. ჯერ კიდევ 1919 წელს, ბაქოში ყოფნის დროს, იგი შევიდა აზერბაიჯანის მუსავაჯატისტური მთავრობის დაზვერვის სამსახურში, რომლის მოქმედებასაც კონტროლს უწევდნენ ინგლისის სადაზვერვო ორგანოები. ბერია რომ ბოლო პერიოდამდე იყო დაკავშირებული უცხო ქვეყნების დაზვერვასთან, ამის დამადასტურებელი საბუთები საქმოდ მოიპოვება საქმეში, რომლებიც დაბატონების შემდეგ ამოიღეს მის ბინაში არსებული საიდუმლო სეიფიდან. ბერიას „სპეცპაპკაში“ იღო იმის მანიშნებელი ცნობაც, თუ როგორ ცდილობდა იგი კავშირის დამყარებას ჰიტლერთან. ბერიამ სასამართლო სხდომაზეც დაადასტურა, რომ იგი მართლაც ცდილობდა ჰიტლერთან კავშირის დაჭერას, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით მეტი არაფერი უთქვამს.

სასამართლომ ისიც დაადგინა, რომ ბერია და მისი თანამზრახველები თავიანთ დანაშაულობათა დასაფარავად ხშირად მიმართავდნენ ტერორს და რეპრესიებს, ანგარიშს უსწორებდნენ ყველას, ვისგანაც მხილებისა ემინოდათ. სწორედ ამგვარად მოექცნენ კედროვს, გოლუბევს, პ. ორჯონიკიძეს, ხანჯიანს და სხვა მრავალს.

საქმეში ინახება რსფსრ-ის სახკომსაბჭოს აზერბაიჯანში საგანგებო რწმუნებულის კედროვის მოხსენებითი ბარათი აზერბაიჯანის კომპარტიის ცკ მდივნის ს. კიროვის სახელზე, რომელშიც მხილებულია ბერია, როგორც დამნაშავე. მოხსენებით ბარათზე კიროვის ასეთი რეზოლუციაა: მუდმივი ყურადღება განხორციელდეს ორგანოების მუშაკებისადმი, როგორც ამას ითვალისწინებს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის № 90 დირექტივა. ჩეკისტური კომბინაცია არ უნდა ტარდებოდეს პარტიის პოლიტიკიდან მოწყვეტით, მთავარია, რომ ორგანოები არ უნდა ერეოდნენ შინაპარტიულ საქმეებში, პარტორგანიზაციების ცხოვრებაში და მუშაობა არ უნდა ღებულობდეს საიდუმლო აგენტურებს ხასიათს ან მეთვალყურეობას პარტიულ მუშაკებზე.

ბერიამ აღიარა, რომ 1941 წელს მან პირადად დაავალა მერკულოვს კედროვის დაბატონება, რომელიც თუ სხვა პირთან ერთად მართლაც გაასამართლეს, როცა სასამართლომ კედროვი გაამართლა, ამან ძალიან გაანაწყენა ბერია და მითითება მისცა მერკულოვს სხვებთან ერთად კედროვიც დაეხვრიტათ.

ეს სამწუხარო ფაქტი ბერიაშ სასამართლო პროცესზედაც არ უარყო, მაგრამ თავის მოქმედებას გამართლება ვერ მოუძებნა და მხოლოდ ისლა თქვა: ვალიარებ, შეცდომა დავეშვიო. ცინიზმი, ალბათ, ამაზე შორს ვერ წავა.

სასამართლო პროცესზე ბევრი ითქვა ბერიას მიერ მოწყობილ არაერთ ინტრიგასა და შანტაჟზე, რასაც იგი თითქმის ყოველ ნაბიჯზე მიმართავდა, ასე მოექცა მაგალითად სომხეთის კომპარტიის ცკ მდივანს ხანჯიანს, რისთვისაც მან თბილისელი სომხები, ვინმე კატუროვი და აკოფოვი გამოიყენა. ბერიას აგენტები საგანგებოდ ჩავიდნენ ერევანში და შეთითხნეს საქმე, თითქოს ხანჯიანი ბერიას წინააღმდეგ მოქმედი ტერორისტული ჯგუფის წევრი ყოფილიყოს. რა შედეგიც მოჰყვებოდა ამ ბრალდებას ძნელი წარმოსადგენი არ არის.

სასამართლო პროცესზე ფარდა აეხადა ბერიას და მის თანამზრახველთა მიერ მოწყობილ ინტრიგებს, შანტაჟს, ადამიანთა მიმართ ჩადენილ საზიზღარ დანაშაულობებს, გაუტანლობას. აქვე გამომქლავდნენ ამ გაუგონარ ბოროტებათა ჩამდენი თანამდებობის პირები, რომლებიც თავისი გავლენის ქვეშ მოიქცია ბერიაშ. ერთი სიტყვით, ეს იყო ორგანიზებულ დანაშაულობათა ფართო ქსელი, სავსე თავისი ავი ზრახვებითა და არნახული სისასტიკით.

ცნობილია, რომ ს. ორჯონიკიძე არ მალავდა და აშკარად გამოთქვამდა ხოლმე პოლიტიკურ უნდობლობას ბერიასადმი. ამის შესახებ ქობულოვმა წარუდგინა კიდევ ბარათი თავის შეფს. ამით განაწყენებულმა ბერიაშ შურისგება გადაწყვიტა და თავის თანამზრახველებთან ერთად შექმნა ლეგენდა სტალინის წინააღმდეგ შეთქმულებაში ს. ორჯონიკიძის მონაწილეობის შესახებ, საამისო შანტაჟისა და ინტრიგების ურთულესი ხლართი ისე ოსტატურად იყო შედგენილი, რომ ამან ბევრი პიროვნება შეიწირა. მათ შორის უნდა დავასახელოთ ს. მამულია, პ. აღნიაშვილი, მამია და მარიამ ორახელაშვილები, ე. ბედიია, მათიკაშვილი, მაგალობლიშვილი და სხვანი. საქმის მასალებში ინახება აზერბაიჯანის კომპარტიის ცკ ყოფილი მდივნის ბაგიროვის ასეთი ჩვენება: „ს. ორჯონიკიძის მიმართ ბერია უნაამუსოდ, საძაგლად მოიქცა, როდესაც ის გარეგნულად, საჯაროდ კარგად ახასიათებდა და აფასებდა ორჯონიკიძეს, ახლობელთა წრეში კი ყოველგვარ საზიზღრობას ამბობდა მასზე“.

ს. ორჯონიკიძის სიკვდილის შემდეგ ბერია სასტიკად დევნიდა აგრეთვე მის ახლობლებს. 1937 წელს მისი ინიციატივით დააპატიმრეს და დახვრიტეს პ. ორჯონიკიძე, ხოლო შემდეგ, ანტისაბჭოთა აგიტაციის ყალბი ბრალდებით, დაიჭირეს მისი ცოლი, რომელსაც 5 წლით გადასახლება მიუსაჯეს. 1938 წელს ამ დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა დაწესდა და ეს ქალიც უმაღლეს დახვრიტეს. 1941 წელს სერგოს ძმის, კ. ორჯონიკიძის რიგიც მოვიდა. იგი სრულიად უმიზეზოდ დააპატიმრეს და 5 წელი მიუსაჯეს, მაგრამ როგორც კი გაუთავდებოდა სასჯელის ვადა, ე. წ. „ლაგერნი სროკს“ უმატებდნენ. ასე ამყოფეს ციხეში 1955 წლამდე, ვიდრე ამნისტიით განთავისუფლდებოდა.

სასამართლო სხდომაზე ლ. ბერიას წარუდგინეს საქართველოს კომპარ-

ტიის ცკ მდივნის ბლოკნოტის ფურცლები, რომლებშიც მისი ხელით იყო ჩაწერილი სიები ასეთი წარწერებით: „სამეულზე პირველი კატეგორიით განსახილველად“ (ეს დახვრეტას ნიშნავდა). ბერიაშ აღიარა, რომ ეს ფურცლები მას ეკუთვნოდა.

გოგლიძეს ვკითხეთ, როგორ აწერდი ხელს სამეულის გადაწყვეტილებათეო. გვიპასუხა — საქართველოს კომპარტიის ცკ პირველი მდივნობის პერიოდში ბერიაშ თვითონ აილო ხელში ყველა ფუნქცია, მათ შორის საგამოძიებო და სასამართლო ფუნქციაც. თითქმის ყველა საქმეზე იყო მისი ხელმოწერა ან განკარგულება. მე კი მხოლოდ მექანიკურადღა ვაწერდიო ხელს.

საქმის მასალებში იყო აქარის ერთ-ერთი რაიკომის მდივნის, დოლიძის წერილის დედანი, რომელიც დახვრეტის წინ დაუწერია: „ლ. პ. ბერიას, ს. ა. გოგლიძეს. მე და ჩემთან ერთად დიდი სტალინის პარტიისადმი ბევრი თავდადებული შვილები არაფერში დამნაშავენი არა ვართ, ჩვენს შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიების სისტემა ისეთია, რომ ჩვენგან არ ისმენენ არავითარ გამამართლებელ მოსაზრებებს, საბუთს, გვაიძულებენ ხელი მოვაწეროთ და ვაჩვენოთ ყველაფერი უაზრობა და აბდაუბდა. ზოგმა არაფერი არ აჩვენეს, მაგრამ მაინც დახვრიტეს. ჩვენი გამოძიებლები წინასწარ არიან დარწმუნებულნი, რომ საქმე აქვთ ხალხის მტრებთან. რატომ არ ფიქრობთ ამაზე. ხდება საზარელი საქმე, იულიტებიან ადამიანები, რომლებიც უსაზღვროთ ერთგულნი არიან სტალინის პარტიისადმი. სიკვდილის წინ მე ვთხოვთ იფიქროთ ამაზე. ჩემი ჩვენებები, როგორც ბევრი სხვების. მთლიანად ჯოხის ქვეშ არის მოგონილი. მშვიდობით, დოლიძე. კამერა 21“.

სასამართლოზე ბერიაშ დაადასტურა განსასჯელ მეშიკის ჩვენება იმის შესახებ, რომ მოსკოვის ლეფორტოვისა და სუხანოვის ციხეები სამართლიანად იწოდებოდა ადამიანთა სასაკლაოდ. სუხანოვის ციხეში (ეს ის ციხეა, სადაც ბერია ერთი კვირა ჰყავდათ დაპატიმრებული 1953 წლის 26 ივნისიდან და მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გადაიყვანეს იქიდან სამხედრო ოლქის შტაბის შენობაში) ბერიასათვის მოწყობილი იყო მუხის ფანერით მოპირკეთებული კაბინეტი. ამ კაბინეტში ორგანოს ერთ-ერთი მუშაკი, ვინმე შკურინი, რომელსაც თურმე ხელი ცხენის ფლოქვს მიუგავდა, ბერიას მითითებით შეფის თვალწინ უმოწყალოდ სცემდა პატიმრებს. ამგვარად მიილო ბერიაშ მონაწილეობა განთქმული მხედართმთავრების შტერნის, მერეცკოვის, ლაქტიონოვის „დაკითხვაში“. მან თვითონ ცემა რეზინის ჯოხით პატიმარი ბოროვოი, ხოლო როცა ბუტირსკის ციხეში ხუთი თვის ორსულმა პატიმარმა ქალმა არ აღიარა მისთვის წაყენებული ბრალდება, მუცელი ძალით მოუშალეს. (ასეთივე ბედი ერგო ერთ ქალს თბილისშიც). სასამართლო პროცესზე დაკითხულმა დაზარალებულმა ვასინამ განაცხადა: „ბერია სამარცხვინო ლაქა ნიჭიერი ქართველი ხალხის ჭანსალ სხეულზეო“.

ერთი მაგალითიც. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მუშაკი გოლუბევი მეგობრობდა მ. კედროვის ვაჟთან. როგორც ჩანს, მან იყო ა თავისი შეფის სამარცხ ა ამბები და ერთხელ რატომღაც გან-

ლო იგი მ. კედროვს. კედროვმა ურჩია, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიმართო. გოლუბევი მართლაც ასე მოიქცა. ეს გაიგო ბერიამ და 1941 წელს გოლუბევი შეთითხნილი ბრალდებით დახვრიტა.

ბერიას შექმნილი ჰქონდა ტერორისტთა „სპეცგუფი“, რომელიც არაფერს ერიდებოდა. უდანაშაულო ადამიანების კვლა ამ ჯგუფისათვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. სწორედ მათი ნამოქმედარი იყო ის მკვლევლობები, რომლებიც კონსპირაციულად ხდებოდა ქუჩებში, მატარებლებში, ბინებში და ყველგან, სადაც მათ მოესურვებოდათ. ბერიამ აღიარა კიდევ: ამ ჯგუფს უნდა მოეკლა სსრ კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ლიტვინოვი, რადგან მტერი გვეგონაო.

— ხომ არ ყოფილა სასამართლო პროცესის განსჯის საგანი ბაქოელი 26 კომისრის გაცემის ფაქტი? ზოგჯერ ამბობენ ისინი ბერიამ გასცაო.

— სასამართლო პროცესზე ამის შესახებ არაფერი თქმულა, ამიტომ მეც ვერაფერს მოგახსენებთ.

— საინტერესოა იყო თუ არა ურთიერთშეპასუხებები განსასჯელთა შორის ან დანაშაულის უარყოფის თუ სხვისთვის გადაბრალების ფაქტები?

— ბერიამ პირველივე დაკითხვის დროს აღიარა დანაშაული და არ უარყო წაყენებული ბრალდებები, მაგრამ დაამატა — არის საკითხები, რომლებიც დაზუსტებას მოითხოვს. საერთოდ, განსასჯელებს თავიანთი მოქმედება არ აუხსნიათ რაიმე პოლიტიკური მოსაზრებით. დანაშაულის ურთიერთგადაბრალების ფაქტები იყო, მაგრამ უხეშად, არასერიოზულად არასოდეს შეპასუხებიან ვინმეს და ყოველთვის დაწყნარებულად იძლეოდნენ ჩვენებებს. მართალია ზოგჯერ მათ ჩვენებებში გამოჩნდებოდა ხოლმე წინააღმდეგობები და ამასაც სასამართლო ტაქტიკით, პროფესიონალური აღლოთი იქვე წყვეტდა.

მაგალითად, ბერიამ თავდაპირველად უარყო მონაწილეობა ე. ბედიას წამებაში, მაგრამ როდესაც ბ. ქობულოვმა გაახსენა დეტალები, თუ როგორ სცემა პირადად მან ბედია ხაზანის თანდასწრებით (ხაზანი ისეთივე როლს ასრულებდა საქართველოს ციხეებში, როგორსაც შკურინი რუსეთში), ბერია იძულებული გახდა ეს ფაქტიც ელიარებინა.

უარყოფდა ბერია, აგრეთვე, მერკულოვისათვის მიცემულ განკარგულებას კედროვის დაპატიმრებისა და დახვრეტის შესახებ, მაგრამ აქაც ვერ გაექცა მტკიცებულებებს და ისლა მოახერხა ეთქვა „შევცდიო“.

1953 წელს საქართველოში დაპატიმრეს ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი ეგნატაშვილი. ამ ფაქტთან დაკავშირებით დეკანოზოვმა ასეთი განმარტება მისცა სასამართლოს: მე არ მინდოდა ეგნატაშვილის დაპატიმრება, მაგრამ ბევრჯერ შემახსენეს და მითხრეს, რომ ეს იყო ბერიას კატეგორიული მოთხოვნა, რასაც წინ ვეღარ აღვუდექიო. ეს არც ბერიამ უარყო და როგორღაც თითქოს თავის გამართლებადაც ჩაითვალა, როცა თქვა: მართალია, მე ვურეკავდი საქართველოში ერთ-ერთ მაღალი თანამდებობის პირს ამის შესახებ. ის კი დეკანოზოვს ავალებდა აღსრულებასო.

— ალბათ ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისათვის იცოდეს, თუ როგორ ეჭირა თავი პროცესზე ბერიას, იძლეოდა თუ არა ჩვენებებს და თქვა თუ არა საბოლოო სიტყვა?

— ბერიაც და სხვა განსასჯელებიც ყოველგვარი გართულების გარეშე იძლეოდნენ ჩვენებებს. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ბერია ზოგჯერ გაქირვეულდებოდა ხოლმე, ამასთან, გათამამდებოდა კიდევ და ვინ იცის მერამდენედ იმეორებდა გადაეცათ თხოვნა ხრუშჩოვისათვის მისთვის სიცოცხლის შენარჩუნების შესახებ. საბოლოო სიტყვაც თქვა, მაგრამ არც მას, არც სხვებს დანაშაული არ უარუყვიათ. ეს იმიტომ, რომ საფუძველი არ ჰქონდათ. ჯერ ერთი, გამოძიება იყო ჩატარებული სრულყოფილად, ზოლო რაც ყველაზე მთავარია, სასამართლოს თავმჯდომარეს კონეცს ისე მიჰყავდა პროცესი, რომ განსასჯელებს, გაჯიუტების, კირვეულობის აღარავითარი შანსი არ დაარჩენიათ.

— ბატონო მიტროფანე, დიდი მადლობა უნდა მოგახსენოთ საინტერესო საუბრისათვის და ფთხოვით, თქვენ თვითონ ხომ არაფერს დაუშატებდით ნათქვამს?

— საერთოდ, ბერიას საქმესთან დაკავშირებით უამრავი აზრია გამოთქმული. ვინ აღარ წერს, ვინ არა ცდილობს ათასნაირი სენსაცია აუწყოს მკითხველებს, ააღელვოს საზოგადოებრიობა. მათ შორის ხშირად ისეთი წინააღმდეგობებია, რომ გაცდება კიდევ კაცი, რადგან ბევრი მათგანი მხოლოდ ყურმოკრულ ამბებს ეყრდნობა. მაგალითად: ანტონოვ-ოვსეენკო ერთ-ერთ პუბლიკაციაში ჩემზე წერს, თითქოს გამოძიების მასალების გაცნობისას ბერიას მიერ გაუპატიურებულ ქალთა ვრცელი სია გადამეთვალეირებინოს და ზეეწნა დამეწყოს — თუ ღმერთი გწამთ, ეს სია სახალხოდ არ წაიკითხოთ, რადგან მის სამ მეოთხედს ჩვენი მთავრობის წევრთა ცოლები შეადგენდნენ მეთქი. უბრალოდ, ეს ტყუილი კი არა, არამედ უტიფარი, უხამსი შეურაცხყოფაა. რას ეყრდნობა ამ წერილის ავტორი, ძნელი ასახსნელია, რადგან თავიდან ბოლომდე იგი ვილაცის მიერ მოგონილი სიცრუეა. საერთოდ, მსგავს შემთხვევას ადგილი არ ჰქონია და მე ის მიკვირს, თუ რატომ იგონებენ მას ადამიანები, ან რისთვის სჭირდებათ ასეთი ყურითმოთრეული ამბების გავრცელება?! მართალია არსებობდა სია, რომელიც ბერიას აღიუტანტს, სარქისოვს აღმოაჩნდა დაპატიმრების დროს და მასში ჩამოთვლილი იყვნენ ისინი, ვინც ბერიამ გააუპატიურა, მაგრამ დაბეჯითებით ვამბობ, რომ ამ სიაში არც ერთი არ იყო ყოფილი „ჩვენი მთავრობის წევრის ცოლი“, როგორც ამას ანტონოვ-ოვსეენკო ამბობს.

ძალიან ბევრი უზუსტობა, მითქმა-მოთქმა და ტყუილი გავრცელდა იმაზეც, თუ სასამართლო პროცესის დამთავრების შემდეგ რა ვითარებაში და როგორ დახვრიტეს ბერია. ეს ქორები ისე ბევრია, ხშირად კი ერთიმეორის გამომრიცხველიც, რომ მათზე აღარ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოდ იმას, რაც საკუთარი თვალთ ვნახე, რისი უშუალო მონაწილეც ვიყავი და ამდენად სრულ ქეშმარიტებად უნდა ჩათვალოს.

ბერიას დახვრეტის განაჩენი სამხედრო შტაბის შენობაში მოიყვანეს სისრულეში. ამ დროს განსასჯელს ნამდვილად ეცვა ბიჯაკი და ზოგიერთის მტკიცება, თითქოს იგი პერანგის ამარა ყოფილიყოს, სიცრუეა. განაჩენი რუდენკომ წაიკითხა და როდესაც მან სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაცხადა, ბერიამ მართლაც სცადა რალაცის თქმა და გაუგებრად ალულლულდა. რუდენ-

კომ გასცა პასუხი, რომ ვერაფერი გავიგეთ რას ითხოვთ, თქვენ სასამართლოზე უკვე ილაპარაკეთო. ამის შემდეგ მან ბერიას პირადად აუხვია თვალეზი თეთრი ნაჭრით და განზე გადგა. იმავე წუთს რვა-ათი მეტრიდან გენერალმა ბეტიცკიმ ესროლა. ბერიას გვამთან ექიმი მივიდა და სიკვდილის ფაქტი დაადასტურა. ეს იყო და ეს.

განაჩენის აღსრულებას სხვებთან ერთად ვესწრებოდით მე, მოსკალენკო და სასამართლოს კიდევ რამოდენიმე წევრი. ამ დროს კონევი იქ არ ყოფილა.



## წერილები რედაქციას

### ღია ბაკათი ქურნალ „სახალგაზრო და სამართლის“ მთავარ რედაქტორს

გამოვიდა და ხელმომწერებს დაურიგდა ქურნალის სამი ნომერი. მისასალმებელია, რომ იგი გარკვეულად უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდა. თუმცა, მსურს, რომ მას კიდევ მეტად ეტანებოდეს მკითხველი. გამოსული სამი ნომრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სამწუხაროდ, თითქმის, იმის არავითარი იმედი არ არსებობს, რომ მკითხველთა ფართო აუდიტორიამ სულმოუთქმელად წაიკითხოს ქურნალი. საგაზეთო ჯიხურებში კი მყიდველი დაეძებდეს მის ნომრებს.

ბატონო რედაქტორო! ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ გასურთ ქურნალი პოპულარული იყოს. მაშ, საინტერესოა, თუ რა გიშლით ხელს ამ მიზნის განხორციელებაში? პირდაპირ და დაუფარავად გეტყვით, რომ მეცნიერ-მუშაკთა გადამეტებულმა, ხშირ შემთხვევაში დიდი მოცულობის წერილებმა გამოიწვიეს ეს. თუ ასეთი წერილების ბეჭდვას არ შეზღუდავთ, დამერწმუნეთ, მკითხველთა წრეებში პატივისცემასა და სიყვარულს ვერ მოიხვეჭთ. მე მიმაჩნია, რომ ნომერში ორ-სამ მეცნიერულ სტატიასზე მეტი არ უნდა დაიბეჭდოს. მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული სტატიების მოცულობა (ნაბეჭდ 10-12 გვერდს არაფრით არ უნდა აღემატებოდეს). თანაც, სტატიასში სხვა გაზეთებიდან და მეცნიერული შრომებიდან გადმოწერილი ციტატების სიჭარბე არ უნდა იგრძნობოდეს.

მეცნიერს მეცნიერული სტატიის დაწერა თუ სურს, არავინ უშლის, თავის კათედრაზე წარადგინოს. ხოლო ყურნალისათვის კეთილი ინებოს პოპულარული, პრაქტიკული საინტერესო სტატია მოიტანოს. მერე ხელისშემშლელ ბარიერად, თქვენ წარმოიდგინეთ, ვერც მე აღვუდგები...

როგორც ჩანს, ბატონო რედაქტორო (რაც უნდა გამინაწყენდეთ მაინც გეტყვი), საკმაოდ ლმობიერი ბრძანდებით და ეს ლმობიერება ვერავითარ სიკეთეს რომ ვერ მოუტანს ყურნალს, ამაში ღრმად ბრძანდებოდეთ დარწმუნებული.

ბატონო რედაქტორო! რამდენიმე ნომერში ერთდაიგივე მასალა დაუსრულებლად რომ გადადიოდა, არავითარ შემთხვევაში ამის უფლება არავის არ უნდა მისცეთ. სად ეძებოს მკითხველმა წინამდებარე მასალა, ან კი ერთი თვის განმავლობაში ახსოვს წინა ნომერებში დაბეჭდილი მასალის შინაარსი? ვინმე შეიძლება მედავოს, მაგრამ პირადად მთელი პრინციპულობითა და კატეგორიულობით ვამტკიცებ — არა!

დაე, მაპატიონ მეცნიერებმა, მაგრამ ყურნალის სამივე ნომერში დაბეჭდილ მეცნიერთა სტატიებში იმდენად დიდი, და ბუნდოვანი წინადადებებია, რომ ზეუდიდესი სიღინჯე, სიმშვიდე და დაკვირვება გმართებს სტატიის შინაარსის გასაგებად.

ორიოდე სიტყვით პოლემიკის შესახებ.

კეთილმოსურნე პოლემიკას არავინ კრძალავს პრესაში (სამწუხაროდ, ქართულ პერიოდიკაში საპირისპირო ბევრი მაგალითი არსებობს), მაგრამ პირადად თქვენ, ბატონო რედაქტორო, ძალიან ფხიზლად უნდა იყვეთ, რომ გაუთავებელი დავა-პოლემიკა (ერთმანეთის შეურაცხყოფამდე მისული) არც კი გაჭაჭანდეს თქვენს ყურნალში.

რამდენადაც ვიცი, იურიდიულ მეცნიერებათა ახალგაზრდა წარმომადგენელი ბრძანდებით. შეიძლება კიდევაც გეწყინოთ კოლეგების ასეთი მკაცრი შეფასება, მაგრამ რა გაეწყობა, პიროვნულად არავის ვერჩი, ვებრძვი, თუმცა მაინც ასეთი აზრი მაქვს მათ მიმართ.

შეეცადეთ ყოველ ნომერში რაც შეიძლება მეტ ავტორს დაუთმოთ ასპარეზი (რა თქმა უნდა ნიჭიერს). უანრობრივადაც მრავალფეროვანი უნდა იყოს და გეოგრაფიულადაც. ყურნალმა ყოველთვის მთელი რესპუბლიკა უნდა მოიცვას და არა მარტო თბილისი.

ჭკუის დარიგებად ნუ მიიღებთ და არც მიწყინოთ თუ შემოგთავაზებთ, მეგობრულად გირჩევთ რა დაბეჭდოთ, რომ მკითხველთა ფართო მასებში პოპულარული იყოთ.

ჩემი აზრით, პირველ რიგში უნდა შემოიღოთ ასეთი რუბრიკები: „რატომ ჭიანჭურდება საქმე“, „არასწორად გამოძიებული საქმე“, „გზა გადავუღობოთ ბიუროკრატიზმს“, „წერილმა გზად გვიხმო“, „მკითხველის გულშია სტრიქონები“ და სხვა ასეთი რუბრიკები. ძალიან კარგად და ღრმად ვარ დარწმუნებული რა რთული, შრომატევადი საქმეა, რა სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული პირობითად მოყვანილი რუბრიკებისათვის მასალების მოპოვება და მერე მისი დაბეჭდვა. ათასგვარი ბარიერის მიუხედავად 3-4 თანამშრომლის დამატება დაგვირდებათ შტატში. არავინ დაგიმატებთ? მესმის თქვენი, მაგრამ განა იცის ზოგიერთმა ბიუროკრატმა რა უდიდეს შემოსავალს მისცემს თქვენი ყურნალი იურისტთა კავშირს ყურნალიდან მიღებული მოგებით და დახმარებითაც (რა თქმა უნდა). შეიძლება საკუთარ გამომცემლობაზეც იფიქროთ, სა-

დაც მეცნიერ-იურისტებს თავიანთი წიგნების გამოცემის საშუალება ექნებოდა ერთი სიტყვით, პერსპექტივა დიდი და განუსაზღვრელია. მხოლოდ დაინტერესება და მონდომებაა საჭირო.

ყურნალში უცილობლად უნდა დაიბეჭდოს ნარკვევები, ინტერვიუები რაიონის პროკურორებთან, მილიციის უფროსებთან, სახალხო მოსამართლეებთან.

ურიგო არ იქნებოდა გარკვეული კონტაქტი დაგემყარებინათ ცნობილ ქართველ მწერლებთან. რომლებიც დეტექტივის ქანრში მუშაობენ. ნაწყვეტი რომ დაბეჭდოთ ცნობილი. ან ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლის ახალი ნაწარმოებებიდან, დამერწმუნეთ. აუცილებლად დააინტერესებთ მკითხველს.

ასეთივე კონტაქტია საჭირო ცნობილ ყურნალისტებთან, რომელსაც შეუკვეთავდით პრობლემურ, სადისკუსიო მასალას სამართლებრივ საკითხებზე.

მასალების მართო თეთრი კორპუსით აწყობა არ მიმაჩნია მთლიანად გამართლებული. შავი პეტტიტო უნდა გამოიყენოთ ზოგჯერ, ყურნალი ფოტოილუსტრაციის გარეშე ვერ წარმომიდგენია. აუცილებლად ფოტოკორექსპონდენტის შტატიც გჭირდებათ.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი ეს წერილი ფართო პოლემიკას გამოიწვევს მეცნიერებში, მკითხველებშიც კი. შესაძლოა ბევრ საკითხში კიდევაც ვცდებოდე, მაგრამ ეს არის ჩემი სუბიექტური მოსაზრებები.

ერთი სიტყვით, მოდით ვიკამათოთ მხოლოდ და მხოლოდ იმის სურვილით, რომ ყურნალი რაც შეიძლება საინტერესო საკითხავი იყოს, გაიზარდოს მისი ტირაჟი, და როგორც ზემოთაც აღვნიშნე, საგაზეთო ჯიხურებში მყიდველი დაეძებდეს მის ნომრებს.

საუკეთესო სურვილებით თეიმურაზ მორგოშია.

**რედაქციისაბან:** ყურნალისტ თ. მორგოშიას წერილს ვაკვეყნებთ მცირეოდენი შემოკლებით. მიგვაჩნია, რომ ბევრი მისი შენიშვნა და წინადადება გასათვალისწინებელია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ავტორი უგულვებელყოფს ერთ მეტად საგულწინხმო გარემოებას — „სახელმწიფო და სამართალი“ იურისტთა კავშირის სამეცნიერო-პრაქტიკული ყურნალია, რაც თავისთავად ლაპარაკობს მის მიზნებსა და ამოცანებზე. ასეთი გამოცემები, ალბათ, „სულმოუთქმელად“ არც უნდა იკითხებოდნენ. რედაქცია არ არის დაინტერესებული ყურნალის იაფფასიანი პოპულარობით. ბ-ნი თეიმურაზი, იმედია ყურადღებით წაიკითხავდა წლის პირველი ნომრის მოწინავეს, სადაც სრულადაა წარმოდგენილი მკითხველი პროფესიონალების მოთხოვნები ყურნალის მიმართ. ამ მოთხოვნების შეძლებისამებრ შესრულება რედაქციის სოვალეობაა.

## პრობლემატიკური თარგმანის გამო

**გამომცემლობა „მეცნიერებამ“** 1988 წელს გამოსცა კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“. ნაშრომის სატიტულო თავფურცელზე მოთავსებულია წარწერები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. პირველი ორი წარწერის მნიშვნელობა — „ქართული ჩვეულებითი სამართალი“ და «Грузинское обычное право» ასე თუ ისე იდენტურია და ერთსა და იგივე სოციალურ მოვლენას ასახავს, მაგრამ მესამე ინგლისური წარწერა „ჯორჯიან კომმონლო“ (Georgian Common law) არ არის არც „ქართული ჩვეულებითი სამართალი“ და არც რუსული „Грузинское обычное право“. „Common law“ როგორც ცნობილია ინგლისურ-ამერიკული სამართლის აღმნიშვნელი სახელწოდებაა. იგი ჩამოყალიბდა ინგლისში ადრინდელი ფეოდალური მონარქიის პერიოდში, XI-XV საუკუნეებში. საერთო სამართალი მას იმიტომ ეწოდება, რომ მასში გაერთიანდა ინგლისში მოქმედი ყველა სახის სამართალი, კერძოდ, საფრანგეთიდან ნორმანდიელ დამპყრობთა მიერ შეტანილი სამართალი, ანგლო-საქსური სამართალი, ინგლისის მეფეთა ორდინანსები, ქარტიები, ასიზები, მოსამართლეთა საქმიანობის შედეგად ჩამოყალიბებული პრეცედენტული სამართალი და აგრეთვე რომის სამართლის ნორმებიც (იხ. История государства и права зарубежных стран, т. 1; М., 1963, стр. 371; აგრეთვე, История государства и права зарубежных стран, под редакцией П. Н. Галанца, М., 1963).

წიგნის სათაურის არასწორ ინგლისურ თარგმანზე მკითხველს სწორი შთაბეჭდილება რომ დარჩეს ალბათ უპრიანია მოიძებნოს შესაბამისი ანალოგი. კერძოდ, ეს ისეთი შეცდომაა ინგლისელმა რომ ინგლისური სამართლის რომელიმე სახეს უწოდოს ვთქვათ, ინგლისური დასტურლამალი ან ინგლისური ვახტანგ VI-ის წიგნი.

ალბათ ამ მეტად საჭირო წიგნისათვის საკმარისი იქნებოდა სათაური მშობლიურ ენაზე — „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, თუ მაინცდამაინც აუცილებლობას წარმოადგენდა ინგლისური წარწერა, მაშინ, ალბათ, „კომმონლო“-ს ნაცვლად უფრო სწორი იქნებოდა „ქასთემერი ლო“.

ლ. კობერიძე.

ნოტარიუსი.

**შეხვედრა იუსტიციის სამინისტროში**

ამაწინათ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საქტო დარბაზში გაიმართა საინტერესო შეხვედრა იმ პროფესორ-მასწავლებლებთან, რომლებიც რესპუბლიკურ კურსებზე არიან მოწვეულნი ლექციების წასაკითხად. ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი ამ შეხვედრის ინიციატორი იყო საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების დირექტორი.

შეხვედრა გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ვ. შარაშენიძემ და გულწრფელად მიულოცა ახალი სასწავლო წლის დაწყება ყველას, ვინც რესპუბლიკის იუსტიციის ორგანოთა კადრების გადამზადების რთულ, მაგრამ მეტად პასუხსაგებ საქმეს ემსახურება.

იუსტიციის ორგანოების კადრების გადამზადების ამოცანებზე ინფორმაციით გამოვიდა რესპუბლიკური კურსების დირექტორის მოადგილე მ. ჩაჩუა. სიტყვები წარმოთქვეს მოწვეულმა სწავლებლებმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა გ. ბახტაძემ, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სამმართველოს უფროსმა ი. დლონტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის სისხლის სამართლის სექტორის ხელმძღვანელმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ი. გამყრელიძემ. მათ ვრცლად ილაპარაკეს კადრების გადამზადების საქმეში გასულ წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ და წამოაყენეს მთელი რიგი წინადადებები, რომლებიც ითვალისწინებენ რესპუბლიკურ კურსებზე დამკვიდრებული სასწავლო პროცესის კიდევ უფრო სრულყოფას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების გაუმჯობესებას, რესპუბლიკური კურსების გარდაქმნას იურისტთა კადრების გადამზადების ინსტიტუტად.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელთა შეხვედრა კურსებზე მოწვეულ პროფესორ-მასწავლებლებთან, შეაჯამა რესპუბლიკური კურსების დირექტორმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა მ. კომახიძემ.

**От редакции:**

Редакция журнала «Государство и право» приносит свои извинения за неточность, допущенную в русском переводе наименования статьи Гии Лилуашвили, опубликованном во втором (февральском) номере. Указанная статья должна называться следующим образом: «Предпосылки возникновения личной собственности в первые годы советизации Грузии».

«სახელმციპო და სამარტალი» («Государство и право») (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49; 95-58-87.  
ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии,  
Тбилиси, ул. Ленина, 14.

b<sup>20</sup>/<sub>90</sub>

შპს 60 655.

ი549360 76185

